



**კრისტაღი**

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია



**წლიური  
ანგარიში  
2018**



## ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მისო კრისტალი („კრისტალი“) არის საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და აქტივების ზომით უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი. კრისტალი მართავს 265 მილიონიან სასესხო პორტფელს და 62 ფილიალში დასაქმებული ათასზე მეტი თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 100 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. კრისტალი ოპერირებს, როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო, მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს აწვდის მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებს. კრისტალი რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება გაიარა და მიენიჭა “B” სტაბილური რეიტინგი. 2018 წლის დეკემბერში, კრისტალმა მიიღო სოციალური პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული ჯილდო „მელიორა“.

მეტი ინფორმაციისთვის და ანგარიშის ციფრული ვერსიისთვის, ეწვიეთ: <https://ir.crystal.ge/>






# სარჩევნი

<b>7 სტრატეგიული ანგარიში</b>	<b>39 მმართველობითი ანგარიში</b>	<b>50 ფინანსური ანგარიში</b>
8 მოკლე შეჯამება	40 სამეთვალყურეო საბჭო	
9 ფინანსური და	40 თავმჯდომარე	<b>138 დანართები</b>
საოპერაციო მაჩვენებლები	41 საბჭოს შემადგენლობა	
10 თავმჯდომარის განცხადება	42 კორპორაციული მართვა	138 დანართი 1
12 გზა წინსვლისკენ	42 ფინანსური დანაშაულის	გაერთიანებული სამეფოს
13 უფროსი აღმასრულებელი	წინააღმდეგ ბრძოლა	კორპორაციული მართვის
ოფიცრის წერილი	44 სამეთვალყურეო	კოდექსთან შესაბამისობა
15 მაკროეკონომიკა და	საბჭოს წევრები	2018 წლის მდგომარეობით
ბაზრის მიმოხილვა	46 მმართველი გუნდი	139 დანართი 2
19 ბიზნესმოდელი	48 კომიტეტების ანგარიშები	კრისტალის მიერ
20 კორპორაციული სტრატეგია		მხარდაჭერილი სოციალური
		საწარმოები
23 ძირითადი შედეგები		140 დანართი 3
24 ბიზნესი		კრისტალის ახალგაზრდა
25 მნიშვნელოვანი		მეწარმეთა სკოლა -
ბიზნეს შედეგები		YES Georgia (2018)
26 მთავარი რისკები		141 შემოკლებები
და არამდგრადობა		
29 კორპორაციული		
პასუხისმგებლობა		
31 ადამიანები ჩვენს		
ორგანიზაციაში		
35 ინოვაციების მართვა		
36 საინფორმაციო		
ტექნოლოგიები		





# სტრატეგიული ანგარიში



# მოკლე შეჯამება

კრისტალი არის განვითარების პლატფორმა მიკრო და მცირე მენარმეებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სიღარიბის დაძლევის მენარმეობის ხელშეწყობით ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გზით.

**კრისტალის ხედვაა გახდეს მომხმარებელზე ფოკუსირებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული წამყვანი რეგიონალური ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია.**

კრისტალის უპირატესობა გახლავთ ის, რომ ჩვენ საკუთარ თავს მივიჩნევთ ჩვენი მომხმარებლების განვითარების პლატფორმად. ჩვენი გადაწყვეტებზე ორიენტირებული მიდგომა გვეხმარება გავცდეთ საკრედიტო უზრუნველყოფაზე ფოკუსირებას. ფინანსური ჩართულობა მოითხოვს ხელმისაწვდომობას უფრო მეტ სერვისზე, როგორცაა მიმდინარე ანგარიში, სადაზღვევო და არაფინანსური მომსახურება, მათ შორის ბიზნეს და ფინანსური რჩევები, ტექნოლოგიური აპლიკაციები, ისევე როგორც განათლება, ინფორმაცია და ლიდერობის განვითარების შესაძლებლობები.

კრისტალი არის აქტივების ზომით უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი, მართავს 265 მილიონიან სასესხო პორტფელს და 62 ფილიალში დასაქმებული ათასზე მეტი თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 100 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება.


კრისტალის ინსტიტუციონალური აქციონერები არიან „ფონდი კრისტალი“, „Incofin IM“ და „Developing World Markets“. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, მათ შორისაა საერთაშორისო მიკროსაფინანსო ფონდები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები. კრისტალი კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის აქტიური მონაწილეა. მისი კორპორაციული ობლიგაციები საქართველოს საფონდო ბირჟის „ბ“ კატეგორიაშია დაშვებული.

კრისტალი რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება გაიარა და „B“ სტაბილური რეიტინგი მიიღო.


2018 წლის დეკემბერში კრისტალმა სოციალური პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული ჯილდო „მელიორა“ მიიღო.

# ფინანსური და საოპერაციო მარკენებლები


მომხმარებლები




საბანკო პორტფელი




უზრუნველყოფის სტრატეგია




მთლიანი ბაზრის




რისკის მართვის სტრატეგია




ბაზრის უზრუნველყოფის ფარდობა (პროცენტული უზრუნველყოფის საბანკო ბაზრის)




წინადადებები




მთლიანი კაპიტალი




უზრუნველყოფის საბანკო ბაზრის




უზრუნველყოფის საბანკო კაპიტალი



ფილიალები



თანამშრომლები



სტრატეგიული ანგარიში

# თავმჯდომარის განცხადება



**არჩილ ბაკურაძე**  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2018 წელს მიკროსაფინანსო საქმიანობის დაწყების 20 და სააქციო საზოგადოება მისი „კრისტალის“ დაარსებიდან 11 წლისთავი აღინიშნა. ჩვენ გრძელი გზა გამოვიარეთ და ენთუზიაზმით აღსავსე სტუდენტების პატარა გუნდიდან, რომელმაც მუშაობა ქალაქ ქუთაისის მერიის ერთ-ერთ პატარა ოფისში დაიწყო, ვიქცით იმ ყველაზე მსხვილ არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტად საქართველოში, რომლის 62 ფილიალში დასაქმებული ათასზე მეტი თანამშრომელი დღეს 100 ათასზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

ჩვენ უპრეცედენტო ტექნოლოგიური და საზოგადოებრივი ცვლილებების ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელიც გლობალიზაციისაკენ მიისწრაფვის და კონკურენტულ წინადადებებზე, პასუხისმგებლობის მქონე, სანდო ბრენდებსა და ინდივიდუალურ სამომხმარებლო გამოცდილებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნით

ხასიათდება. დიגיტილიზაცია, მონაცემთა მართვა და ხელოვნური ინტელექტი ცვლის ინდუსტრიულ საზღვრებს, გამორიცხავს შუამავლების მონაწილეობას და კომპანიებს ხედვის შეცვლისკენ უბიძგებს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში ადამიანის დამოკიდებულება, მისი შესაძლებლობები და ლიდერობის თვისება ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. ამ გასაოცარ კომპლექსურობაზე ერთადერთი სწორი პასუხი არის კომპანიის უნარი – შეიცვალოს.

20-წლიანი სტაბილური ზრდისა და მიღწეული წარმატების შემდეგ, ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ცვლილებების დრო მოვიდა. მრავალმხრივი მუშაობის შედეგად (იხილეთ **კორპორაციული სტრატეგია**), კრისტალმა ახლებურად გაიაზრა ბრენდის ფილოსოფია და დახვეწა

საქმიანი შეთავაზებები, რათა უკეთ მორგებოდა მომხმარებლების საჭიროებებს, გამხდარიყო ადამიანებზე ორიენტირებული, მონაცემთა მართვაზე დაფუძნებული, რეგიონალური „ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია“.

## ბაზრის მიმოხილვა

განვლილი 2018 წელი კიდევ ერთი, სტაბილური ეკონომიკური განვითარების წელი აღმოჩნდა მშპ-ის 4.7%-იანი ზრდით (2017: 4.8%), ინფლაციის საშუალო 2.6%-იანი მაჩვენებლითა (2017: 6.0%) და მიმდინარე ანგარიშის დაბალი, 7.7%-იანი (2017: 8.8%) დეფიციტით, რასაც ხელი შეუწყო საქონლის ექსპორტის ზრდამ (3.4 მილიარდი აშშ დოლარი), ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა (3.2 მილიარდი აშშ დოლარი) და საერთაშორისო გზავნილების შემოღინებამ (1.6 მილიარდი აშშ დოლარი).

მეორე მხრივ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი აზიური ფაროსანას შემოსევამ დააზარალა. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული ზიანი თხილის წარმოებას მიაყენა, აღმოსავლეთ საქართველოში მოწვეულ ხილსა და ბოსტნეულზე კი ფასების მკვეთრი დაცემა გამოიწვია, რაც უარყოფითად აისახა არაერთი ფერმერისა და ადგილობრივი ბიზნესის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, საცალო საკრედიტო ბაზარი რიგ მარეგულირებელ ცვლილებებს დაექვემდებარა, რომელთა შედეგად შეიზღუდა მომხმარებლის წვდომა სამომხმარებლო სესხებზე, და ისევე როგორც საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე პოლარიზებული გარემოსთვის დამახასიათებელმა გაურკვევლობამ, საბოლოოდ, აქტივების ხარისხზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია.

## რეგულაციები

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ მდგომარეობაზე მოკლევადიანი ზეგავლენა უარყოფითი იყო, უდავოდ დადებითია მარეგულირებელი რეფორმის გრძელვადიანი სარგებელი საცალო საკრედიტო ბაზრის ფინანსურ სტაბილურობასა და შესაბამისად, „კრისტალის“ აქციების გრძელვადიან ღირებულებასთან მიმართებით, რაც უკვე დაადასტურა 2019 წლის პირველ კვარტალში გამოვლენილმა

დასტაბილურების ტენდენციამ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელიც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთავარი მარეგულირებელია, არსებითად შეზღუდა არალიცენზირებული გამსესხებლები და მომხმარებელთა დაცვის მიზნით სავალდებულო გახადა მომხმარებლის კრედიტუნარიანობის შემოწმება. 2018 წლის სექტემბერში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ლარის დაკრედიტების მინიმალური ზღვრის 200 ათას ლარამდე დოლარიზაციის თანამდევრი რისკების შემცირება განაპირობა. და ბოლოს, საკრედიტო-საინფორმაციო სააგენტოების საქმიანობა დაექვემდებარა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს, რაც საკრედიტო მონაცემების ხარისხისა და სანდოობის შემდგომი გაუმჯობესების იმედს იძლევა. ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა ახლახან დადასტურა Fitch Ratings-მა, სადაც საქართველოს სუვერენულმა საკრედიტო რეიტინგმა ‘BB-’ პოზიციიდან ‘BB’ სტაბილურ პროგნოზამდე პოზიციამდე გადაინაცვლა, ხოლო S&P-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა რეიტინგი ‘BB-’ სტაბილური პოზიციიდან დადებით პროგნოზამდე.

სექტორის სტაბილურობა კიდევ უფრო გააუმჯობესა სასესო დანაკარგებთან, კაპიტალის ადეკვატურობასა და ლიკვიდურობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულმა კეთილგონივრულმა მარეგულირებელმა სტანდარტებმა. მომხმარებელთა დაცვის SMART<sup>1</sup> პრინციპების მიმართ კომპანიის ისტორიული ერთგულების გამო, „კრისტალმა“ მინიმალური კორექტირება შეიტანა ბიზნესმოდელსა და ხელახალი დაფინანსების შექანიშვებში, ხოლო მისი მრავალმხრივი დაფინანსების წყაროები ტრადიციულად აკმაყოფილებს დაკრედიტების მოთხოვნას ადგილობრივი ვალუტით.

## მნიშვნელოვანი სიახლეები

2018 წელი არაერთი სიახლით გამოირჩეოდა. უპირველესად, მენეჯმენტის უმაღლესი რგოლის გასაძლიერებლად მმართველ გუნდში მოვიწვიეთ ორი გამოცდილი და საქმის ერთგული ხელმძღვანელი: სერგო ნოზაძე – ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების ოფიცრის, ხოლო ბექა ციციქიშვილი – მთავარი საინფორმაციო ოფიცრის – მთავარი საინფორმაციო ოფიცრის პოზიციამდე. ახალი კორპორაციული სტრატეგიის წარმატებულად განსახორციელებლად კი საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ

<sup>1</sup> მიკროსაფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კამპანია

სტრატეგიული ანგარიში



კრისტალის ორგანიზაციული სტრუქტურა. ახალმა ტალანტებმა უზრუნველყვეს სისტემებისა და ბიზნესპროცესების უპრეცედენტო გაუმჯობესება, რაც რისკის მართვის დონისა და საოპერაციო ეფექტიანობის ამაღლების საწინდარია.

გარდა ამისა, გავაფართოეთ ელექტრონული პლატფორმა „აკიდო“, რომელმაც დაამტკიცა, რომ იგი, ერთი მხრივ, კრისტალის მიერ მომხმარებელთა მოზიდვის ეფექტიანი საშუალებაა და, მეორე მხრივ, დიდ ღირებულებას ქმნის თავად მომხმარებელთათვის.

„აკიდო“ ციფრული არხებისა და პროდუქტების ტექნოლოგიების სფეროში ჩვენი წარმატების პირველი ხელშეშახები დასტურია, რაც კრისტალის ციფრული ტრანსფორმაციის განსახორციელებლად თავდაჯერებას გვმატებს.

და ბოლოს, დეკემბერში ჩვენ მივიღეთ პასუხისმგებელიანი ბიზნესის პრესტიჟული ჯილდო Meliora-2018. ღონისძიება ჩატარდა ევროკომისიის მხარდაჭერითა და „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSR DG) ორგანიზებით.

მიღებული ჯილდო კრისტალის კორპორაციული პასუხისმგებლობის, მდგრადობის მიმართ მისი ერთგულების, ასევე ფინანსურ, სოციალურ და გარემოსდაცვით შედეგებს შორის ბალანსის დაცვაში წარმატების აღიარებაა.

### გზა წინსვლისკენ

კრისტალის ახალი სტრატეგიის შემუშავების შემდეგ, პრიორიტეტები ამგვარად განვსაზღვრეთ:

- რებრენდინგის დასრულება და ახალი სტრატეგიის გავრცელება მთელი ორგანიზაციის მასშტაბით;
- ახალ საკრედიტო სტანდარტებთან სრული შესაბამისობა და უწყვეტი ზრდის დემონსტრირება;
- მეწარმე ქალებისათვის ახალი პროდუქტების შეთავაზება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს თავიანთი მიკრობიზნესის ნაცვლად მცირე ბიზნესი წამოიწყონ;
- ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციის პირველი ნაბიჯი – მობილური საფულის სერვისის გაშვება (რომელიც მობილური ბანკინგის ანალოგიურია), რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს „კრისტალის“ მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი არასაკრედიტო პროდუქტების ხაზს;
- ჩვენი ძირითადი ბიზნესპროცესების სრულყოფილი ოპტიმიზაცია და ავტომატიზაცია, რაც გაუმჯობესებს საინფორმაციო ტექნოლოგიების არქიტექტურას, ინფორმაციის უსაფრთხოებას, მონაცემთა ხარისხს, შიდა კონტროლსა და ოპერაციული რისკების მართვას;

- კრისტალის მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება მომხმარებელთა ყველა სეგმენტისთვის, ურთიერთობის ყოველ ეტაპზე.

დასასრულ, სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მადლობას ვუხდით მმართველ გუნდსა და კრისტალის თითოეულ თანამშრომელს, ჩვენს კრისტალელებს. კომპეტენცია და ერთგულება, რომლებსაც ისინი კრისტალის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ავლენენ, გასაოცარია.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ კრისტალის საპატიო ინვესტორების, DWM-ის ფონდების S.C.A-SICAV SIF-ის და Incofin Investment Management-ის, ჩვენი კრედიტორების, კორპორაციული ობლიგაციების მფლობელების, ასევე მარეგულირებელი ორგანოების, პარტნიორებისა და მიმწოდებლების მიმართ, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კრისტალის, როგორც განვითარების პლატფორმის, უნიკალური სერვისების შეთავაზება საქართველოს მიკრო-მეწარმეებისა და ფერმერებისთვის.

**არჩილ ბაკურაძე**  
სამეთვალყურეო საბჭოს  
თავმჯდომარე

## უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი



**დავით ბენდელიანი**  
უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის  
მოვალეობის შემსრულებელი

უფროსი ფინანსური ოფიცერი

2018 წელი კრისტალისთვის დიდი გამოწვევების წელი იყო. ძირითადი საქმიანობის პარალელურად, კომპანიამ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ორგანიზაციული გაძლიერების კუთხით:

- შეიცვალა კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა, დაგვემატა ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ორი ახალი დირექტორატი, სამსახურები გადანაწილდა დირექტორატებს შორის, შეიქმნა რამდენიმე ახალი მიმართულება (ფინანსური ზედამხედველობა, შესაბამისობა, საოპერაციო რისკების მართვა, შრომის უსაფრთხოება);
- ცალკე ჩამოყალიბდა პროექტების მართვის ოფისი, რომელმაც 2018 წელს 25 პროექტი განახორციელა, ხოლო დანარჩენი პროექტები გაგრძელდა 2019 წელს.

პროექტების მართვის კუთხით ეს ცვლილება დადებითად აისახა მათი განხორციელების ხარისხზე;


- 2018 წლიდან მიკროსაფინანსო სექტორი რეგულაციის ქვეშ მოექცა. შესაბამისად, ბაზრის სხვა მოთამაშებთან ერთად კრისტალიც საქართველოს ეროვნული ბანკის (სები) პრუდენციული რეგულირების ფარგლებში მოექცა. სხვადასხვა გუნდის ერთიანი ძალისხმევით, საკანონმდებლო ცვლილებების დანერგვის პროცესმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა. დროულად დაინერგა რა ეს სიახლეები ორგანიზაციაში, 2018 წლის შედეგების მიხედვით, კომპანიამ შეძლო ყველა ახალი ეროვნული ბანკის რეგულირების ფარგლებში მოქცევა კომპანიისთვის, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი შესაძლებლობა საფინანსო ბაზარზე;

- რეგულირების კუთხით ბაზრისთვის ერთ-ერთი მძიმე მოთხოვნა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომლის დაკმაყოფილებაც ბაზრის მონაწილეთა უმეტესობისათვის მნიშვნელოვანი სირთულე გახდა. თუმცა, „კრისტალის“ მაღალი რეპუტაციის, ინვესტორების ნდობისა და გასული პერიოდის შედეგების წყალობით, 2018 წლის ბოლოს კომპანიამ თავის ინვესტორებთან მიაღწია შეთანხმებას დამატებით 10 მილიონი ლარის კაპიტალის მოზიდვის შესახებ;
- 2018 წელს წარმატებით დაინერგა მომხმარებლის იდენტიფიკაციის ახალი პროგრამა „Accuity“ (გაერთიანებული სამეფო), რომელიც აპრობირებული პროგრამაა ქართულ საფინანსო ბაზარზე;

# მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

## ეკონომიკური ზრდა

2018 წელს, წინასწარი მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით იყო 4.7% და 2017 წელს დაწყებული სტაბილური ზრდა გაგრძელდა (2017: 4.8%). სექტორული წვლილის თვალსაზრისით, 2018 წლის მშპ-ის რეალური ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი მრეწველობამ შეიტანა (1.8 პპ), რომელსაც მოსდევს ვაჭრობის სექტორი (1.4 პპ). 2018 წლის მშპ სტრუქტურაში უდიდესი სექტორული წვლილი მოდის მრეწველობაზე - 17% (0.3 პპ წინა წელთან შედარებით) და ვაჭრობაზე - 17% (-0.1 პპ წინა წელთან შედარებით).



## დასაქმება

სტაბილური ეკონომიკური ზრდა აისახა უმუშევრობის შემცირებულ მაჩვენებლებზე და უმუშევრობის დონემ შეადგინა 12.7% (-1.2 პპ წინა წელთან შედარებით); უმუშევართა რიცხვი წინა წელთან შედარებით 11.1%-ით შემცირდა (-30.7 ათასი ადამიანი) და 245.7 ათასი ადამიანი შეადგინა.

გაიზარდა (526 მლნ აშშ დოლარი) და 3.230 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

წელთან შედარებით, აშშ - 10.1% (-0.1 პპ წინა წელთან შედარებით) და ისრაელი - 9.6% (1.0 პპ წინა წელთან შედარებით)

## ფულადი გზავნილები


2018 წელს ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 14.5%-ით (193 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა და 1.577 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ძირითადი წილი მოდიოდა რუსეთზე - 28.9% (-3.9 პპ წინა წელთან შედარებით), მეორე ადგილზე იტალია - 12.2%-ით (1.5 პპ წინა წელთან შედარებით), საბერძნეთი - 10.8% (0.6 პპ წინა წელთან შედარებით).

## მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

2018 წელს გაზრდილი საგარეო შემოსავლები (საქონლის ექსპორტი, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი და ფულადი გზავნილები) მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაზე აისახა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა შეადგინა 7.7% (-1.1 პპ წინა წელთან შედარებით).

## ექსპორტი

2018 წელს საქონლის ექსპორტის ზრდა შენარჩუნდა და წინა წელთან შედარებით 22.6%-ს მიაღწია (626.6 მილიონი აშშ დოლარი). 2018 წელს საქონლის ექსპორტის მთავარი რეგიონალური წილი მოდიოდა დსთ-სა - 49.8% (6.5 პპ წინა წელთან შედარებით) და ევროკავშირზე - 21.8% (-2.2 პპ წინა წელთან შედარებით).



## ტურიზმი

2018 წელს ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რიცხვის ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა - წინა წელთან შედარებით 10.1%-ით გაიზარდა და 8.315 ათასი ადამიანი შეადგინა. ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა ტურიზმის გაზრდილ შემოსავალზეც აისახა, რაც წინა წელთან შედარებით 19.5%-ით

- მცირე ბიზნესის დაკრედიტების (30-დან 100 ათას ლარამდე ბიზნეს სესხები) მიმართულების განვითარების მიზნით, European Fund for Southeast Europe (EFSE)-სგან მიღებული ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანიამ „Inspiring Development“ ჩაატარა ბიზნესმიმართულების ფინანსური ანალიზი და დაკრედიტების სრულიად ახალი მეთოდოლოგია შექმნა.

2018 წლის გაზაფხულზე კრისტალმა საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება გაიარა, მიიღო სარეიტინგო შეფასება „B“, სტაბილური“ და ამგვარად, 2017 წლის შედეგი გაიმეორა.

კომპანიამ 2018 წელი დაასრულა 5.4 მილიონი ლარის წმინდა მოგებით, კაპიტალზე უკუგება შეადგენდა 11.2% მილიონ ლარს და აქტივებზე უკუგებამ შეადგინა 2.1%. კომპანიის პორტფელი წინა წელთან შედარებით 33.6 %-ით, ხოლო სესხების რაოდენობა კი 61.9 %-ით გაიზარდა.

კომპანიამ წარმატებით განავითარა „აკიდო“ - ელექტრონული კომერციული და POS-სესხების პლატფორმა. 2018 წელს „აკიდოს“ სისტემა დაინერგა მომსახურების გარე არხებში, პარტნიორ მაღაზიებსა და ონლაინ მაღაზიებში; მიღებული და განხილულია 120 ათასი განაცხადი, საიდანაც 72 ათასზე მეტი განვადების განაცხადი დაკმაყოფილდა.

„აკიდომ“ საშუალება მისცა კრისტალს განვითარებინა უფილიალო გაყიდვები და მომსახურების მიწოდება. 2018 წელს უფილიალო დაკრედიტების შედეგად „აკიდოს“ პლატფორმის დახმარებით შეიქმნა 7.1 მილიონი ლარის მოცულობის პორტფელი და მოზიდულ იქნა 12 ათასი მომხმარებელი. საბოლოოდ, 2018 წელს აკიდოს სისტემის გავლით მოზიდული პორტფელი შეადგენს 27.8 მილიონ ლარს და 46 ათას აქტიურ მომხმარებელს, რაც საერთო პორტფელის 10.5%-ია.

და ბოლოს, აღნიშვნის ღირსია ჩვენი სუთ წლიანი განვითარების სტრატეგია, რომელიც შემუშავდა კომპანიის მიერ და დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სტრატეგია მიზნად ისახავს ორგანიზაციული სისტემების გაფართოებას და ახალი სერვისების განვითარებას.

მადლობას ვუხდით კრისტალის მთელ გუნდს, რომელმაც წლის მნიშვნელოვან გამოწვევებს სრული მობილიზებით უპასუხა, რომელმაც შეძლო კომპანიის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა გუნდურად, ერთმანეთის მხარდაჭერით. მადლობა ჩვენს მომხმარებელს, რომელიც უკვე ბევრი წელია ასეთ ნდობას გვიცხადებს, მათ კომპანია პარტნიორებად მიიჩნევს და არ იშურებს ძალისხმევას ორმხრივად სასარგებლო საფინანსო პროდუქტების შესაქმნელად.

2019 წელს ძირითადი გამოწვევა კვლავ კომპანიის სისტემური გაძლიერება, ავტომატიზაციისა და დიგიტალიზაციის უზრუნველყოფა, არსებულ პირობებში აქტივების ზრდა და მომხმარებლისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდებაა. კრისტალი 2019 წელს განაგრძობს მუშაობას გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. წინ საინტერესო და კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი გველოდება!

დავით ბენდელიანი  
უფროსი ფინანსური ოფიცერი

კრისტალს 20 საერთაშორისო და 5 ადგილობრივი პარტნიორი ჰყავს, ამგვარად, კომპანია ეფექტიანად ახერხებს რესურსებისა და რისკების დივერსიფიკაციას. გასული წლებიდან აღსანიშნავია შოლანდიის განვითარების ბანკის FMO-სა და განვითარების ფინანსური ინსტიტუტის Proparco-ს, როგორც ინსტიტუციური დამფინანსებლების დამატება. 2018 წელს დაიწყო მოლაპარაკება ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტიტუტებთან, როგორებიცაა: ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB) - 2019 წელს კომპანიის დაფინანსებას სწორედ ისინი უზრუნველყოფენ. ამასთანავე, 2018 წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა დაარეგისტრირა ობლიგაციების ახალი პროსპექტი 15 მილიონი ლარის განთავსების მიზნით, რაც 2019 წელს განხორციელდა.



### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2018 წელს BP-ის მიერ შაჰ-დენიზის პროექტის მეორე ეტაპის დასრულებამ და ზოგიერთ კომპანიაში არარეზიდენტი ერთეულებიდან რეზიდენტი ერთეულებზე საკუთრების გადასვლამ (მაგ.: საქართველოს საპარტნიორო ფონდი „ბორჯომი-ლიკანი ინტერნეშენალის“ სასტუმროების კომპლექსის მესაკუთრე გახდა) ხელი შეუწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წინა წელთან შედარებით 34.9%-ით (662.1 მილიონი აშშ დოლარი) შემცირებას და 1,232.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. სექტორული თვალსაზრისით, წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ვარდნა დაფიქსირდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორში - 64.3% (-315 მილიონი აშშ დოლარი), სამშენებლო სექტორში - 63.4% (-180 მილიონი აშშ დოლარი), უძრავი ქონების სექტორში - 49.5%-ით (-88 მილიონი აშშ დოლარი) და ენერჯეტიკის სექტორში - 29.9%-ით (-67 მილიონი აშშ დოლარი). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა სანარმოო სფეროში 44.3%-ით (44 მილიონი აშშ დოლარი) და ზომიერი ზრდა დაფიქსირდა ზოგიერთ სხვა სექტორშიც, მაგალითად, სასტუმროებისა და რესტორნების, სასოფლო-სამეურნეო და თევზჭერის სექტორებში.

### ვალუტის კურსი და სავალუტო რეზერვები


2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ლარის გაცვლითი კურსი პერიოდის დასასრულისთვის აშშ დოლართან მიმართებით 3.3%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით 1.1%-ით გაუფასურდა. ასევე, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.0%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით

5.6%-ით გაუფასურდა. ლარის აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებით გაუფასურებამ საქონლისა და მომსახურებების ექსპორტის კონკურენტუნარიანობას შეუწყო ხელი. 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს სავალუტო კურსი პერიოდის დასასრულისთვის თურქულ ლირასთან მიმართებით 26.2%-ით, ხოლო რუსულ რუბლთან მიმართებით 14.1%-ით გამყარდა. 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ლარის საშუალო გაცვლითი კურსი თურქულ ლირასთან მიმართებით 21.7%-ით, ხოლო რუსულ რუბლთან მიმართებით 5.8%-ით გამყარდა. ლარის კურსის თურქულ ლირასა და რუსულ რუბლთან მიმართებით გამყარებამ გაზარდა ზენოლა რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე (REER). აშშ დოლართან მიმართებით ლარის კურსის გაუფასურების მიუხედავად, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს სავალუტო რეზერვების აკუმულირებას, რათა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებულ საკმარის დონეს მიუახლოვდეს (სავალუტო რეზერვების ადეკვატურობის დონემ 96% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს,

რომ საქართველომ სავალუტო რეზერვი, სულ მცირე, 146 მილიონი აშშ დოლარით უნდა გაზარდოს). 2018 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 17 ინტერვენცია განახორციელა და 197.5 მილიონი აშშ დოლარი შეისყიდა.


### ინფლაციისა და მონეტარული პოლიტიკის დონე

2018 წელს ინფლაცია 2017 წლის 6.7%-იანი მაჩვენებლიდან 1.5%-მდე შენეულდა და მიზნობრივ 3%-ზე დაბლა შენარჩუნდა. ინფლაციის გამომწვევის მთავარი ხელშემწყობი პროდუქცია ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (0.33 პპ), საკვები და უალკოჰოლო სასმელები (0.52 პპ) იყო. ინფლაციის მიზნობრივი დონითა და გარე ფაქტორებით განპირობებული მაკროეკონომიკური რისკების შემცირების გათვალისწინებით, 2018 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის ეტაპობრივი შემსუბუქება და მონეტარული პოლიტიკის დონე 7.25%-დან 7%-მდე შეამცირა.



### საფინანსო სექტორი

2018 წელს საფინანსო სექტორმა, რომელიც საბანკო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისაგან შედგება, სტაბილური ზრდა შეინარჩუნა აქტივებისა და საკრედიტო პორტფელის თვალსაზრისით. ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივები გასულ წელთან შედარებით 13.9%-ით გაიზარდა (5,023 მილიონი ლარი) და 41.4 მილიარდ ლარს მიაღწია. საერთო საკრედიტო პორტფელი გასულ წელთან შედარებით 18.3%-ით გაიზარდა (4,275.7 მილიონი ლარი) და 27.7 მილიარდი ლარი შეადგინა.



### ბიუჯეტის დეფიციტი

2018 წელს საბიუჯეტო ბალანსი ძირითადად აჩვენებდა პროფიციტს, მაგრამ დეკემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამთავრობო დანახარჯები, რაც ბიუჯეტის დეფიციტზე 1,018 მილიონი ლარის ოდენობით აისახა. 2018 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში განაგრძო შემცირება და წინასწარი მონაცემების თანახმად, 3.4% შეადგინა (-0.5 პპ წინა წელთან შედარებით).

### ფიტჩის რეიტინგი


2018 წლის დადებითი მაკროეკონომიკური შედეგები აისახა ფიტჩის რეიტინგის მიერ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებაში - 'BB-'-დან 'BB' სტაბილურ პერსპექტივამდე.

### 2019 წლის ეკონომიკური პერსპექტივები

2019 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, მშპ-ის რეალური ზრდა 4.5% იქნება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით ეს მაჩვენებელი 4.6%-ია, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზია 5.0%. 2019 წელს საქართველო დიდი ალბათობით შეინარჩუნებს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ცენტრალური

### სახელმწიფო ვალი მშპ-სთან

2018 წელს სახელმწიფო ვალმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებით წელი ტემპით ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა, მაგრამ რეკომენდირებულ ზედა ზღვარს - 60%-ს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, სახელმწიფო ვალი 9.1%-ით გაიზარდა (1,491.7 მილიონი ლარი) და 17.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ნომინალური მშპ-ის 43.4%-ს შეადგენს (0.3 პპ-ით მაღალია წინა წელთან შედარებით).





და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს რეგიონებში. რაც შეეხება ინფლაციას, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი დონე 2019 წელს 3.0%-ზე დარჩება.


ფიტჩის რეიტინგის თანახმად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შეინარჩუნებს შემცირების ტენდენციას მშპ-ის 7%-მდე, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი დაახლოებით მშპ-ს 8% იქნება მზარდი ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის შედეგად.

### საცალო საკრედიტო ბაზრის სტატისტიკა


სასესხო ბაზრის ზომას განვსაზღვრავთ, როგორც სასესხო პორტფელსა და კონტრაქტებს კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ 100,000 ლარამდე, 5 წლიანი საშეღავათო პერიოდით რეზიდენტ შინამეურნეობებზე გაცემული სესხებისათვის.

2018 წელს პორტფელის ბაზრის ზომა გაიზარდა 0.2%-ით (15.3 მილიონი ლარი) და მიაღწია 6.7 მილიარდ ლარს. ამავე პერიოდში, კომერციული ბანკების პორტფელი გაიზარდა 0,9%-ით (50.7 მილიონი ლარი) და შეადგინა 5.6 მილიონი ლარი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელი შემცირდა 3.1% -ით (35.4 მილიონი ლარი) და შეადგინა 1.1 მილიარდი ლარი.

2018 წელს სასესხო კონტრაქტების ზომა შემცირდა 7%-ით და მიაღწია 3.9 მილიონს. იმავე პერიოდში, კომერციული ბანკების სასესხო კონტრაქტები შემცირდა 8.5%-ით (285.7 ათასი) და შეადგინა 3.1 მილიონი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო კონტრაქტები შემცირდა 1.1%-ით (8.4 ათასი) და შეადგინა 786.1 ათასი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ბიზნესმოდელი


კრისტალი ფინანსური ჩარხების ორგანიზაციაა, რომელიც მისი მომხმარებლებისთვის, მიკრო და მცირე მენარმეებისა და აგროსექტორში დასაქმებული ადამიანებისათვის განვითარების პლატფორმას წარმოადგენს და მათ აწვდის სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ სერვისებს. 2018 წლის ბოლოსათვის კომპანიის წილმა 100,000 ლარის მოცულობის სასესხო პორტფელში (მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები და ბანკები) შეადგინა 4%, ხოლო უშუალო კონკურენტებს შორის<sup>2</sup> - 23.3% (2017 წელს 21.5%). კომპანია უკანასკნელი წლების განმავლობაში სტაბილურად, მზარდი ტემპით ვითარდება. კრისტალი მომხმარებლებს ემსახურება როგორც ფილიალების, ისე ალტერნატიული არხის - ბუტიკების მეშვეობით. 2018 წლის მდგომარეობით კრისტალი მთელ საქართველოში წარმოდგენილია 40 ფილიალითა და 22 ბუტიკით.

### შემოსავლის მომავალი ნაკადები

კრისტალი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობას. ამ სფეროში ჩადებული ინვესტიცია, თავის მხრივ, გაზრდილ საოპერაციო ეფექტიანობასა და კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს კომპანიას ბაზარზე, როცა საქმე გაყიდვის ელექტრონულ არხებსა და სერვისის ონლაინ მიწოდებას ეხება. კრისტალის დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია. დაფინანსება ძირითადად მოზიდულია უცხოური

საფინანსო ინსტიტუტებიდან, თუმცა ადგილობრივი კომერციული ბანკები კომპანიისათვის ფინანსური რესურსების მიღების მნიშვნელოვანი წყაროა. კრისტალი ასევე ზრუნავს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარებაზე, როგორცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება, რომლის წილი დაფინანსების წყაროებში 2023 წლის ბოლომდე 5-10%-ის ფარგლებში იმერყევებს. საკრედიტო პროდუქტების დიზაინი, შიდა სისტემები და პოლიტიკა-პროცედურები, თანამშრომელთა უნარ-ჩვევები და კორპორაციული კულტურა ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კრისტალი დადებითი რეპუტაციით სარგებლობს თავის მომხმარებლებს, დამფინანსებლებს, მარეგულირებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის. კომპანიას შემუშავებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

დამტკიცებული განვითარების 5-წლიანი სტრატეგია, რომელსაც მონაწილე მხარეებიც გაეცნენ. კომპანიის განვითარება გეგმის თანახმად მიმდინარეობს. გარემოსდაცვის და სოციალური პასუხისმგებლობის (E&S) მიმართულებით საქმიანობა პრიორიტეტად არის აღიარებული. ამ მხრივ კრისტალის მისიაა 2023 წლისთვის უფრო მეტად სოციალური, ეკო-მეგობრული, გენდერულად დაბალანსებული, მიზნების მიღწევასა და მომხმარებელზე ფოკუსირებული, თანამშრომლებზე ორიენტირებული და ინვესტირებისათვის მიმზიდველი გახდეს. ჩვენი E&S სტრატეგია დაფუძნებულია კორპორაციულ სტრატეგიაზე და მხარს უჭერს კრისტალის მისიის შესრულებას - საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლას. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების, ქალებისა და ეკონომიკური მიგრანტების გაძლიერება და გარემოსდაცვა.



<sup>2</sup> კრედო ბანკი, ფინკა ბანკი, მისო ლაზიკა კაპიტალი, მისო ემ-ბი-სი, მისო ქართული კრედიტი, მისო ბი-აი-ჯი (2017)





## კორპორაციული სტრატეგია

კრისტალმა შეიმუშავა 2019-2023 წლების ახალი კორპორაციული სტრატეგია, რომლის მიზანია მომხარებელთა რიცხოვნობის ზრდა და მიკრობიზნესით დაკავებული პირებისა და ფერმერებისათვის იმგვარი მომსახურების შეთავაზება, რომელიც სცდება საკრედიტო საქმიანობას და უნდა განაპირობონ მომხმარებელთა ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდა. 2023 წელს კრისტალის პორტფელის მოცულობა 1 მილიარდ ლარს მიაღწევს. მოხდება ისეთი არასაკრედიტო მომსახურებების განვითარება, როგორცაა მაგალითად, სადაზღვევო, საგადახდო და ვალუტის გაცვლის მომსახურებები, ასევე არაფინანსური მომსახურება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის, ცოდნისა და ტექნოლოგიის გამოყენებას. ახალგაზრდებს, მენარმე ქალებს, სოფლის მეურნეობას, ენერგოეფექტიანობასა და განახლებადი ენერჯეტიკის სექტორს მაღალი პრიორიტეტი მიენიჭება. კრისტალის მიზანია თავისი „ნოუ-ჰაუ“ გამოიყენოს საკუთარი ციფრული გადამწყვეტების საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანად.

ამგვარად, როგორც ჩვენს ხედვაშია მითითებული, კომპანია გახდება „მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემთა მართვაზე დაფუძნებული რეგიონალური ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია“. კრისტალი არ მისდევს ბანკად ტრანსფორმაციის სტრატეგიას, თუმცა ეძებს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის შესაძლო გზებს, მათ შორის საქართველოს კორპორაციული ობლიგაციების ბაზარზე აქტივობის გაგრძელებით.

### დაგეგმვის პროცესი

სტრატეგიის შემუშავებას წინ უძღვოდა თითქმის 12-თვიანი მოსამზადებელი პერიოდი - სემინარები, გასვლითი სესიები, ფილიალებში ვიზიტები და მომხმარებლებთან შეხვედრები, კრისტალის მმართველი გუნდისა და FMO - ჰოლანდიის ხელმძღვანელების ერთობლივი

ლიდერობის პროგრამა და სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში, მათ შორის, ბილბაოში ჩატარებული რეგიონალურ მიკროსაფინანსო კონფერენციაში მონაწილეობა. სტრატეგია მოიცავს არა მხოლოდ მაღალი და საშუალო მმართველი რგოლისა და სამეთვალყურეო საბჭოს, არამედ აგრეთვე კრისტალის მომხმარებლების, პერსონალის, ინვესტორების, კრედიტორების, მიმწოდებლების, პარტნიორებისა და სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების იდეებს, მოსაზრებებსა და ანალიზს. დიდი წვლილი სტრატეგიისა და ბრენდის შემუშავებაში შემოიტანა ორმა ქართულმა კომპანიამ: Millennium Hub - სტრატეგიული მარკეტინგული კონსულტაციების სააგენტომ და Redberry - ჩვენი ციფრული ტრანსფორმაციის მრჩეველებმა.

### მისია და სასურველი შედეგები

საქართველოს მიკრო-მენარმეებისა და ფერმერთა განვითარების პლატფორმის ფუნქციის შესრულებით, კრისტალი მიზნად ისახავს საქართველოში სიღარიბის დაძლევას, მენარმეობის მხარდაჭერას ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გზით.

კრისტალი სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური მომსახურების შეთავაზებით მოემსახურება შრომისუნარიანი მოსახლეობის 10%-ზე მეტს. ჩვენი მომხმარებლები გახდებიან მისაბაძი მაგალითი საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისათვის. ეს ამბიციური მისია, ცხადია, დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის განხორციელებასა და 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

კრისტალის სასურველი შედეგები ერთიანდება 3P-ის პრინციპში: ადამიანები (people), მოგება (profit) და პლანეტა/გარემო (planet). ჩვენი მიზანია კაპიტალის საშუალო 18%-იანი უკუგება (ROE) და ამავდროულად, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევა. კრისტალი მიზნად ისახავს დადებითი სოციალური ზეგავლენა მოახდინოს იმ საოჯახო მეურნეობაზე, სულ მცირე, 50%-ზე, რომლებსაც მოემსახურება (2019 წელს არანაკლებ 34,600 მომხმარებელი). 2019 წლის განმავლობაში ასევე შემუშავდება ნახშირბადის ემისიასთან, ნარჩენების მართვასა და

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული გაზომვადი ეკოლოგიური ამოცანები.

სასურველი შედეგების მიღწევა ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების 6 მიზნის მიღწევას.

<p><b>1</b> სიღარიბის აღმოფხვრა</p>	<p><b>4</b> ხარისხიანი განათლება</p>	<p><b>5</b> გენდერული თანასწორობა</p>
<p><b>7</b> ხელმისაწვდომი და გულგრილი ენერჯია</p>	<p><b>8</b> ღირსი სამუშაო ადგილები და ეკონომიკური ზრდა</p>	<p><b>10</b> შევიწიკებული უთანასწორობა</p>

### ოპერაციული ამოცანები

კორპორაციული სტრატეგიის განხორციელება დამოკიდებულია ოპერაციული მიზნების შეუფერხებელ და დროულ შესრულებაზე. ამ მიზნით მუშავდება წლის სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

საკვანძო ოპერაციული ამოცანებია:

- საკრედიტო პორტფელის ზრდა, მათ შორის, არაორგანული ზრდის მეშვეობით;
- არასაკრედიტო ბიზნესიდან შემოსავლების გაზრდა;
- ბიზნესპროცესების ფართომასშტაბიანი დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია;
- ბრენდის გაძლიერება

- და მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება;
- ადამიანის მართვის და ორგანიზაციული განვითარების სისტემების გაუმჯობესება
  - რისკების მართვის სისტემის გაძლიერება;
  - გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების გაუმჯობესებული მაჩვენებლებით შესრულება და შედეგების გაზომვა;
  - მონაცემთა გაუმჯობესებული მართვა და ანალიტიკა.

სტრატეგიული ანგარიში



მომდევნო 5 წლის განმავლობაში კრისტალმა საქართველოს ბაზარზე უნდა მოახდინოს ახალი ბიზნეს შეთავაზებების მიწოდება, ხოლო ახალ ბაზრებზე ციფრული შეთავაზებების განხორციელება.



## ძირითადი შედეგები

### ჯგუფი კრისტალი

კრისტალი მისიის მიღწევისთვის ჯგუფის მოდელზე გადასვლას გეგმავს, რაც გულისხმობს მიკროსაფინანსო ბიზნესისა და ახლად დამატებული ბიზნესმიმართულებების (როგორც არის ლიზინგი, ელ-კომერცია, გადახდები, ნაღდი ფულადი სახსრების მართვა და ა.შ.) ჰოლდინგური

კომპანიის ფარგლებში მოქცევას. ჯგუფად ტრანსფორმაციის პროცესი რამდენიმე ეტაპს გულისხმობს და 2021 წლამდე უნდა განხორციელდეს. 2018 წელს შემუშავდა „ჯგუფი კრისტალის“ საერთო კონცეფცია და განისაზღვრა ახალი ბიზნეს სტრუქტურის ძირითადი მოდელები, მომზადდა რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი და საგადასახადო დასკვნები,

მომზადდა ტრანსფორმაციის ზოგადი სქემა და დაზუსტდა ის აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც თანმიმდევრულად უნდა გადაიდგას ახალი შვილობილი კომპანიების დაფუძნებისათვის. ჩატარდა იმ რამდენიმე ახალი მიზნობრივი ბაზრის პირველადი კვლევა, სადაც პოტენციურად შესაძლებელია საქმიანობის გაფართოება.

2018 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით პორტფელი მოიცავს 130 ათას სესხს და 264.1 მილიონ ლარს; მათ შორის, მთლიანი პორტფელის 59%-ზე მეტი კონცენტრირებულია სამ პროდუქტში: აგროსესხი – 53.8 მილიონი ლარი, მიკროსესხი – 55.6 მილიონი ლარი, მცირე სესხი (small) – 46.9 მილიონი ლარი.



# ბიზნესი

## პორტფელის სტრუქტურა პროდუქტების მიხედვით

2018 წლის დეკემბრის მონაცემებით, წლის განმავლობაში პორტფელი გაიზარდა 66.5 მლნ ლარით, 49.889 სესხით; თანხობრივი ზრდის 65%-ზე მეტი მოდის სამ პროდუქტზე: განვადება – 22.3 მილიონი ლარი, მცირე სესხი (small) – 11.6 მლნ ლარი, აგროსესხი (არ შეიცავს განვადებას აგროში) – 9.4 მილიონი ლარი.

## მცირე სესხები (30,000 ლარზე მეტი)

მცირე სესხების პორტფელი 2018 წელს 11.6 მილიონი ლარით გაიზარდა და 46.9 მილიონ ლარს მიაღწია, სესხების რაოდენობის ზრდა კი 38%-ია. ზრდის 74% მოდის მომსახურებისა (52%) და ვაჭრობის (22%) სფეროში დასაქმებულ მომხმარებლებზე. ზრდის 31% მოდის თბილისისა და ქუთაისის ფილიალებზე, რაც ბუნებრივია და აიხსნება მსხვილ ქალაქებში მცირე სეგმენტის მაღალი კონცენტრაციით. ზრდის ხელშემწყობ ფაქტორად შესაძლოა დასახელდეს თითოეულ მსესხებელზე პროდუქტის ინდივიდუალური, კონკურენტული პირობების შეთავაზება.

მცირე სესხები	2017		2018		ზრდა	
	რაოდენობა	მილიონი ლ	რაოდენობა	მილიონი ლ	რაოდენობა	მილიონი ლ
მომხმარებლის სახეობები						
ვაჭრობა	443	11.5	572	14.0	129	2.5
მომსახურება	631	17.2	872	23.2	241	6.0
ნარკოტიკები	118	3.6	137	4.1	19	0.5
სოფლის მეურნეობა	48	1.4	80	2.1	32	0.7
სამომხმარებლო	58	1.6	129	3.5	71	1.9
<b>ჯამი</b>	<b>1,298</b>	<b>35.3</b>	<b>1,790</b>	<b>46.9</b>	<b>492</b>	<b>11.6</b>

## მიკრო სესხები (30,000 ლარზე ნაკლები)

მიკრო სესხების სეგმენტში პორტფელი გაიზარდა 1,456 სესხით, 4.8 მილიონი ლარით; ზრდა ძირითადად მოდის ვაჭრობისა და მომსახურების დარგებზე.

მიკრო სესხები	2017		2018		სხმაობა	
	რაოდენობა	მილიონი ლ	რაოდენობა	მილიონი ლ	რაოდენობა	მილიონი ლ
მომხმარებლის სახეობები						
ვაჭრობა	4,478	16.5	4,783	17.2	305	0.7
მომსახურება	7,195	26.9	7,456	27.2	261	0.3
ნარკოტიკები	832	3.3	874	3.2	42	(0.1)
სოფლის მეურნეობა	358	1.3	630	2.4	272	1.1
სამომხმარებლო	702	2.8	1,278	5.6	576	2.8
<b>ჯამი</b>	<b>13,565</b>	<b>50.8</b>	<b>15,021</b>	<b>55.6</b>	<b>1,456</b>	<b>4.8</b>



## მნიშვნელოვანი ბიზნეს შედეგები

2018 წელს განვადების პორტფელი გაიზარდა რეკორდული მაჩვენებლით – 22.3 მილიონი ლარით, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზებიც არის:

- ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც, კონკურენტ ბანკებს შეეზღუდათ სამომხმარებლო სესხების გაცემა; შედეგად, მომხმარებლების ნაკადმა კონკურენტებიდან კრისტალში გადმოინაცვლა;
- სწრაფი მომსახურება - დიგიტალურმა გადაწყვეტამ („აკიდო“) მოგვცა მომხმარებლების სწრაფად მომსახურების საშუალება, რაც მნიშვნელოვანი უპირატესობაა კონკურენტებთან შედარებით;
- 2018 წლის განმავლობაში გაიყვანა 84,000 განვადება, 35 მილიონი ლარი, საიდანაც 80% გაიყვანა ფილიალების ქსელის, ხოლო 20% ბუტიკებისა და ალტერნატიული არხების საშუალებით; მათ შორის 70%-ს აქვს სამომხმარებლო, ხოლო 30%-ს აგრო დანიშნულება;
- დაფინანსდა ექვსი კოოპერატივი 190 ათასი ლარით. კოოპერატივების საქმიანობაა რძის პროდუქტების წარმოება, მევენახეობა, ნერგების გამოყვანა, მესაქონლეობა,

- მარცვლელი კულტურების მოყვანა. ერთ კოოპერატივთან დაწყებულია ღირებულებათა ჯაჭვის პროექტზე მუშაობა;
- დაინერგა სწრაფი სესხის ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს მსესხებლის შემოსავლის დადასტურებასა და სესხის დამტკიცებას დისტანციურად, განაცხადის გაკეთებიდან რამდენიმე საათში;
- ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა გარე გაყიდვების გაფართოებული ქსელი და მიეცა უფრო ორგანიზებული სახე;
- გაფართოვდა აგროგანვადებები, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მომწოდებელთა ქსელი. ამასთან, განვადებების დამტკიცება და პროდუქციის მიწოდება თანადროულად ხდებოდა გარე ლოკაციებში. პროცესის წარმატებაში მნიშვნელოვანი იყო მომწოდებლებთან წინა წლებში დამყარებული ურთიერთობა და გამოცდილება;

- მომწოდებლებთან თანამშრომლობით, მომხმარებლებისათვის ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამები, რამაც ხელი შეუწყო მომხმარებელთა გაძლიერებასა და მათი ერთგულების ზრდას;
- სეზონურმა მიდგომამ უზრუნველყო მომხმარებელთა ახალი ნაკადის შექმნა. ჯამურად, მიმდინარე წელს შესაძლებელი გახდა 27,000 აგროგანვადების და 10 მილიონი ლარის გაცემა საბრუნავი საშუალებებისათვის. აღნიშნული მაჩვენებელი გაორმაგებულია გასულ წელთან შედარებით.
- ფილიალების ნაწილში დაინერგა ოფიცრების სპეციალიზაციის პირველადი მოდელი, სადაც გაიმიჯნა მიკრო და მცირე სესხების გამცემი ოფიცრები; ამგვარად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოფიცრების ეფექტიანობა და გაუმჯობესდა ფოკუსი მიკრო და მცირე დაკრედიტებაზე.





## მთავარი რისკები და არამდგრადობა

### მიზანი და პრინციპები

კომპანიაში მიმდინარე ნებისმიერი ბიზნესპროცესი დაკავშირებულია რისკთან, შესაბამისად, რისკების მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის არსებობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე იქნება დაფუძნებული, კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. მიზნიდან გამომდინარე, რისკების მართვის ეფექტიანი და გამართული სისტემა უნდა შედგებოდეს ძირითადი პრინციპების, ჩარჩოსა და პროცესების ერთობლიობისაგან, რომელიც კომპანიას საშუალებას მისცემს:

- დროულად იყოს ინფორმირებული არსებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ;
- მოახდინოს დანაკარგების პრევენცია და ინციდენტის ეფექტიანი მართვა;
- შექმნას გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის სანდო საფუძვლები;
- გაზარდოს მიზნების მიღწევის ალბათობა;
- გააუმჯობესოს კონტროლი;
- გააუმჯობესოს ოპერაციული ეფექტიანობა;
- გააუმჯობესოს და წაახალისოს პროაქტიული მართვა;
- შესაბამისობაში იყოს მარეგულირებლის მოთხოვნებსა

- და საერთაშორისო სტანდარტებთან;
- მოიპოვოს დაინტერესებული მხარეების ნდობა;
- გააუმჯობესოს ორგანიზაციული სწავლება;
- გააუმჯობესოს ორგანიზაციის მდგრადობა.

რისკების მართვის სისტემა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის ბიზნესსტრატეგიას და ხელს უწყობდეს კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. საქართველოს მასშტაბით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის „კრისტალი“ იყო პირველი კომპანია, რომელმაც საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია **Fitch Ratings**-ის რეიტინგი მიიღო. მოცემული რეიტინგი აფასებს კომპანიის გადახდისუნარიანობასა და სტაბილურობას. კომპანიამ დაანერგა აქტივების კლასიფიცირებისა და დანაკარგების რეზერვირების საერთაშორისო სტანდარტი IFRS-9. საქართველოს ყველა სხვა

ფინანსურ კომპანიებს შორის, არა მარტო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, არამედ ბანკებს შორისაც, კრისტალი იყო პირველი, რომელმაც ეს მოახერხა.

### რისკის მართვის სისტემა, ძირითადი მიდგომა

რისკის მართვის სისტემა ეფუძნება სამი დონის დაცვის პრინციპს, რომლებიც აუცილებელია რისკის მართვის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩაბმულობისთვის, კომუნიკაციის პროცესის გამართულად წარმართვისა და ყველა შესაძლო ინფორმაციისა და ექსპერტული მოსაზრების მისაღებად (BCBS 2011)

- პროცესის მფლობელი პასუხისმგებელია პროცესში არსებული რისკის მართვისათვის კომპანიაში არსებული რისკის მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით;
- რისკის მართვისათვის პასუხისმგებელი სტრუქტურული

ერთეული პასუხისმგებელია რისკის მართვის ინსტრუმენტების შემუშავებისა და დანერგვისათვის;

- შიდა აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია რისკის მართვის პროცესის ადეკვატურობის შეფასებისათვის.

რისკის მისაღები ყველა ძირითადი დონე და მისი კონტროლის აუცილებელი მექანიზმები. კომპანიის სტანდარტებიდან გამომდინარე, რისკი არის გაზომვადი და გამოსახულია ფულად ერთეულში, შესაბამისად, მოსალოდნელი რისკის მოცულობის მიხედვით კომპანია დგამს შემდეგ ნაბიჯებს:

### რისკის მართვის პროცესში ჩაბმული სტრუქტურული ერთეულები

**სამეთვალყურეო საბჭო** - კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს კომპანიის ძირითად მიზნებს, ამტკიცებს რისკების მართვის მასშტაბსა და პოლიტიკას. მასთან არსებული რისკების კომიტეტის მეშვეობით რეგულარულად განიხილავს ძირითად რისკებს და აუდიტის კომიტეტის მეშვეობით აფასებს რისკების მართვის სისტემას.

კომპანიას აქვს შესაბამისი რისკის მართვის გარემო და კულტურა, რომელსაც უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი. კომპანიას აქვს რისკის შეთანხმებული და დამტკიცებული ლიმიტები, რაც რისკის მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია და აისახება რისკის მადისა და ტოლერანტობის დოკუმენტში, სადაც ასახულია

- რისკის მიღება;
- დამატებითი კონტროლის დაუყოვნებლივ ჩართვა და რისკიანი ოპერაციების ლიმიტირება;
- რისკი გადაცემა მესამე პირზე (დაზღვევა);
- რისკის თავიდან აცილება, რისკიანი ოპერაციების შეწყვეტა.



სტრატეგიული ანგარიში



**სამეთვალყურეო საბჭოს**

**კომიტეტები** - რისკების კომიტეტისა და შიდა აუდიტის კომიტეტის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული შიდა და გარე რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების გაწევა იმ სისტემებისა და პროცესების შესახებ, რომლებიც უნდა იქნეს ინტეგრირებული ან გაუმჯობესებული რისკების მართვისა და შემცირების მიზნით.

**შიდა აუდიტის სამსახური**

- კომპანიის შიდა აუდიტი ახორციელებს რისკების მართვის სისტემის მონიტორინგს, აფასებს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობასა და მდგრადობას.

**უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი**

- უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და რისკების მადის ლიმიტების შესრულებისთვის სისტემების დანერგვას კომპანიაში.

**რისკის მართვის სტრუქტურული ერთეულები**

(რისკების მართვის სამსახური, შესაბამისობისა და ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის სამსახური) - აფასებენ არსებული კონტროლის მექანიზმების ხარისხსა და შესაბამისობას კომპანიის რისკის მართვის მართვის ინსტრუმენტებს (მმართველის გუნდის ვალიდაციის შემდეგ).

**ოპერაციების მართვის**

**სტრუქტურული ერთეული** - მართავს და აკონტროლებს რისკებს ოპერაციულ დონეზე, ჩაბმულია რისკების მართვის ინსტრუმენტების შეფასებასა და განახლებაში.

**რისკის შემცირება და ქარბი კონცენტრაციის მართვის ინსტრუმენტები**

კომპანიას დანერგილი აქვს რისკის შემცირების შემდეგი ინსტრუმენტები:

- საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის დადგენილი ლიმიტები, მათ შორის, ერთ-ერთია ლიმიტი ბიზნესსექტორების და ბიზნესსექტორების მიხედვით. პორტფელის 15%-ზე მეტი არ უნდა იყოს რომელიმე ბიზნესსექტორში (მაგ.: მესაქონლეობა, მეფრინველეობა, შიდა საქალაქო ტრანსპორტით მომსახურება, ტაქსით მომსახურება და ა.შ.);
- კომპანია ყოველთვის ურად აკეთებს პორტფელის რისკების ანალიზს, ანალიზის მიზანია პორტფელში რისკის კონცენტრაციის გამოვლენა და მისი შემცირების მიზნით ქმედითი ღონისძიებების რეკომენდირება;
- საკრედიტო კომიტეტი, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო, გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ არსებული და სტატისტიკური ინფორმაციის შეფასების შემდეგ, პოტენციური რისკებისა და პროექტის ეფექტიანობის გათვალისწინებით;
- კომპანიის ხედვა კონკრეტული განაცხადის დაფინანსების გადაწყვეტილების პროცესში ითვალისწინებს მომხმარებლის დაცვას ზედმეტი ფინანსური ტვირთისაგან, კრისტალის მიერ გაცემული სესხი უნდა ემსახუროდეს მომხმარებლის ბიზნესის განვითარებას ან მისი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ეფექტი აუცილებლად დადებითი უნდა იყოს;
- კომპანიაში არის ორი დონის საკრედიტო კომიტეტი. თუ რომელი დონის კომიტეტი განიხილავს კონკრეტულ საქმეს, დამოკიდებულია სესხის თანხაზე: მცირე თანხასთან დაკავშირებით შესაძლებელია გადაწყვეტილება მიიღოს ბიზნესსაზღვრის მიმართულებამ, ხოლო შედარებით დიდ თანხებთან დაკავშირებით აუცილებელია რისკების სამსახურის დასტური;
- საკრედიტო სკორინგი და საკრედიტო რეიტინგი, რომლებიც ეხმარება შესაბამის პასუხისმგებელ პირს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში;
- სესხზე გრაფიკის მიხედვით შენატანის შემცირება შემოსავლების შემცირების მიხედვით, სესხის რესტრუქტურიაზაცია, რაც ეფექტიანია და უმსუბუქებს საკრედიტო ტვირთს მომხმარებელს;
- სტრესტესტების ფორმატი, სადაც ხდება მოვლენების სხვადასხვა სავარაუდო სცენარით განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელი რისკის შეფასება;
- რისკშემთხვევების შეგროვების ბაზა, რომლის ანალიზის შედეგად დგინდება მომეტებული რისკის ოპერაციები და შემდეგ ანალიზდება კონტროლის სუსტი მხარეები;
- სესხის უზრუნველყოფის შეფასების გამართული მეთოდოლოგია;
- კომპანიაში შექმნა მენეჯმენტს დაქვემდებარებული საკრედიტო კონტროლის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო ოპერაციების პოსტაქტუმ მონიტორინგისათვის, მისი მიზანია დაშვებული ხარვეზების აღმოჩენა და რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი რეაგირებისათვის;
- შესაბამისობის რისკის მართვის პროცესის განახლება და გაუმჯობესება;
- ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) პროცესის განახლება და მაქსიმალური ავტომატიზაცია.



**კორპორაციული პასუხისმგებლობა**

**კრისტალის ხედვა გახდეს მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული რეგიონალური ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია.**



ჩვენ ვისწრაფით სასურველი შედეგისკენ, რომელიც ხასიათდება 3P-ის პრინციპით: ადამიანები, გარემო და მოგება. ჩვენი სტრატეგიული ქვემიზნები განსაზღვრულია ამ მიზნების მისაღწევად. ბიზნესი, როგორც ჩვენ დღეს მას ვიცნობთ, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ძირითადად შეიქმნა. მდგრადობა ბიზნესს საქმიანობის თანმდევი ატრიბუტი ხდება მსხვილი თუ მცირე საწარმოებისათვის. მდგრადობის მნიშვნელოვანი პრინციპები ბიზნესის ფოკუსს ანაწილებს არა მხოლოდ მოგებაზე, არამედ მოგების იმგვარად მიღებაზე, რომ ის დადებითად აისახოს ადამიანებსა და პლანეტაზე.



**კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიღწევები**

- კრისტალმა 2017 წელს პირველად ჩაატარა სოციალური გავლენის კვლევა, რაც სისტემატიურად ჩატარდება ყოველ 12-15 თვეში ერთხელ;
- კრისტალმა სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებიდან თავისი წმინდა მოგების 1.93 % კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში დააბანდა, მათ შორისაა:
  - 9 სოციალური სანარმო (დანართი 2);
  - 15 სოციალური პროექტი 3,000-მდე პირდაპირი ბენეფიციარით (შპმ ახალგაზრდები, იძულებით გადაადგილებული პირები, საჭიროების მქონე ხანდაზმულები და სხვა);
  - 32 დაფინანსებული ახალგაზრდული პროექტი;

აღნიშნული სოციალური სანარმოები და პროექტები ახალგაზრდებისთვის საქართველოს მასშტაბით მოიცავს მცირე სამეწარმეო, აგროკულტურულ და ინოვაციურ სექტორებს.

ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის მეოთხე რაუნდი (YES Georgia) ჩატარდა საქართველოს შვიდ რეგიონში, მიღებულ იქნა 467 განაცხადი (207 კაცი და 258 ქალი), მათ შორის შეირჩა 130 პროგრამის მონაწილე. მთლიანობაში, კრისტალის ახალგაზრდა მენარმეთა სკოლამ (YES Georgia) 2015 წლიდან მოყოლებული დაახლოებით 2,000-მდე განცხადება მიიღო, საიდანაც შეირჩა 650 ახალგაზრდა, რომლებიც დაესწრნენ სკოლის ტრენინგებს, საიდანაც 44 ბიზნეს იდეა დაფინანსდა (დანართი 3).

**მნიშვნელოვანი მიღწევები**

- კრისტალი იყო პირველი კომპანია საქართველოდან, რომელიც გაეროს გლობალური ქსელის – Business Call to Action-ის წევრი გახდა;
- კრისტალი პირველი საფინანსო ინსტიტუტია, რომელმაც თავისი კომპანიის სტრატეგიაში გაეროს მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნები და გარემოზე ზემოქმედების გაანგარიშება შეიტანა;
- კრისტალმა 2016 წელს დაწერა ინოვაციური მწვანე პროდუქტები (6 პროდუქტი), რომლებიც უკვე წარმატებით ვითარდება
- სასესხო პორტფელი შეადგენს 4.5 მილიონი ლარს და გაცემულია 5,000-ზე მეტი „მწვანე“ სესხი;
- 2018 წელს გაცემული 6,186 'მწვანე' სესხით კრისტალი 2,493,154 კილოვატ (kW) ელექტროენერჯისა და საშუალოდ 354 ტონა CO2-ს დაზოგვას შეუწყოს ხელი;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპები (WEPEs) - კრისტალი ერთ-ერთი პირველი იყო იმ ხუთ კომპანიათაგან, რომელმაც ხელი მოაწერა WEPEs-ს, გაიარა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ადამიანური რესურსებისა და გენდერული საკითხების მრჩეველთა მიერ ჩატარებული გენდერული მონიტორინგის პროცესი. ამჟამად კრისტალს აქვს 2018-2024 წლის სამოქმედო გეგმა და ახორციელებს მას. 2018 წელს კრისტალი ძალიან აქტიურად იყო ჩაბმული გაეროს ქალთა ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

**სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო „მელიორა - 2018“**

ევროკომისიის და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, 2018 წელს პირველად გაიმართა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნეს კონკურსი „მელიორა“.



კონკურსში მონაწილეობა 41 კომპანიამ მიიღო და 76 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტს აერთიანებდა. წამყვანმა უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა (დამოუკიდებელი ჟიური და კომპლექტური იყო 27 წარმომადგენლისგან - საქართველოდან, დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბელგიადან, დანიიდან, ისრაელიდან, ნორვეგიიდან და სლოვაკეთიდან) შეაფასეს და გამოავლინეს ყველაზე პასუხისმგებელი და სამაგალითო პროექტები.

კრისტალი დაჯილდოვდა გრანპრით.



**ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში**

**კრისტალის მენეჯმენტი**

თითოეული თანამშრომლის კეთილდღეობაზე ზრუნვას და საუკეთესო შრომის პირობების შექმნას უმთავრეს სტრატეგიულ მიზნად მიიჩნევს და ამ მიმართულებით მუდმივად მუშაობს სწორი სისტემის აწყობისა და კრისტალის თითოეული თანამშრომლის მოტივაციის ამაღლებისათვის. ჩვენ უზრუნველყოფთ უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს ჩვენი თანამშრომლებისათვის. „ადამიანური რესურსი“ ან „ადამიანური კაპიტალი“ კომპანიაში მთლიანად ჩანაცვლდა ახლებური მიდგომითა და ტერმინით „ადამიანი“, მისი განვითარების ან შერჩევის ფაზები კი მოხსენიებულია როგორც „ტალანტი“.

კომპანიაში ადამიანი აღიარებულია უპირველეს პრიორიტეტად, შესაბამისად, კომპანიის კორპორაციული ღირებულებები, არსებული სტრუქტურა და შიდა ორგანიზაციული კულტურა მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის კეთილდღეობის, ბედნიერების, პიროვნული და პროფესიული სრულყოფისა და განვითარებისათვის მუდმივი და უწყვეტი შესაძლებლობა, ახალ შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომა, შრომითი უფლებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.



### განსაკუთრებული მიდგომები

ორგანიზაციის ყველა ოფისი გამოცხადებულია იარაღის, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკისგან თავისუფალ ზონად. კატეგორიულად არის აკრძალული მათი შემოტანა, გამოყენება ან მოხმარება ოფისის ტერიტორიაზე.



დანინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და ა. შ. ორგანიზაციას წარმართავენ პროფესიონალი, მოტივირებული და პატიოსანი კადრები. კომპანია მუდმივად ცდილობს შექნას დასაქმებულთა ჩაბმულობის, მოტივაციის ამაღლებისა და მათი პროფესიონალიზმის ზრდის ახალი შესაძლებლობები.

აღნიშნული მიზანი ემსახურება ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას და ერთი თანამშრომლის მიერ მეორე თანამშრომლის რომელიმე ზემოხსენებული თავისებურების საფუძველზე შევიწროების თავიდან აცილებას. ტერმინი „შევიწროება“ მოიცავს ნებისმიერ ქცევას, რომელიც გულისხმობს თანამშრომლის სამუშაო პროცესში დაუსაბუთებელ ჩარევას, რის შედეგადაც გარემო ხდება მტრული ან შეურაცხმყოფელი, ან ადგილი აქვს სხვა სახის უარყოფით ზემოქმედებას თანამშრომლის სამუშაო პირობებზე. კომპანია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების აკრძალვასა და მის პრევენციას.

### ადამიანის უფლებები, შრომის უსაფრთხოება და სამუშაო პირობები

კომპანია სრულად აცნობიერებს თითოეული დასაქმებული ადამიანის უფლების ზედმიწევნით და სრულად დაცვის მნიშვნელობას და ქმნის სრულიად მიუკერძოებელ, გამჭვირვალე და ობიექტურ სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის კომპანიის მენეჯმენტის სტრატეგიული მიზნის მიღწევას – დაცული იყოს თითოეული თანამშრომლის/ დასაქმებულის შრომითი უფლებები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დაიცვას ისინი დისკრიმინაციის, შევიწროების ნებისმიერი ფორმის გამოვლინების შემთხვევებისაგან და შექმნას მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტული გარემო ყოველდღიური საქმიანობისათვის. ამ მიზნით კომპანიაში შექმნილია და ფუნქციონირებს არაკეთილსინდისიერი ქმედებების შეტყობინების კონფიდენციალური მექანიზმი (whistleblowing - მხილების სისტემა). ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის კულტურის არსებობა უპირველესი ფაქტორია არაკეთილსინდისიერი ქმედებების დასაზღვევად. კომპანია მუდმივად ცდილობს

### დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას სთავაზობს ყველა თანამშრომელს და დასაქმების კანდიდატს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ან რომელიმე სხვა განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად. პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების,

### ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და შევიწროების აკრძალვა

კომპანიას აქვს ნათელი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომლითაც მკაცრად იკრძალება დისკრიმინაციისა და შევიწროების ნებისმიერი გამოვლენა, ქცევა თუ განზრახვა კომპანიასთან საქმიან ურთიერთობებში მყოფ ადამიანებთან მიმართებით, როგორც წინა სახელშეკრულებო, ისე შრომითი ურთიერთობის ყველა ეტაპზე (მიუხედავად კონტრაქტის ტიპისა, იქნება ეს შრომითი თუ მომსახურების ტიპის კონტრაქტები). თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლენის შესახებ ტალანტების მართვისა და განვითარების სამსახურს და ითანამშრომლოს კომპანიასთან დისკრიმინაციის ნებისმიერი შემთხვევის სათანადო გამოძიებისა და მასზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.

თანამშრომლებს შეუქმნას გარემო, სადაც თითოეულს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, სადაც თითოეულმა იცის, რომ მას ყოველთვის მოუსმენენ და სათანადოდ მოეპყრობიან; კომპანია მათ აძლევს საშუალებას იოლად მიაწვდინონ ხმა საოპერაციო რისკების მართვის განყოფილებას და ამგვარად დაიცვან თავი და კომპანია არაკეთილსინდისიერი ქმედებით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისგან. კრისტალმა, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ორგანიზაციამ, უზრუნველყო კომპანიაში დასაქმებული ყველა მოსამსახურის გადამზადება შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

### თანამშრომლების/ პერსონალის შერჩევა და ადაპტაცია

2018 წლიდან კომპანიაში დანერგულია HR ბიზნესპარტნიორობის მოდელი, რომელიც გულისხმობს კომპანიის მენეჯმენტისა და ტალანტების მართვისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენლების – HR ბიზნესპარტნიორების აქტიურ თანამშრომლობას საჭიროებების შეფასების, ახალი საშტატო ერთეულების საჭიროების დადგენის, ახალი თანამშრომლების შერჩევის სტრატეგიების დასახვის, შესაბამისი პოზიციებისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი ადამიანების შერჩევის და ასევე, მათი დასაქმების შემდეგ, ახალ პოზიციებსა და ახალ გუნდებთან ადაპტაციის, განვითარების გზებისა და შესაძლებლობების შეფასების მიმართულებით. თანამშრომლის ახალ პოზიციაზე მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან უშუალო მენეჯერი და HR ბიზნესპარტნიორი აცნობენ მას კომპანიის ღირებულებებს, ფუნქცია-მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და წარუდგენენ

გუნდს. HR ბიზნესპარტნიორი მუდმივად ჩაბმულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში, პერიოდულად ხვდება თანამშრომელსა და მენეჯერს და ეხმარება მათ კონკრეტული საჭიროებისამებრ. კომპანიაში ახალი თანამშრომელი მიიღება ნ თვემდე გამოსაცდელი ვადით.

### მნიშვნელოვანი ფაქტები

2018 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა კომპანიის HR მიმართულების კუთხით - ჩამოყალიბდა ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების სამსახური. 2019-2023 წლის ამბიციური გეგმის შესაბამისად, სამსახურის მიზანია გამართული იყოს ყველა შესაბამისი პროცესი და პროცედურა, შესაბამის დროსა და ადგილზე კომპანიას ჰყავდეს საჭირო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი თანამშრომლები. კრისტალის თითოეული თანამშრომლის მოტივაცია და ჩაბმულობა კომპანიის მმართველი გუნდისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამ მიზნით, 2018 წელს დაიწყო და განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებმაც კომპანიასა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობა სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

- ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც გუნდმა 2018 წელს განახორციელა, არის ახალი ხელშეკრულებებისა და შრომის შინაგანაწესის დანერგვა, რომელიც საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციებს ითვალისწინებს.
- შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი დოკუმენტების ძირითადი პაკეტი სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო ნორმებს, რაც დარგის წამყვანი ექსპერტებისა და ორგანიზაციების შეფასებით, ადგილობრივი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებსა

- და სტანდარტებთან შესაბამისობის თვისობრივად მაღალი სტანდარტია.
- აღნიშნული ნორმების ერთ-ერთი მთავარი ღირებულება გენდერული ასპექტების სრულად მოცვაა, რაც გაეროს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს და დადგენილ სტანდარტებს ეფუძნება.
- აღსანიშნავია პროცესის დიგიტალიზაცია. კომპანია ახალი შრომითი კონტრაქტების გაფორმებას ინოვაციური სისტემური გადაწყვეტილებით განახორციელებს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობასაც იძლევა. აღნიშნული სიახლე მნიშვნელოვნად ზრდის დოკუმენტის სანდოობას, დაცულობასა და ხარისხს.

### სწავლება და განვითარება

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების სისტემის ინსტიტუციონალიზაციაზე, როგორც ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნის მიზანმიმართულად ორგანიზებული, სტაბილურად და სისტემატურად განხორციელებადი პროცესის დანერგვაზე. თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით სხვადასხვა სახის პროექტების შემუშავებითა და განხორციელებით კომპანია ცდილობს თავისი მოთხოვნისა და თანამშრომლების მაქსიმალურად ჰარმონიზებასა და დაკმაყოფილებას, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს თანამშრომლების მოტივაციას და უღვივებს მათ ვალდებულების გრძნობას. 2018 წელს თანამშრომლებში ლიდერობის უნარების განვითარების მიმართულებით შეიქმნა სპეციალური ტრენინგპროგრამა - მენეჯმენტი და ლიდერობა (მართვის თანამედროვე მეთოდები), რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება

სტრატეგიული ანგარიში



პრაქტიკულ კომპონენტებს და მოიცავს ფსიქოლოგიურ და სტრატეგიულ თამაშებს, სხვადასხვა სახის ტესტებსა და სიმულაციებს. პროგრამის ფარგლებში გადამზადდა უფროსი ბიზნესოფიცრის დირექტორატში შემავალი ყველა მენეჯერი და მენეჯერული ფუნქციის მქონე პირი. ტრენინგპროგრამის ფარგლებში ასევე მომზადდა სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც მართვის თანამედროვე მიდგომებთან ერთად მოიცავს „კრისტალის მენეჯერის სტანდარტს“ და მენეჯერის პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს.



2018 წლის განმავლობაში თანამშრომელთა გადამზადების მიზნით შემუშავდა სხვადასხვა ტრენინგპროგრამა (ბიზნესანალიტიკა, შრომის უსაფრთხოება, მემკვიდრეობითი სამართალი, ეფექტიანი მომსახურების ტექნიკები, გაყიდვების მართვა, ფინანსური ანალიზი, და ა.შ.), რომელთა ფარგლებში გადამზადდა 1,314 თანამშრომელი.

**ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია**

კომპანიაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, თანამშრომლების აქტიური ცხოვრების მოტივირებისა და კორპორატიული სულისკვეთების ამაღლების მიზნით საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიური მინი-ფეხბურთის შიდა ჩემპიონატის ტრადიციას, რისთვისაც გარდამავალი თასი შემოვიღეთ. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო რვა გუნდმა, რომლებიც სხვადასხვა რეგიონის 25 გუნდიდან შეირჩა.

**პროცესებისა და მეთოდოლოგიის განვითარება**

ბიზნეს პროცესების სტანდარტიზაციისა და ოპერაციული რისკის თავიდან აცილების მიზნით, კომპანია ავითარებს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს. მეთოდოლოგი

მოიცავს პოლიტიკებს, პროცესის სქემებს, წესებსა და სტანდარტებს. მეთოდოლოგიური დოკუმენტების განვითარების მოქნილობის გასაუმჯობესებლად შემუშავდა მეთოდოლოგიური დოკუმენტების განვითარების სქემა, სადაც მკაფიოდ არის ასახული პროცესის მფლობელის, პროცესში და მეთოდოლოგიის განვითარებაში მონაწილე მხარეების როლები და პასუხისმგებლობა. 2018 წლის განმავლობაში, რეგულაციებისა და სხვა გარე თუ შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, შემუშავდა და განახლდა 85 მეთოდოლოგიური დოკუმენტი.

**შიდა კომუნიკაციები და HR ბრენდის გაძლიერება**

თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიის მენეჯმენტი აცნობიერებს შიდა კომუნიკაციის მნიშვნელობას, ღია თანამშრომლობისათვის, პროცესებისა და აქტივობების გამჭვირვალედ წარმართვისათვის. „კრისტალის“ შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიაში მოწვეულმა ექსპერტმა შეისწავლა შიდა საკომუნიკაციო არხები და სისტემები. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა შიდა კომუნიკაციის სტრატეგია და კომუნიკაციის მარეგულირებელი ახალი წესები. მათი მიზანია ხელი შეუწყოს კომპანიაში კომუნიკაციის არსებული პრაქტიკის

გაუმჯობესებასა და ეფექტიანობის ზრდას, დაინერგოს შიდა კომუნიკაციის ერთიანი პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც დაეხმარება თანამშრომლებს საკუთარი საქმიანობის უკეთესად დაგეგმვაში, განხორციელებაში, შეფასებასა და შესაბამის ანგარიშგებაში. ახალი რეგულაციები ხელს უწყობს მენეჯმენტსა და პერსონალს შორის ეფექტიან კომუნიკაციას. ამას გარდა, კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კრისტალის, როგორც მიმზიდველი დამსაქმებლის იმიჯის ფორმირებას და HR-ბრენდინგს. 2018 წელს შემუშავდა „კრისტალის - საუკეთესო დასაქმების ადგილის“ კონცეფცია, რომელიც მოიცავს კომპანიის საქმიანობის ყველა ასპექტს, ყველა HR-პროცესს, პრაქტიკულ საქმიანობასა და ყველა იმ პირობას, რომელიც აუმჯობესებს თანამშრომლების კმაყოფილებას და კომპანიისადმი მათ ერთგულებას განაპირობებს. 2018 წლის განმავლობაში „კრისტალმა“ მოაწესრიგა თავისი IT სამსახური და მკაფიოდ გამოიჭნა ერთმანეთისაგან ოპერაციები, განვითარება, ხარისხის კონტროლი, კიბერუსაფრთხოება და პროექტების მართვა.



**ინოვაციების მართვა**

**ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კრისტალის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. ამ მიზანს ემსახურებიან ინოვაციების უფროსი ოფიცერი, უფროსი საინფორმაციო ოფიცერი და მათი სამსახურები.**

ინოვაციურ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

**აგრო ბუტიკები**

აგრო ბუტიკები 2016 წელს დაწყებული პროექტია, რომელიც გულისხმობს ურბანული ცენტრებიდან მოშორებულ დასახლებულ პუნქტებში მაღალი ხარისხის ფინანსური სერვისის ადგილზე მიწოდებას მცირე სერვისცენტრების საშუალებით. აგრო ბუტიკებს არ ჰყავთ ლოკალური მენეჯმენტი და სისტემა თვითრეგულირებადია. მათი დაკრედიტება ასევე ითვალისწინებს სესხის ოფიცრების ცალ-ცალკე სპეციალიზაციას გაყიდვებისა და ანალიტიკის სფეროში. 2018 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამატებით შვიდი ბუტიკი გაიხსნა.

**„აკიდო“ - ონლაინ აგროპლატფორმა**

„აკიდო“ არის ელ-კომერციის და განვადების პლატფორმა, სადაც განვადების შესაძლებლობასთან ერთად პროდუქტების არის თავმოყრილი. პლატფორმა შეიქმნა KfW და ევროკომისიის

თანადაფინანსებით. პლატფორმაზე არსებითად განთავსებულია აგროსაქმიანობის დამხმარე ინვენტარი, მასალა, ქიმიური საშუალებები და ა.შ. პლატფორმა 2017 წელს პილოტირების რეჟიმში მუშაობდა. როგორც გაყიდვის არხი, იგი აქტიურად გამოიყენებოდა 2018 წელს, რამაც აგროგანვადებები გააორმაგა.

**აგრობარათი**

აგრობარათი არის ფერმერებისთვის შექმნილი ერთგულების ბარათი, რომელიც გადაეცემა აგრო კლუბის წევრებს. ბარათის მფლობელები იღებენ ფასდაკლებას აგროპროდუქტებზე, და სესხებზე. 2018 წელს აგრობარათი ათასზე მეტ მომხმარებელს გადაეცა.

**მწვანე დაფინანსება**

2017 წლის ოქტომბრიდან წამოვიწყეთ კრისტალის მწვანე დაფინანსების პროექტის განხორციელება, რომელიც მხარდაჭერილია FMO საკრედიტო რესურსითა და ფრანკფურტის

სკოლის ტექნიკური დახმარებით. პროექტი გულისხმობს კრისტალის მომხმარებლებისათვის ენერგოეფექტიანი და კვლანარმოებადი ენერჯის გამოსამუშავებლად საჭირო მოწყობილობების განვადებით შეთავაზებას. პროექტის ფარგლებში გაწეული სამუშაოების შედეგად ჩამოყალიბდა მწვანე მიმართულების პროდუქტები, მოწესრიგდა ანგარიშგება და დაიწყო CO<sub>2</sub>-ის კვალის (foot print) გაზომვა. 2018 წელს კრისტალმა მწვანე დაკრედიტების შედეგად 5 მილიონი ლარის პორტფელი დააგენერირა, რაც ორჯერ აღემატებოდა გეგმას.

**მობილური საფულე**

მობილური საფულე არის ციფრული პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საბანკო ანგარიშის გარეშე იქონიოს ვირტუალური ფული და უნაღოდ განახორციელოს სხვადასხვა ტრანზაქციები: ფულადი გზავნილები, კომუნალური გადახდები, სესხის დაფარვა და სხვა სერვისები.



## საინფორმაციო ტექნოლოგიები

### ძირითადი მაჩვენებლები

IT მიმართულებების სწორი განვითარების უზრუნველსაყოფად, გაანალიზდა კომპანიის ბიზნეს სტრატეგია და მომდევნო 5 წლის საჭიროებები, შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია თითოეული მიმართულებით. შეიქმნა და განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ძირითადი საინფორმაციო ტექნოლოგიების პროცესები და პროცედურები, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების მართვა, შესაძლებლობების დაგეგმვა, განაცხადის სასიცოცხლო ციკლის მენეჯმენტი, პროგრამული ვერსიების მართვა, ISO 27001

პროცესები და პროცედურები, ინციდენტების მენეჯმენტი, ცვლილების მართვა (მიმდინარე პროექტი) და ა.შ. სხვადასხვა განყოფილებებსა და როლებს შორის მოვალეობის შეჯერება შესრულდა სათანადო განაცხადის განვითარების სასიცოცხლო ციკლის, ოპერაციების, ბიზნესის უწყვეტობისა და საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების საჭიროებების უზრუნველსაყოფად. განვითარდა საჭირო როლები. განხორციელდა სხვადასხვა პროექტები ბიზნესისა და IT პროცესების გაუმჯობესებისა და ბიზნესის საჭიროებების ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

### ახალი სტრუქტურა

2018 წლის მაისიდან განხორციელდა ცვლილებები უფროსი ინფორმაციების ოფიცრის სტრუქტურაში, რაც მიზნად ისახავდა კომპანიის ფუნქციონირებისა და ბიზნესის ასპექტში მოთხოვნების ხელშეწყობასა და უკეთესი ხარისხისა და მაღალი პერფორმენსის მიღწევას. ცვლილებების საფუძველზე შეიქმნა ახალი როლები და ორგანიზაციული ერთეული. პროექტის მენეჯმენტი და ბიზნეს ანალიზის განყოფილება - მენეჯმენტის სტრუქტურა, რომელიც ახდენს პროექტთან დაკავშირებულ მმართველობითი პროცესების

სტანდარტიზებას და ხელს უწყობს რესურსების გაზიარებას, მეთოდოლოგიას, ინსტრუმენტებსა და ტექნიკას. კომპანიის საჭიროებებზე დაყრდნობით, კომპანიის მასშტაბით ყველა პროექტის (IT და არა IT პროექტები) მართვის და კონტროლის მიზნით, შეიქმნა პროექტის მენეჯმენტის ოფისი. კომპანიის საჭიროებებზე დაყრდნობით, გაანალიზდა სხვადასხვა მეთოდოლოგია და გადაწყდა ჩანჩქერის და ეჯაილ მეთოდოლოგიების გამოყენება, თითოეული პროექტის მოთხოვნილებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

PMO გუნდი შეიქმნა თითქმის ნულიდან და ამჟამად კომპანიის მასშტაბით მართავს 40 სტრატეგიულ და 130 სტანდარტულ პროექტების პორტფელს. 2018 წლის მაისიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით, რვა თვის განმავლობაში, დასრულდა 25 პროექტი. შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი სხვადასხვა ეტაპზე - ეროვნული ბანკის რეგულაციებთან ადაპტაცია, ERP, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, სქორინგის სისტემა, გადაწყვეტილების მართვის სისტემა, პროექტების მართვის ოფისი, ISO 27001, WAF, თანამშრომელთა დიჯიტალიზაცია, ელექტრონული არქივი, ბიზნეს პროცესის ავტომატიზაცია და ა.შ.

### ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოება

ორგანიზაციაში ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიქმნა ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების განყოფილება. განყოფილება დაკომპლექტებულია 2 თანამშრომლით, რომლებიც კომპანიაში ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ორგანიზაციაში გადაწყდა ISO 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტის დანერგვა. ISO/IEC 27001:2013 (ISO 27001) არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც აღწერს საუკეთესო პრაქტიკას ეუმსისთვის (ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა). ISO 27001 სტანდარტისთვის აკრედიტირებული სერტიფიცირების მიღება აჩვენებს, რომ კომპანია წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკას და უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, ექსპერტულ შემოწმებას, რომ ინფორმაციული უსაფრთხოება იმართება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და ბიზნესის მიზნების შესაბამისად. პროექტი მიმდინარეობს, ISO 27001 სტანდარტის ფარგლებში დაიფარება 140 კონტროლის

ერთეული, ამ ეტაპისთვის შეიქმნა და დამტკიცდა 60 ერთეულამდე პროცედურა და პოლიტიკა, შეიქმნა ცნობიერების ამაღლების პროგრამა და აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა თანამშრომელთა ტრენინგი.

### პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი

SQA გუნდი გამოეყო ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების განყოფილებას, რათა უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესება და უკეთესი კონტროლი წარმოების პროცესში. მცირე გუნდმა (2 თანამშრომელი) შეასრულა მნიშვნელოვანი ცვლილებები SQA პროცესში, მათ შორის, ტესტირების საქმისწარმოების ახალი განაცხადის განხორციელება, ტესტირების პროცესში სათანადო ანალიზის, დაგეგმვისა და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიული ანგარიში



### ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციები

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ოპერაციების გაუმჯობესების, პროექტების მხარდაჭერის და ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგა ახალი პროცესები და ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტები. ხაზგასასმელია რამდენიმე პროექტი, მათ შორის, მონაცემთა ცენტრის ცვლილება - ფიზიკური მიგრაცია ახალ ლოკაციაზე, ბიზნეს უწყვეტობის გაუმჯობესება, აპარატურის აფგრეიდი, სასერვერო ინფრასტრუქტურის ვირტუალიზაცია და ოპტიმიზაცია, ეროვნული ბანკის საკანონმდებლო ცვლილებები: რეზერვების პოლიტიკა, ძირითადი სისტემის განახლება, UCC-სთან ინტეგრაცია, ცვლილებები კრედიტ ინფოში.

ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებაში უზარმაზარი გაუმჯობესება, მათ შორის მომხმარებლის დაცვა და სერვერისა და ქსელური ინფრასტრუქტურული ცვლილებები, უზრუნველყოფს მდგრად და უსაფრთხო ინფრასტრუქტურასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციებს. მომხმარებლის გაცეფრულება ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პროექტს. პროექტი დაიწყო 2018 წელს, არსებული ელ-ფოსტის

გარემოდან განხორციელდა ოფის 365-ზე გადასვლა, რაც ცვლის ბიზნესის მუშაობის სტილს და უზრუნველყოფს სხვადასხვა საკომუნიკაციო და ურთიერთ თანამშრომლობის ინსტრუმენტების გამოყენებით ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერი მოწყობილობით მუშაობის შესაძლებლობას, მოქნილობას, უახლეს ტექნიკას თანამშრომლებისათვის, მეტ პროდუქტიულობასა და თანამშრომლობას, ინფრასტრუქტურის სირთულის შემცირებას და უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

### განვითარების განყოფილება

განვითარების განყოფილებისთვის შეიქმნა ახალი სტრატეგია, რაც შეიცავს პროგრამირების განხორციელებას, დომენზე ორიენტირებული დიზაინის მიდგომას, წყაროების მართვას, კოდის ხედვასა და სხვა პროცესებს, განაცხადის მხარდაჭერას, დანერგვასა და ადმინისტრაციულ პროცესს. შიდა განვითარება ძირითადად კონცენტრირებულია ციფრული პლატფორმა აკიდოსა და სესხის წარმოების განვითარებაზე/ გადაწყვეტილების მიღების სისტემაზე, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2018 წლის მეორე ნახევარში კრისტალმა შექმნა ბიზნეს ინტელიჯენსის სისტემა.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციების განყოფილებას შორის მოვალეობების სეგრეგაცია, მათ შორის სეგრეგაციის განვითარება, ტესტირება და წარმოების გარემო დაინერგა სათანადო განვითარებისა და ცვლილებების მართვის პროცესის უზრუნველსაყოფად.



**მმართველობითი ანგარიში**

ფოტოს ავტორი: არჩილ გეგენავა



აქციონერთათვის წლიური ანგარიშის წარდგენა და აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების მიწოდება ჩვენი პასუხისმგებლობაა. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არის სანდო, დაბალანსებული და გასაგები. იგი აქციონერებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას კომპანიის მდგომარეობასა და საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

სს მისო „კრისტალის“ („კრისტალი“) სამეთვალყურეო საბჭოს სახელით წარმოგიდგენთ წლის სტრატეგიულ ანგარიშსა და გარე აუდიტორის მიერ მომზადებულ თანხმებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას. ეს არის სანდო, დაბალანსებული და გასაგები ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია აქციონერების მიერ კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად. ანგარიშში ხაზგასმით არის მითითებული ძირითადი ოპერაციული და ფინანსური შედეგები, წარმოდგენილია მთავარი მიღწევები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც კომპანია 2018 წელს აღმოჩნდა. ასევე მოცემულია მომდევნო საანგარიშო პერიოდის გეგმები. 2018 წლის ანგარიში შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის გასაჯაროების სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად.

არჩილ ბაკურაძე  
სამეთვალყურეო საბჭოს  
თავმჯდომარე

### სამეთვალყურეო საბჭო

კრისტალს ხელმძღვანელობს ეფექტიანი სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისგან, მათ შორის არის ორი დამოუკიდებელი წევრი და ორი ინვესტორის წარმომადგენელი. ორი წევრი საქართველოს მოქალაქეა და მათი საქმიანობის ადგილი ძირითად საქართველოა. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.

### თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამოიწველია მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობისა და მისი ფუნქციების ყველა ასპექტის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ბაკურაძის (საქართველო) მოვალეობები განსაკუთრებულად არ შეცვლილა. იგი ფინანსისტი, მეწარმე და კრისტალის დამფუძნებელია<sup>3</sup>. გარდა ამისა, არის ორი სხვადასხვა კომპანიის: საქართველოში - საგადასახადო სისტემის მიმწოდებლისა და გაერთიანებულ სამეფოში - სამომხმარებლო ფინანსების კომპანიის თანადამფუძნებელი. გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მართვის ორგანომ (FCA) არჩილ ბაკურაძეს არააღმასრულებელი დირექტორის კონტროლირებადი ფუნქცია CF2 (2017) მიანიჭა. იგი ფონდი კრისტალის გამგეობის თავმჯდომარეა და რამდენიმე

არასამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობს. თავმჯდომარე საკუთარი დროის ნახევარზე მეტს კრისტალს უთმობს, ხოლო მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტით. თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშგაღებულ მათ წინაშე. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

### საბჭოს შემადგენლობა

კრისტალი იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, არეგულირებს მის საქმიანობას. იგი ადგენს პროცედურებს, კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლებას. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ლოლაძე (საქართველო) გახლავთ, იგი გამოცდილი

კორპორაციული დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი არყოფნის შემთხვევაში და ხელმძღვანელობს რისკების კომიტეტს. ნიკოლოზ ლოლაძე კრისტალის ელექტრონული გადახდის სერვისების მიმწოდებლის - სს „მობაილ ფაინენს სერვის ჯორჯიას“ აქციონერია, ამიტომ, ამ კომპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხმის მიცემისას იგი თავს იკავებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან (ანბანური თანამიმდევრობით): იან დევინიგაერტი (ბელგია), დანიშნულია Incofin IM-ის მიერ, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტს; ალექს რემტულა (აშშ), დანიშნულია DWM-ის მიერ, ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს; კის იანგი (გაერთიანებული სამეფო), დანიშნულია კრისტალის ფონდის მიერ, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციების კომიტეტს.

### ახალი დამოუკიდებელი წევრი

ლილიტ გარაიანი (სომხეთი), სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრია და 2018 წლის 11 ივლისს დაინიშნა. მას მდიდარი გამოცდილება

აქვს მიკროდაფინანსების, კონსალტინგის, რისკების მართვისა და შიდა აუდიტის მიმართულებით. ლილიტ გარაიანი შიდა აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს.

### სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2018 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გამართა ოთხი უშუალო და ცხრა ვირტუალური შეხვედრა. 2018 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა:

- შიდა აუდიტის კომიტეტი - 3-ჯერ;
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი - 9-ჯერ;
- რისკების კომიტეტი - 3-ჯერ;
- სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტი - 2-ჯერ;
- გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხთა კომიტეტი - 4-ჯერ;
- ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციის კომიტეტი - 4-ჯერ.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის მიერ შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ ანგარიშებს და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად.

<sup>3</sup> არჩილ ბაკურაძე არამომგებიანი ორგანიზაციის საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთის“ (CHCA) დამფუძნებელი და პირველი დირექტორია. სწორედ იქ წამოიწყო მან მიკროსაფინანსო პროგრამა, რომელიც მოგვიანებით, 2004 წელს, სპეციალიზებულ მიკროსაფინანსო ფონდ „კრისტალად“ გადაიქცა. საბოლოოდ, 2007 წელს კომპანია ს.ს. მისო „კრისტალად“ ჩამოყალიბდა.



სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, დირექტორატის დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, სამოქმედო გეგმის შეთავაზებებს აქციონერებისათვის, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

### საბჭოს მხარდაჭერა

სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას ახორციელებს კორპორაციული მდივანი, თავმჯდომარის მხარდაჭერას - აღმასრულებელი ასისტენტი. და ბოლოს, მონაცემთა მოდელისა და ანგარიშების ხარისხის ერთიანობისა და საბჭოს მხრიდან ნდობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა მონაცემთა მმართველობის და ანალიტიკის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

### კორპორაციული მართვა

კრისტალის კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კომპანიის მისიისა და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა კორპორაციული სტრატეგიის ყოველწლიური შეფასება და მიზნების მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებში ასახვა. ყველა უფროსი ოფიცერი ინიშნება ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მათი ცვლადი კომპენსაციისათვის. აღნიშნული გეგმები გადაეცემათ ბიზნეს ან სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც სამოქმედო გეგმებად გარდაიქმნება და იზომება შესრულების შედეგების მთავარი ინდიკატორებით.

ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიზანია, რომ საბჭომ უზრუნველყოს კრისტალის მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული და ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომების შენარჩუნება. ამ მიზნით საბჭო ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა ჩაბმულობის კვლევას. და ბოლოს, სოციალური კომიტეტი ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს სოციალური ზემოქმედების ხარისხს. კრისტალს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მკაცრი პოლიტიკა აქვს, რომელიც რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს წესებითა და პროცედურებით და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსით.

კრისტალი მოწოდებულია მაქსიმალურად შეუსაბამოს თავისი კორპორაციული მართვის სისტემის მოდელი გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს. განხორციელების შესახებ ანგარიში მოცემულია დანართში N1.

### ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

კრისტალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლას. 2018 წლის განმავლობაში საფუძვლიანად გაძლიერდა როგორც ორგანიზაციული სისტემები, ისე AML-ის მიმართულებით მომუშავე გუნდი. 2018 წლის მიღწევებს შორის აღსანიშნავია:

- ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება;
- მოწესრიგდა სანქციურულ პირთა ბაზასთან წვდომა და მოხდა პროცედურის ავტომატიზაცია;
- სრულად ჩამოყალიბდა შესაბამისობის სამსახური;
- შესრულდა სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციების უმრავლესობა;
- 2018 წელს დაიგეგმა და წარმატებით დაიწყო ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ტრენინგები, რომლის მიზანია ფილიალებში დასაქმებული კადრების ცნობიერების ამაღლება AML მიმართულებით.





# სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



**არჩილ ბაკურაძე**

სამეთვალყურეო საბჭოს და აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის თავმჯდომარე, გახლდათ მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარე, ამჟამად კი მისი გამგეობის წევრია. არჩილ ბაკურაძე არის ფონდი კრისტალის გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004) გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ჩივინგის სტიპენდიის გზით, არის ჯონ სმიტის ფონდის (2000) სტიპენდიტი და ჰოლანდიის დევნილთა ფონდის „Stichting Vluchteling“ „Van Heuven Goedhart“-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).



**ნიკოლოზ ლოლაძე**

თავმჯდომარის მოადგილე და რისკების კომიტეტის ხელმძღვანელი. ნიკოლოზ ლოლაძეს აქვს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მუშაობის 10 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება. არის სხვადასხვა მსხვილი ბიზნესისა და არამომგებიანი ორგანიზაციის დამაარსებელი და საბჭოს წევრი საქართველოში. როგორც მართვის საკითხების ექსპერტი, არის სხვადასხვა ბიზნესისა და არამომგებიანი ორგანიზაციის მრჩეველი და საბჭოს წევრი, მათ შორის, საქართველოს საფონდო ბირჟის, სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალის“, სს Mobile Finance Eurasia, გაერთიანებული სამეფოს-საქართველოს პროფესიული ქსელის და შპს Anchor Consulting. იგი სწავლობდა მაგისტრატურაში მართვის (უორვიქი, გაერთიანებული სამეფო) და ფიზიკის (თბილისი, საქართველო) მიმართულებით. მიღებული აქვს სერტიფიკატი პროექტის მართვაში, პოლიტიკის ანალიზსა და სახელმწიფო მართვაში.



**იან დევინგარტი**

სტრატეგიის, მონაცემებისა და ინოვაციების კომიტეტის თავმჯდომარე, 2015 წლიდან იგი არის Incofin IM კერძო ინვესტიციათა ფონდის დირექტორი. წინა წლებში იგი იყო GIMV-ის (2012-2015) პარტნიორი; Eagle Venture Partner-ის (2001-2015) მმართველი დირექტორი; ანალიტიკოსი, ინვესტიციათა მმართველი, ინვესტიციათა უფროსი მმართველი, ინვესტიციათა უფროსი აღმასრულებელი მმართველი და დირექტორი GIMV-ში (1989-2011); KBC Bank-ის მრჩეველი (1983-1989). მან საწარმოო პოლიტიკა და მშენებელი ინჟინრის სპეციალობა ლეუვენის (ბელგია) კათოლიკურ უნივერსიტეტში, ხოლო კორპორაციულ საფინანსო სტრატეგია საფრანგეთში შეისწავლა.



**ლილიტ გარაიანი**

ფინანსისტი, „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის 11 ივლისიდან. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვის და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, არის პროკრედიტის კორპორაციის უმაღლესი რგოლის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული, არის ACCA-ს წევრი, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



**ალიმ რემტელა**

გარემოსდაცვითი და სოციალური კომიტეტის თავმჯდომარე. მისი კარიერა საინვესტიციო საბანკო სფეროში - JP Morgan-ში დაიწყო. აქვს სოციალურად პასუხისმგებელი, ორმაგი და სამმაგი პოზიტიური სოციალური გავლენის მქონე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით მიზნობრივი სოციალური ინვესტირების 10 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება კერძო საინვესტიციო ფონდებში აშშ-სა და ევროპაში. არის DWM-ს კერძო ინვესტიციათა იმ გუნდის პარტნიორი, რომელიც მოიცავს ლათინო ამერიკას, აზიასა და კავკასიას. მას მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის ბიზნესსკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი - პრინსტონის უნივერსიტეტში.



**კის იანგი**

ეკონომისტი, ადამიანური რესურსების, კომპენსაციის და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე. ის გახლავთ ინტერნეტის, კომუნიკაციისა და გამომცემლობის სფეროებში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე მენეჯერი. კისი არის ღია ტიპის სააქციო საზოგადოებების „cScape“ აღმასრულებელი თავმჯდომარე და ღია ტიპის საზოგადოების „NBT“ თანადამაარსებელი და საბჭოს წევრი. იგი ფლობს ლონდონის ეკონომიკის სკოლის ხარისხს და ასევე აქვს სხვადასხვა სექტორის კომპანიების მენეჯმენტის და ინვესტირების ფართო გამოცდილება. კის იანგი ხანგრძლივი დროის მანძილზე გახლავთ ელექტრონული გადახდების სფეროში საქართველოში ოპერირებადი წამყვანი სააქციო საზოგადოების „Mobile Finance Eurasia“-ს ინვესტორი.

მმართველობითი ანგარიში



# მმართველი გუნდი



## დავით ბენდელიანი

უფროსი ფინანსური ოფიცერი, 2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტის განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.

## მანუჩარ ჩიტაიშვილი

ინოვაციების უფროსი ოფიცერი, 2005 წელს იყო ქუთაისის თვითმმართველობის დეპარტამენტის უფროსი. 2001 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში. კრისტალს 2006 წელს შეუერთდა. მას დამთავრებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, არის საჯარო ადმინისტრირების მაგისტრი, მიღებული აქვს ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი. გავლილი აქვს სასწავლო კურსი სტრასბურგში, ევროპის საბჭოში.

## კაბა გაბესკირია

უფროსი ბიზნეს ოფიცერი, 2001-დან 2009 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა საშუალო და უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელ თანამდებობებზე სს „პროკრედიტ ბანკი საქართველოს“ ფოთისა და ზუგდიდის ფილიალებში. 1995-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად. 2000-დან 2001 წლამდე იყო სესხების ოფიცერი საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. კრისტალს 2009 წელს შეუერთდა. სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო სუბტროპიკული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე, გავლილი აქვს BFC-ის ტრენინგები: რისკის მართვა და შიდა აუდიტი, მიკროდაკრედიტება და საკრედიტო სქორინგი; შეისწავლა აგროდაკრედიტების საკითხები ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლაში, აგრეთვე გავლილი აქვს „პროკრედიტ ბანკის“ შიდა ტრენინგები.



## სერგო ნომბაძე

ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების უფროსი ოფიცერი, მუშაობდა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების ცენტრში, ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციაში და ბანკ რესპუბლიკაში. იგი სწავლობდა ლონდონის ბიზნესისა და ფინანსების სკოლაში, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი. დამთავრებული აქვს საქართველოს საგადასახადო და საბაჟო აკადემიის ბიზნესმენეჯმენტის ფაკულტეტი.

## ბექა ციციშვილი

უფროსი საინფორმაციო ოფიცერი 2018 წლიდან, იყო „აჭარა გრუპის“ უფროსი საინფორმაციო ოფიცერი, მუშაობდა შპს „ავიატორისა“ და ბანკ რესპუბლიკაში საინფორმაციო სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არის შპს „ნექსტ სტეპის“ თანადამფუძნებელი. მას მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ბიზნესისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის გრენობლის ბიზნესის სკოლაში, კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრის ხარისხი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.



# კრისტალი

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია

## კომიტეტების ანგარიშები

კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს მმართველობის სფეროში ექვსი კომიტეტი ფუნქციონირებს. კომიტეტი არ იღებს გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარე კრედიტორები აქტივებისა და პასუხისმგებლობების კომიტეტს გადასცემენ და გარკვეულ უფლებამოსილებას აკისრებენ. კომიტეტი პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებით უზრუნველყოფისათვის.

### ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია საკადრო სტრატეგიების კონტროლის, საქმიანობის შეფასებისა და ანაზღაურებისათვის, გარდა ამისა, მისი ფუნქციაა უფროსი ოფიცრებისა და საბჭოს წევრების კანდიდატურების წამოყენება. კანდიდატების დასახელება ეფუძნება საბჭოს შეფასების დროს განსაზღვრულ საბჭოს პროფესიულ საჭიროებებს. თავმჯდომარე შეარჩევს კანდიდატურებს საბჭოს სხვა წევრებს შორის ან ღია კონკურსის მეშვეობით; მანამდე საბჭომ უნდა განსაზღვროს შერჩევის კრიტერიუმები და კანდიდატები

შეაფასოს ამ კრიტერიუმების მიხედვით. ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი კვლევისა და გასაუბრებ(ებ) ის საფუძველზე სთავაზობს აქციონერებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის კანდიდატურას. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასახელების შემდეგ, აქციონერთა კრება უფლებამოსილია დანიშნოს საბჭოს ახალი წევრი, რომლის უფლებამოსილების მაქსიმალური ვადაც განისაზღვრება წესდებით და აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე.

### აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO)

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად თავმჯდომარის (ALCO-ს თავმჯდომარე), ინვესტორების წარმომადგენლების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის (CEO), უფროსი ფინანსური ოფიცრის (CFO) და უფროსი ბიზნეს ოფიცრის

(CBO) შემადგენლობით. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის მიზანია კრისტალში აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ზედამხედველობა, რაც მოიცავს: ბალანსისა და მოგება-ზარალის მონიტორინგს, ფულადი სახსრების მოძრაობისა და ლიკვიდურობის დაგეგმვას, დაფინანსების წყაროებს, საპროცენტო განაკვეთებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენას, საპროცენტო, სავალუტო, კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდურობის რისკების ანალიზსა და მართვას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე განიხილავს ALCO-სთან დაკავშირებულ ისეთ ანგარიშებს, როგორებიცაა: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საბაზრო წილის ანალიზი და ანგარიში ბიზნესგეგმის განხორციელების შესახებ. ALCO-ს ამჟამინდელი პოლიტიკა ასახულია ინდიკატორთა ჩამონათვალში. იგი არის წლიური ბიუჯეტის ნაწილი და მას, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო.

### რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტის მიზანია რისკების ერთობლიობის მეთვალყურეობა, გარდა იმ რისკებისა, რომლებსაც ALCO მოიცავს. კომიტეტის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული საკრედიტო და საოპერაციო რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების გაწევა იმ სისტემებსა და პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა იქნეს ინტეგრირებული ან საჭიროებს გაუმჯობესებას რისკების მართვისა და შემცირების უზრუნველსაყოფად. კომიტეტი არის სათათბირო ორგანო. იგი არ იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ გასცემს რისკებთან დაკავშირებული იმ საკითხების განხილვისა და გამოვლენის უფლებას, რომლების თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მმართველმა საბჭომ და მთავარმა ოფიცრებმა. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი ნამეტისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომლებიც აუცილებელია „კრისტალის“ მიერ სტრატეგიული რისკების სამართავად და შესამცირებლად.

### სტრატეგიის, მონაცემებისა და ინოვაციების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს „კრისტალის“ მიერ სტრატეგიის განხორციელება; კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინოს საქმიანობის სტრატეგიულ ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. კომიტეტი უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობას. კომიტეტის მოქმედების სფერო ასევე მოიცავს ინოვაციური პროექტების ზედამხედველობასა და მონაცემთა ტრანსფორმაციის სტრატეგიის განხორციელებას.

### გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის ზედამხედველობა. კომიტეტის ამოცანაა კომპანიის კორპორაციული გარემოსდაცვითი, სოციალური პასუხისმგებლობის, მომხმარებელთა დაცვისა და საპასუხისმგებლო დაფინანსების პრინციპებისა და საქმიანობის განსაზღვრა და ასევე მათი

განხორციელების მონიტორინგი. კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინონ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტებზე და გაზარდონ თავიანთი ძალისხმევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით.

### შიდა აუდიტის კომიტეტი

შიდა აუდიტის კომიტეტს ქმნის სამეთვალყურეო საბჭო. შიდა აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტორების მუშაობის ხელშეწყობა და მათთვის დახმარების გაწევა. შიდა აუდიტის კომიტეტის მიზანია „კრისტალში“ შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვა, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი და მმართველობითი საბჭოს მუშაობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ეს საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც უფრო ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება იქნება შესაძლებელი.

მმართველობითი ანგარიში



კრისტალი

ფინანსური ჩართულობის  
ორგანიზაცია

## ფინანსური ანგარიში

ფოტოს ავტორი: არჩილ გეგენავა



### სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში “კომპანია”) და მისი შვილობილის - შპს კრისტალ გრუპის (შემდგომში “ჯგუფი”) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოდებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ინფორმაციის ასახვაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 25 ივნისს

დირექტორთა საბჭოს სახელით:

დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 25 ივნისი  
საქართველო, თბილისი



**სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:**

#### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

#### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი *„პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“* (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

#### აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხები არის ის საკითხები, რომელიც, ჩვენი პროფესიული განსჯით, მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ეს საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში ერთიანად იქნა განხილული და მასზე არ გამოვთქვამთ ცალკეულ მოსაზრებას.

#### რატომ იყო საკითხი ძირითად საკითხად განსაზღვრული

#### მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე

ჯგუფმა ნაადრევად დანერგა ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები 2016 წლის 1-ლ იანვარს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში პირველად ასახა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### ერთნაირი რისკის მახასიათებლების მქონე კლიენტებისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის რისკის შეფასება, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განსაზღვრა კოლექტიურად ხდება.

ერთნაირი რისკის მახასიათებლების მქონე კლიენტებისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის რისკის შეფასება, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განსაზღვრა კოლექტიურად ხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) განსაზღვრა გულისხმობს მოდელების გამოყენებას, რომლებიც ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს, გარე და შიდა წყაროებზე დაყრდნობით მომზადებულ გონივრულ სამომავლო პროგნოზებს და გულისხმობს, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სუბიექტური და კომპლექსური შეფასების გამოყენებას.

შეფასების ძირითადი არეალი უკავშირდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის შემთხვევის ამოცნობას. ასევე, სესხების განაწილებას გაუფასურების შესაფერის ეტაპზე.

მეთოდოლოგიის სირთულის, მოდელში გამოყენებული დაშვებების სუბიექტურობისა და კლიენტებზე გაცემული სესხების მნიშვნელობის გამო საკითხი მიჩნეულია, როგორც აუდიტის ძირითადი საკითხი.

დაშვებებისა და შეფასებების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით.

#### როგორ გადავჭერთ აუდიტის ძირითადი საკითხები

ჩვენ გავაანალიზეთ ჯგუფის მიერ დანერგილი პროცესი და კონტროლები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებით, დეფოლტის რისკისა და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები მიზნად ისახავდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის, მასში გამოყენებული ინფორმაციისა და დაშვებების შეფასებას:

- ჩვენ შევამოწმეთ, რომ მსზ-ს მეთოდოლოგია წინა წელს გამოყენებულ მოდელთან შესაბამისია;
- ჩვენ შევამოწმეთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში გამონვეული დანაკარგისა და დეფოლტის რისკის პოზიციის კალკულაციებში; გავაანალიზეთ, რამდენად შეესაბამებოდა დაშვებები ინდუსტრიაში მიღებულ პრაქტიკას და რამდენად ასახავდა ჯგუფის ძველ გამოცდილებას;
- ჩვენ შევაფასეთ ხელმძღვანელობის დაშვებების მართებულობა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის რისკის განსაზღვრისას.
- რისკის მიხედვით განსაზღვრულ შერჩევაზე ყველა არსებული ინფორმაციის გამოყენებით შევამოწმეთ გაუფასურების ეტაპებს შორის განაწილების სისწორე;
- კლიენტებზე გაცემული სესხების შერჩევაზე ჩავატარეთ ალტერნატიული კალკულაციები და შევადარეთ მენეჯმენტის კალკულაციებს;
- ჩვენ შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში გამოყენებული მონაცემების სისრულე და სისწორე.

ჩვენ გავაანალიზეთ იმ მოვლენების გავლენა, რომლებიც მენეჯმენტს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში და შევაფასეთ მათი ეფექტი.



ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

#### ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის უნარი, განაგრძოს უწყვეტი სანარმოს პრინციპით საქმიანობა. აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი სანარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ან მისი შვილობილების ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

#### აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი სანარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ

მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი სანარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის მიწოდებული საკითხებიდან, ჩვენ გამოყვავით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც წარმოდგენილია აუდიტის ძირითად საკითხებში.

#### სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; ასევე -ისეთი შიდა კონტროლების დანერგვაზე, რომელთაც ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ იმისათვის, რომ მოამზადოს მმართველობითი ანგარიშგება არსებითი ცდომილებების, თაღლითობისა და ხარვეზების გარეშე.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის დასადგენად, რომ მმართველობითი ანგარიში მომზადებულია საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად და მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რასაც მოითხოვს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ჩვენ ჩვენი შეხედულებისამებრ შევარჩიეთ და ჩავატარეთ პროცედურები, რომლებიც მოიცავს, არა მხოლოდ გამოკითხვას, ასევე, დოკუმენტაციის ანალიზსა და განხილვას; კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიისა და ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის შედარებას, საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; ასევე, რიცხვითი და სხვა მონაცემების გადათვლას, შედარებასა და გადამოწმებას.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;
- 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშგება შეიცავს საქართველოს კანონის მიხედვით მოთხოვნილ ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;
- 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ მმართველობით ანგარიშგებაში მოყვანილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ჯონ რობინსონი

შპს დელოიტი და ტუშის სახელით

(ხელმოწერა)

თბილისი, საქართველო

25 ივნისი, 2019



	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	5	72,743	53,847
საპროცენტო ხარჯი	5	(20,220)	(13,754)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვამდე</b>		<b>52,523</b>	<b>40,093</b>
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე	12	(8,544)	(3,712)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>43,979</b>	<b>36,381</b>
საკომისიო შემოსავალი	6	2,452	1,719
წმინდა ბარალი მოგება-ზარალი რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე		(1,523)	(3,877)
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		(6,205)	893
სხვა საოპერაციო შემოსავალი		111	30
<b>წმინდა არასაპროცენტო ხარჯები</b>		<b>(5,165)</b>	<b>(1,235)</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>38,814</b>	<b>35,146</b>
თანამშრომელთა ხარჯები	7	(17,870)	(14,157)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	13, 14	(2,405)	(1,919)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(11,360)	(9,005)
<b>მოგება მოგების გადასახადამდე</b>		<b>7,179</b>	<b>10,065</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(1,746)	(1,930)
<b>წლის წმინდა მოგება</b>		<b>5,433</b>	<b>8,135</b>
სხვა სრული შემოსავლები		-	-
<b>სულ სრული შემოსავლები</b>		<b>5,433</b>	<b>8,135</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი

*დ. ბენდელიანი*

2019 წლის 25 ივნისი  
საქართველო, თბილისი

63-137 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	13,953	14,320
მოგება-ზარალი რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	11	442	1,585
კლიენტებზე გაცემული სესხები	12	264,608	198,045
ძირითადი საშუალებები	13	7,699	5,309
არამატერიალური აქტივები	14	1,552	1,325
გადავადებული საგადასახადო აქტივები	9	2,500	1,954
სხვა აქტივები	15	4,293	3,615
<b>სულ აქტივები</b>		<b>295,047</b>	<b>226,153</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მოგება-ზარალი რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	11	1,659	591
ნასესხები სახსრები	16	230,917	167,700
სავალო ფასიანი ქაღალდები	17	9,945	9,880
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		104	297
სხვა ვალდებულებები	18	1,435	1,369
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>244,060</b>	<b>179,837</b>
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	19	3,061	3,052
საემისიო კაპიტალი	19	12,718	12,551
წილობრივი გადახდის რეზერვი	19	-	68
გაუნაწილებელი მოგება		35,208	30,645
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>50,987</b>	<b>46,316</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>295,047</b>	<b>226,153</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი

*დ. ბენდელიანი*

2019 წლის 25 ივნისი  
საქართველო, თბილისი

63-137 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	წილობრივი გადახდის რეზერვი	გაუნანი-ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>2017 წლის 1 იანვარი</b>	<b>3,024</b>	<b>12,130</b>	<b>362</b>	<b>23,510</b>	<b>39,026</b>
წლის სრული შემოსავლები	-	-	-	8,135	8,135
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	19	-	-	(1,000)	(1,000)
წილობრივი გადახდის დარიცხვა	-	-	155	-	155
სააქციო კაპიტალის წილობრივი გადახდით გამოწვეული ზრდა	19	28	421	(449)	-
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,052</b>	<b>12,551</b>	<b>68</b>	<b>30,645</b>	<b>46,316</b>
წლის სრული შემოსავლები	-	-	-	5,433	5,433
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	19	-	-	(870)	(870)
წილობრივი გადახდის დარიცხვა	19	-	-	108	108
სააქციო კაპიტალის წილობრივი გადახდით გამოწვეული ზრდა	19	9	167	(176)	-
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>3,061</b>	<b>12,718</b>	<b>-</b>	<b>35,208</b>	<b>50,987</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი

*დავით ბენდელიანი*

2019 წლის 25 ივნისი  
საქართველო, თბილისი

63-137 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

	შენიშვნა	2018	2017
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მოგება მოგების გადასახადამდე		7,179	10,065
<b>კორექტირებები:</b>			
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		1,523	3,877
ცვეთა და ამორტიზაცია	13, 14	2,405	1,919
საპროცენტო შემოსავალი	5	(72,743)	(53,847)
საპროცენტო ხარჯი	5	20,220	13,754
გაუფასურების დანაკარგები საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე	12	8,544	3,712
წმინდა ზარალი/ (მოგება) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		6,205	(893)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციისგან მიღებული ზარალი	8	27	37
კაპიტალში გამოქვითული წილობრივი გადახდა		108	155
<b>ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილების განხორციელებამდე</b>		<b>(26,532)</b>	<b>(21,221)</b>
<b>საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებები:</b>			
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემცირება		688	2,786
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა		(71,549)	(56,732)
სხვა აქტივების ზრდა		(682)	(1,334)
სხვა ვალდებულებების ზრდა		50	294
<b>საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება</b>		<b>(71,493)</b>	<b>(54,986)</b>
მიღებული პროცენტი		69,187	52,898
გადახდილი პროცენტი		(20,074)	(13,093)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,485)	(2,960)
<b>წმინდა ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(51,397)</b>	<b>(39,362)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(4,476)	(2,437)
არამატერიალური აქტივების შეძენა	14	(597)	(432)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		24	31
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</b>		<b>(5,049)</b>	<b>(2,838)</b>
<b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	16	130,757	118,487
სესხების დაფარვა	16	(74,175)	(81,371)
სავალო ფასიანი ქაღალდის გამოშვებით მიღებული შემოსავლები	17	-	9,871
გადახდილი დივიდენდი	19	(870)	(1,000)
<b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>		<b>55,712</b>	<b>45,987</b>
<b>ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა</b>		<b>(734)</b>	<b>3,787</b>
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა უცხოურ ვალუტაში არსებული ნაღდი ფულის ბალანსზე		367	178
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	14,320	10,355
<b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	10	<b>13,953</b>	<b>14,320</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

დავით ბენდელიანი  
აღმასრულებელი დირექტორი  
2019 წლის 25 ივნისი  
საქართველო, თბილისი

*დავით ბენდელიანი*

63-137 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



# 1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2007 წლის 23 აგვისტოს ფონდი კრისტალის გადანაცვების საფუძველზე (დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 21 აგვისტოს #20 გადაწყვეტილება) 2006 წლის 18 ივლისის “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ 100%-იანი შვილობილი - შპს კრისტალ გრუპი დააფუძნა. შვილობილს აქტიური ოპერაციები ჯერ არ დაუწყია. მისი მთავარი საქმიანობა იქნება მიკროფინანსებისა და ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში ნოუ-ჰაუს ექსპორტი უცხოურ ბაზრებზე.

სს მისო კრისტალისა და შპს კრისტალი გრუპის (შემდგომში „ჯგუფი“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22.

ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

ჯგუფის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება საქართველოში და მისი კლიენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების განვითარებით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო-სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო-სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სესხები, კორპორაციული სესხები და სხვ.

საქართველოში ჯგუფს აქვს ორმოცი ფილიალი და ოცდაორი სერვის-ცენტრი (ე.წ. „ბუტიკები“), ხოლო მისი სათაო ოფისი მდებარეობს ქუთაისში (2017: ორმოცი ფილიალი და თექვსმეტი სერვის-ცენტრი).

2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელები არიან შემდეგი აქციონერები:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<b>პირველი რიგის აქციონერები/გამომწვევული სააქციო კაპიტალის მფლობელები:</b>		
ფონდი კრისტალი	47.37%	47.52%
AGRIF COÖPERATIEF U.A	37.12%	37.23%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.37%	12.41%
ჯგუფის ხელმძღვანელობა	3.14%	2.84%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერია ფონდი კრისტალი, რომელიც შესაბამისად ფლობს აქციების 47.37%-სა და 47.52%-ს.

ფონდი კრისტალი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად: მისი წევრები არ არიან ფონდის მესაკუთრეები და არ სარგებლობენ ეკონომიკური უფლებებით. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის წევრები და მაკონტროლებელი მხარეები არიან: არჩილ ბაკურაძე, პაატა წონონავა, ალუ გამახარია, ფრედერიკ რინოლდ ჰაიდ-ჩემბერსი, კის იანგი და ნიკოლოზ გეგეშიძე. წევრებს ფონდ კრისტალში თანაბარი ხმის მიცემის უფლება აქვთ.

ფინანსური ანგარიში



## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

### შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ("ფასს") შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს ("ბასს") მიერ, ხოლო ინტერპრეტაციები ეკუთვნის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტს („ფასსიკ“).

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ჯგუფი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის სხვა მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება განისაზღვრება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმისდა მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ლი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებსა ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ლ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის შეუძლებელია.

ჯგუფი რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით.

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

### ფუნქციონალური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციის ვალუტა არის ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

### ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს, მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ჯგუფი მოგება-ზარალის ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს და სხვა ერთობლივ შემოსავლებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები.

### საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშში საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივების ერთიანი საბალანსო ღირებულების მიმართ, გარდა:

- შექნილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა. ამ ფინანსური აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს დაკორექტირებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს თავდაპირველად აღიარებული ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე.
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის შექნილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდეგში გახდა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ფინანსური აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ან შემოსავლების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამონუნრვამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანგარიშისას ჯგუფი აფასებს ნაღდი ფულის ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გარდა. ანგარიშში შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ მიღებული და გადახდილი ყველა გადასახადი და პუნქტი, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ყველა სხვა პრემიისა და დისკონტის განუყოფელ ნაწილს.



### საკომისიო შემოსავლების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აისახება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება ფინანსურ ინსტრუმენტში.

როდესაც სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულებამ შეიძლება წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება და კავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც კორექტირება სესხის ეფექტურ განაკვეთზე. სადაც არ არის მოსალოდნელი, რომ სასესხო ვალდებულებამ გამოიწვიოს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება ისე, რომ არ იწვევს სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების განვცისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების განვცისას.

### ფინანსური ინსტრუმენტები

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფმა ადრეულად მიიღო 2014 წლის ივლისის გამოცემული ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, საწყისი აღიარების თარიღით 2016 წლის 1 იანვარი. ფასს 9-ის მოთხოვნები ბასს 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) მნიშვნელოვან ცვლილებას შეიცავს. ახალი სტანდარტი ფუნდამენტურად ცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვას და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის კონკრეტულ ასპექტებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: აქტივები, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით (FVTPL). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის საფუძველზე, ზოგადად ეფუძნება ბიზნეს-მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: „დაფარვის ვადამდე ფლობილი“, „სესხები და მოთხოვნები“ და „გასაყიდად ხელმისაწვდომი“.

ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის.

ფასს 9 ანაცვლებს 'განუღმარების' მოდელს ბასს 39-ში 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მზმ)) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ს შემთხვევაში.

ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პრინციპების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიყენება რეტროსპექტულად. ფინანსური სახსრებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებული განსხვავებების აღიარება გაუნაწილებელი მოგებაში ფასს 9-ის მიღების შედეგად ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

ახსნა-განმარტებები, თუ როგორ იყენებს ჯგუფი ფასს 9-ის მოთხოვნებს, იხ. ქვემოთ.

### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული

გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული პირობით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარების მომენტში, ჯგუფი სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება, როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშვება იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

### ფინანსური აქტივები

#### კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული; რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისთვის, ჯგუფს შეუძლია განახორციელოს შემდგომი რეალური ღირებულების ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადანაცველილება ხორციელდება ყოველი ინვესტიციისთვის ცალკე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

საწყისი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რომელიც ექვემდებარება ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ასახვით ბათილდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამო აღიარებასა თუ შეფასებაში;



ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
წარმოებული ფინანსური აქტივები	სხვა ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული
საღარიბო ნაშთი ბანკებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	ამორტიზებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	ამორტიზებული ღირებულება

### ბიზნეს-მოდელის შეფასება

ჯგუფი ახდენს ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგინდეს პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულებების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელზე (და ამ ბიზნეს მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

### შეფასება, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას ჯგუფი განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს; და
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ჯგუფის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

### რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა ჯგუფის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც ჯგუფი ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირება არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საბუღალტრო/სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან და ბანკებში არსებული თავისუფალი სახსრებისგან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის ვადით, რომლებიც თავისუფალია ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

### კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს. ისინი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდის კონტრაქტებსა და სავალურო სვოპ-ოპერაციებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით მისი ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში მისი გადაფასება ხდება რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.



### გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შექმნილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (ინოვაცია, როგორც 1-ლი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (ინოვაცია, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომლებიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც ახლანდელი ღირებულება სხვაობისა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებასა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურად სესხების ისეთი პორტფელებისთვის, რომელთაც ეკონომიკური რისკების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო განსაზღვრის შესახებ მოცემულია 25-ე შენიშვნაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

### საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამყვამი, მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შექმნა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუ კი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და

არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

### საკრედიტო რისკით გაუფასურებული შექმნილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებულ შექმნილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის ჯგუფი ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში.

### ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის (კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გამოვლენაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე).

ჯგუფი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება ჯგუფს.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ჯგუფი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ჯგუფი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ჯგუფის დონეზე შემუშავებული, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

დამატებითი ინფორმაცია დეფოლტის განმარტების შესახებ მოცემულია 25-ე შენიშვნაში.

### საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ჯგუფი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჯგუფი გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ აღინიშნებოდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, ჯგუფი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

იმის განსაზღვრისას, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ადარებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის რისკს ანგარიშგების დღეს ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის საფუძველზე. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია მოცემულ ვითარებაში. ასეთ ინფორმაციაში შედის: ჯგუფის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა და ზედმეტად დიდი მცდელობის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია საპროგნოზო ინფორმაციის შესახებ მოცემულია 25-ე შენიშვნაში.



თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ ანგარიშგების დღისთვის დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია რამდენიმე ეკონომიკური სცენარის გამოყენება. სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის გამოყენებით მიიღება დეფოლტის ალბათობის სხვადასხვა მნიშვნელობები. სწორედ ამ სხვადასხვა სცენარების შენონვის საფუძველზე მიიღება დეფოლტის შენონილი საშუალო სიდიდე, რომლის საფუძველზეც დგინდება, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

საპროგნოზო ინფორმაციაში შედის საქართველოს ეკონომიკის სამომავლო პერსპექტივები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოპოვებულია ეკონომისტების ანგარიშებიდან, ექსპერტების დასკვნებიდან და შესაბამისი ორგანიზაციებიდან, ასევე ფაქტობრივი და საპროგნოზო ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროებიდან.

ჯგუფი მასთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ მხარეებს მიაკუთვნებს რისკის შესაბამის ჯგუფებს მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით. რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები საპროგნოზო და ჯგუფი იყენებს იმავე მეთოდოლოგიებსა და მონაცემებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

რაოდენობრივი ფაქტორები, რომლებიც მიუთითებენ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე, ასახულია დეფოლტის ალბათობის მაჩვენებელზე დროულად. თუმცა, ჯგუფი ზოგიერთ ხარისხობრივ ფაქტორს იყენებს დამოუკიდებლად იმის შესაფასებლად, ნამდვილად მნიშვნელოვანად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების გადავადების ალბათობას, საკრედიტო ქულებსა და ისეთ ფაქტორებს, როგორცაა უმუშევრობა, გაკოტრება და გარდაცვალება.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფარდობითი მაჩვენებელია, აბსოლუტური პირობებით, დეფოლტის ალბათობაში იგი უფრო მნიშვნელოვანი იქნება დაბალი საწყისი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ვიდრე მაღალი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

როდესაც ადგილი აქვს 30 დღიან ვადა გადაცილებას, ჯგუფი თვლის, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება და აქტივი იმყოფება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ე.ი. ზარალის შეფასების რეზერვი იზომება, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე.

დამატებითი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მოცემულია 25-ე შენიშვნაში.

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შედავათების წარდგენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებებიდან გამოქვითვა;
- რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში მეთოდით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის შეფასების რეზერვის აღიარება არ ხდება, რადგან საბალანსო ღირებულება მოცემულია რეალური ღირებულებით.
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც ანარიცხი; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც წარმოდგენილ, ისე წარმოდგენელ კომპონენტებს, ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ) სესხის კომპონენტზე წარმოდგენილი კომპონენტისგან იზოლირებულად: ჯგუფი წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა წარმოდგენილია, როგორც წარმოდგენილი კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება წარმოდგენილი კომპონენტის საერთო ოდენობაზე წარმოდგენილია, როგორც უზრუნველყოფა.

## ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება ხდება, როდესაც ხდება ხელშეკრულების იმ პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან ხდება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში.

ჯგუფი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას და სხვა პირობების შეცვლას.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისას ჯგუფი აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. ჯგუფის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი (მოდიფიცირებული) პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ჯგუფი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივ ფაქტორები, როგორცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდებისკატეგორიას, ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლას, საპროცენტო განაკვეთის შეცვლას, გადახდის ვადის დადგომას, მოლაპარაკებებს, თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე (მოდიფიკაციაზე);
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, ჯგუფი თვლის, რომ ახალი მოლაპარაკება არსებითად განსხვავდება თავდაპირველი მოლაპარაკებისგან და იწვევს აღიარების შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ხდება რეზერვის ხელმეორედ გამოშვება, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწვევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გამოიღია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. ჯგუფი მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორცაა მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, ახალი პირობების მიხედვით ხომ არ რჩება მსესხებელი ძველი სტატუსით.

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი ადგენს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა ჯგუფის რესტრუქტურისაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ჯგუფის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები ჯგუფის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურისაციის ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული/შეცვლილი პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე.



გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი, იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ ჯგუფი ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი დეფიციტის ანგარიშში.

ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისას, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში) ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ ჯგუფი არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ჯგუფი აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია აქტივისა და თანხების გადახდაზე ვალდებულების ინტერესი. თუ ჯგუფი არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, ჯგუფი კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

**ჩამონერა**

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამონერა ხდება, როდესაც ჯგუფს არ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ), სანამ არ იარსებებს ანაზღაურების რეალური პერსპექტივა. ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწერისთვის თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, ჯგუფის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად.

**ფინანსური ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი**

გამოცემული სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან როგორც სააქციო კაპიტალი ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის უზრუნველყოფის თაობაზე ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების გაცვლის თაობაზე სხვა პირთან ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არახელსაყრელია ჯგუფისთვის, ან ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც შეიძლება გაფორმდეს ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფარგლებში და არ წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც არის წარმოებული ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი შეიძლება ვალდებული იყოს წარმოადგინოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები სხვადასხვა რაოდენობით, ან იყოს ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს საკუთარ აქციებზე, რომელიც შეიძლება შესრულდეს მეთოდებით, გარდა ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული თანხის გაცვლისა ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე.

**წილობრივი ინსტრუმენტები**

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

**ჩვეულებრივი აქციები**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ნაზრდი ხარჯების აღიარება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან, ხდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო თანხების გამოკლებით.

**საემისიო კაპიტალი**

სააქციო კაპიტალის შემთხვევაში, სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტობრივად მიღებულ ანაზღაურებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება საემისიო კაპიტალის სახით.

**წილობრივი გადახდის რეზერვი**

თანამშრომელთათვის წილობრივი სარგებლის გადახდა ხდება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში. ამ გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია ნაჩვენებია მე-7 შენიშვნაში.

თანამშრომელთათვის მინიჭებული წილების რეალური ღირებულება განისაზღვრება მინიჭების დღეს და აღიარდება ჯგუფის კაპიტალში, კერძოდ - წილობრივი გადახდის რეზერვში. გადასაცემი აქციების რაოდენობა განისაზღვრება არა-საბაზრო მაჩვენებლებით. ეს დაშვებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომელთა შედეგადაც კორექტირებები ხორციელდება მოგება-ზარალსა და წილობრივი გადახდის რეზერვში.

**დივიდენდები**

ჯგუფის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება საბალანსო მოგების განაწილების სახით მათი გამოცხადების პერიოდში.

**ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, ან როგორც «მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები» ან «სხვა ფინანსური ვალდებულებები».

**მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულად ითვლება, თუ იგი (i) განკუთვნილია გასაყიდად ან (ii) დასახელებულია მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულად.

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში ნებისმიერი მოგება-ზარალი, რომელიც წარმოიშვება განმეორებითი გამოშვების დროს, ასახულია მოგება-ზარალში. მოგება-ზარალში აღიარებულ წმინდა მოგება/ზარალში შედის ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილი ნებისმიერი პროცენტი და იგი შესულია მოგება-ზარალის ანგარიშში, კერძოდ, „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული სხვა ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა შემოსავლის“ პუნქტში .

**სხვა ფინანსური ვალდებულებები**

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, სასესხო კაპიტალის, სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების სავალო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“ შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებითაც საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (საჭიროებისამებრ), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში. დეტალური ინფორმაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ იხ. «წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნაწილში» ზემოთ.



**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სხვაობა იმ ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა, რომლის აღიარებაც შეწყდა, და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც ჯგუფი არსებულ კრედიტორთან ცვლის ერთ სასესხო ინსტრუმენტს არსებითად შეცვლილი პირობების მქონე სხვა ინსტრუმენტით, ასეთი გაცვლა იწვევს თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაუქმებასა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებას. ანალოგიურად, ჯგუფი მიიჩნევს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითად შეცვლას, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაუქმებასა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებას. ითვლება, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების თანახმად, ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის მიღებული და თავდაპირველი ეფექტური განაკვეთის გათვალისწინებით დისკონტირებული თანხების წმინდად გადახდილი ყველა თანხისა, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებისგან დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

**უცხოური ვალუტა**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ექვემდებარება გადაფასებას ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

ჯგუფმა წლის დასასრულისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება, როგორც საწყის ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ღირებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების შეცვლასთან, აღირიცხება კომპონენტის საბალანსო ღირებულებით, თუ მომავალში სავარაუდოა მოცემული კომპონენტიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფისთვის და შესაძლებელია ხარჯის ზუსტად გაზომვა. ხდება შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარების შეწყვეტა. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აისახება მოგება-ზარალში, როგორც განუღებელი ხარჯი.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას და გათვალისწინებულია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო მოხმარების ვადის გასვლის შემდეგ. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მოხმარების შემდეგ ვადებში:

შენობა-ნაგებობები	30 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
ავეჯი	3-დან 6 წლამდე;
გამოთვლითი ტექნიკა	3-დან 6 წლამდე;
იჯარით გადაცემული საკუთრების გაუმჯობესება	3-დან 5 წლამდე;
სხვა	2-დან 6 წლამდე.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდში. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება განვეისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება ყოველ საანგარიშო პერიოდში იმის შესაფასებლად, ხომ არ არის ისინი აღრიცხული მათ აღდგენით ღირებულებაზე მეტი თანხით. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად საჭირო ხარჯებსა და გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულება აჭარბებს ანაზღაურებად ოდენობას, ხდება აქტივების ჩამოწერა ანაზღაურებად ოდენობამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აისახება საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდეგ ხდება ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხების კორექტირება სამომავლო პერიოდებისთვის რათა მოხდეს აქტივის ღირებულების გადანაწილება დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე სისტემატიურ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალში.

**არამატერიალური აქტივები**

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვით-ღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების მიახლოებითი ვადები 5-დან 10 წლამდე პერიოდს შეადგენს.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვით-ღირებულებით გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. არამატერიალური აქტივების გაუფასურების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ნიშნები, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება, უფასურდებოდეს.

**მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება**

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს მათი გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასდება ხდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველიც არსებობს.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და მოხმარებისთვის ჯერ-ჯერობით არახელმისაწვდომი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი. ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებად ღირებულებას შორის. გამოყენებადი ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები საბალანსო ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების საბაზრო შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები დაუყოვნებელ აღიარებას ექვემდებარება მოგება-ზარალში.



გაუფასურების დანაკარგების შეწყვეტის შემთხვევაში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მოსალოდნელ აღდგენით ღირებულებამდე, ისე რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებასაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება რომ არ მომხდარიყო. გაუფასურების დანაკარგების შეწყვეტა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

### დასაკუთრებული აქტივები (ქონება)

გარკვეულ გარემოებებში აქტივების დასაკუთრება ხდება სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში. ჯგუფი დასაკუთრებულ ქონებას განიხილავს, როგორც დეფოლტის მდგომარეობაში მყოფი სესხის თანხების ანგარიშსწორების ფორმას და თვლის, რომ იგი არის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას შესყიდული და გასაყიდად განკუთვნილი აქტივი.

დასაკუთრებული ქონების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი – საბალანსო ღირებულებისა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

### დაბეგვრა

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

#### მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი შემოსავლიდან მოქმედი ან ანგარიშგების დღისთვის არსებითად ძალაში შესული საგადასახადო ტარიფების გამოყენებითა და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის კოერქტირების გათვალისწინებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელით). წინა საგადასახადო რეჟიმი, რომლის მიხედვით, ჯგუფები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვით გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევაში. კანონი ამოქმედდა 2016 წელს და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომი საგადასახადო პერიოდების მანძილზე ყველა პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო ჯგუფები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი 2019 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ეს ვადა 2023 წლის 1 იანვრამდე გადაწია.

მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ ითვალისწინებს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ჯგუფები გადასახადს იხდიან მოგების განაწილების მომენტში, ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს განაწილებული მოგება წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენს უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს. საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2023 წელს ან მომდევნო წლებში.

გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

#### გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის.

შემდეგი დროებითი სხვაობები არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის: გუდვილი, აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება, რომელიც არ მოქმედებს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე და დროებითი სხვაობები, რომლებიც შვილობილ ჯგუფებში, ფილიალებში და მათთან დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტირებას გულისხმობს, როდესაც მშობელ საწარმოს შესწევს უნარი გააკონტროლოს დროებითი სხვაობების გაუქმება და შესაძლოა, რომ დროებითი სხვაობა არ გაბათილდეს უახლოეს მომავალში. წარმოდგენილი გადავადებული გადასახადის თანხა, ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელ რეალიზაციას ან ანგარიშსწორებას 2019 წლის 1 იანვრამდე, ანგარიშგების წარდგენის დღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს 2019 წლის 1 იანვრამდე, რასთან მიმართებითაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას დროებითი სხვაობები, გამოყენებული საგადასახადო ზარალი და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო დღეს და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს იმის ვარაუდი, რომ შესაბამისი საგადასახადო სარგებელი რეალიზებული იქნება.

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ რაიმე სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ და, შესაბამისად, არ წარმოიშვება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

#### საოპერაციო გადასახადები

საქართველოში სხვა მრავალი გადასახადიც მოქმედებს, რომელთა შეფასებაც ხდება ჯგუფის საქმიანობის მიხედვით. აღნიშნული გადასახადები მოცემულია, როგორც საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავალში.

#### თანამშრომლების ანაზღაურება

#### წილობრივი გადახდის პირობები

დაქირავებულ თანამშრომელთან წილობრივი ინსტრუმენტით განსაზღვრული წილობრივი გადახდის რეალური ღირებულება, შეფასებული წილობრივი უფლების მინიჭების თარიღისათვის, აღიარდება ხარჯისა და შესაბამისი საკუთარი კაპიტალის ზრდის სახით, უფლების გადაცემის პერიოდისთვის. ხარჯად აღიარებული თანხა კორექტირდება გასაცემი თანხების რაოდენობის შესაბამისად, რომლისთვისაც საჭიროა დაკმაყოფილებულ იქნას შესაბამისი მომსახურებისა და არასაბაზრო მაჩვენებლის პირობები ისე, რომ საბოლოოდ აღიარებული ხარჯი ეფუძნებოდეს იმ აქციების რაოდენობას, რომლებიც აკმაყოფილებენ მომსახურების განწვევისა და არასაბაზრო მაჩვენებლის პირობებს უფლების გადაცემის თარიღისთვის. იმ წილობრივი გადახდებისთვის, რომელთათვისაც არ არსებობს უფლების გადაცემის პირობები, რეალური ღირებულება უფლების მინიჭების თარიღისთვის განისაზღვრება ისე, რომ შესაბამისად მოხდეს პირობების ასახვა და არ იყოს საჭირო მოსალოდნელ და ფაქტობრივ შედეგებს შორის კორექტირება.

#### თანამშრომლის მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამშრომლის მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება დაუქვითავ საფუძველზე და აისახება ხარჯში შესაბამისი მომსახურების განწვევისთანავე. ვალდებულების აღიარება ხდება გადასახდელი თანხიდან მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგებაში მონაწილეობის პროგრამების საფუძველზე, თუ ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში განეული მომსახურების შედეგად, და ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია ობიექტურად შეფასდეს.



### იჯარა

საოპერაციო საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც წრფივი დანახარჯი იჯარის მოქმედების ვადაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე სისტემატური საფუძველი უფრო კარგად ახასიათებს დროის პერიოდს, რომლის დროსაც ხდება იჯარით მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება. საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებებით წარმოშობილი პირობითი საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც პერიოდის ხარჯი.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებების გაფორმების მიზნით გამოიყენება საიჯარო შეღავათები, ასეთი შეღავათების აღიარება მოხდება ვალდებულებად. შეღავათების საერთო სარგებელი აღიარებულია, როგორც საიჯარო ხარჯის წრფივი შემცირება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რომელიმე სისტემატური საფუძველი იმ დროის პერიოდს უფრო კარგად ახასიათებს, რომლის დროსაც ხდება იჯარით მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება.

### რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება, ხოლო აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მისი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის შექმნას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუ გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოადგენს ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდევია.

### საგარანტიო უზრუნველყოფა

ჯგუფი ითხოვს უზრუნველყოფას კლიენტების ვალდებულებებზე, როდესაც აღნიშნული ითვლება მართებულიად. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყადაღებას და ჯგუფს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

1.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-2 შენიშვნაში, ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ვითარების შესაბამის ფაქტორს. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

### ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას გაკეთებული კრიტიკული დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია კრიტიკული დაშვებები (იხილეთ ქვემოთ), იმ გათვლების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ თანხებზე.

#### ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, თუ ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები ეხება მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას. დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხ. მე-2 შენიშვნაში.

#### შეფასებების არასარწმუნოების მთავარი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოების მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომელთაც გამოიწვიეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლისთვის,

#### მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასების რეზერვები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო (ბუღალტრული) პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასების რეზერვებზე:

- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია იხ. 25-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.
- **საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა:** როგორც მე-3 შენიშვნაში იყო ახსნილი, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს 1-ლი ეტაპის აქტივებისათვის, ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე - მე-2 ან მე-3 ეტაპის აქტივებისათვის. აქტივი გადადის მე-2 ეტაპში, თუკი მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ფასს 9 არ განსაზღვრავს თუ რა წარმოადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებაში ჯგუფი ითვალისწინებს ხარისხობრივ და რაოდენობრივ გონივრულ და საფუძვლიან საპროგნოზო ინფორმაციას.



დამატებითი ინფორმაცია იხ. 25-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

დამატებითი ინფორმაცია იხ. 25-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) დეფოლტის ალბათობაზე (PD) სენსიტიურობის ანალიზიც.

- **ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხ. 25-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია დაფიქსირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე სენსიტიურობის ანალიზიც.

**ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი**

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი ცვეთის დანაკარგები (ზარალი). ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრებს. რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების შეცვლამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის/ამორტიზაციის მაჩვენებლის კორექტირება.

**გადავადებული საგადასახადო აქტივების აღდგენა**

2018 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლებიც ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო ჯგუფების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის. ახალი კოდექსით ცვლილებები შევიდა ჯგუფის მოგების გადასახადის აღიარებასა და გაანგარიშებაში და ასევე, ჯგუფის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებში/ვალდებულებებში. ჯგუფს არ ევალება მოგების გადასახადის გადახდა (2023 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე) სანამ ეს მოგება არ გაიცემა დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

მართალია, კანონი ძალაში 2023 წლის იანვრიდან შევა, თუმცა უფრო სწრაფ გავლენას იქონიებს გადავადებული გადასახადების გაანგარიშებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები/ვალდებულებები სრულად იქნება გამოყენებული კანონის ძალაში შესვლამდე ან გავლენა არ იქნება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არსებითი გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლე პირებზე. გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 2,500 ათასი ლარი და 1,954 ათასი ლარი შესაბამისად, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი შეფასება**

როგორც 23-ე შენიშვნაშია მითითებული, ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც გარკვეული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას არ ეფუძნება არსებულ საბაზრო მონაცემებს. 23-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებული უმთავრესი დაშვებების შესახებ და მათი სენსიტიურობის ანალიზი. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ შეფასების შერჩეული მეთოდები და დაშვებები მართებულია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისათვის.

# 4. ფასს-ში შეტანილი ცვლილებები, რაც გემოქმედებას ახდენს ფინანსურ უწყისში წარმოდგენილ ოდენობაზე

მიმდინარე წელს ჯგუფმა დაანერგა ფასს 15. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები ნაადრევად დაინერგა 2016 წლის 1-ლ იანვარს. დეტალებისთვის გთხოვ იხილოთ შენიშვნა 3.

**ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან**

ფასს 15 მენარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ-ეტაპიან მიდგომას შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის საკონტრაქტო ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. ფასს 15-ს დაემატა უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქციები სპეციფიური სცენარების დამუშავების მიზნით. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა „ფასს 15-ის განმარტება“, რომელიც დაკავშირებულია საკონტრაქტო ვალდებულებათა შესრულების დადგენის, პრინციპალისა და აგენტის ანაზღაურების განსაზღვრის, აგრეთვე, ლიცენზირების გამოყენების პროცედურებთან.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და ჯგუფის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

**შესწორებები ფასს 2 - წილობრივი გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და გამოშვება**

შესწორებები აზუსტებს შემდეგს:

1. ნაღდი ფულით გაცემული წილობრივი გადახდის ოპერაციის სამართლიანი ღირებულების დადგენისას მინიჭება-არმინიჭების პირობების აღრიცხვა უნდა ხდებოდეს იმავე მიდგომით, რაც გამოიყენება კაპიტალით გაცემული წილობრივი გადახდის ოპერაციისას.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო კოდექსი ან რეგულაცია ითხოვს დასაქმებულის მონეტარული საგადასახადო ვალდებულების ტოლი სააქციო ინსტრუმენტის რაოდენობის დაკავებას, დასაქმებულის საგადასახადო ვალდებულების დასაფარად, ანუ როცა წილობრივი გადახდის ოპერაციას აქვს „ნეტო გასტუმრების ნიშან-თვისება“, ასეთი შეთანხმება მთლიანად უნდა განისაზღვროს კაპიტალით გაცემულად, იმის გათვალისწინებით, რომ წილობრივი გადახდის ოპერაცია განისაზღვრებოდა როგორც კაპიტალით გაცემული, რომ არა „ნეტო გასტუმრების ნიშან-თვისება“.
3. წილობრივი გადახდის ოპერაციის მოდიფიკაცია, რომელიც ცვლის ოპერაციას ნაღდი ფულით გაცემულიდან კაპიტალით გაცემულად, უნდა აღირიცხოს შემდეგნაირად:
  - a. ხდება თავდაპირველად აღიარებული ვალდებულების გაუქმება;
  - b. კაპიტალით გაცემული წილობრივი გადახდის ოპერაცია აღიარდება გადასაცემი სააქციო ინსტრუმენტის



სამართლიანი ღირებულებით მოდიფიკაციის თარიღისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი მომსახურების მიწოდება მოხდა მოდიფიკაციის თარიღამდე; და  
c. მოდიფიკაციის თარიღისათვის ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და კაპიტალში აღირებულ თანხას შორის განსხვავება უმაღლეს უნდა აისახოს მოგება ან ზარალში;

ფასს 2-ის დანერგვას არ ჰქონია გავლენა ჯგუფის მიერ მინიჭება-არმინიჭების პირობების ეფექტის აღრიცხვაზე.

**ფასიკ 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინსწრებით მიღებული საფასური**

ფასიკ 22 პასუხობს „ოპერაციის თარიღის“ დადგენის კითხვას აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარების მიზნებისათვის გამოსაყენებელი გაცვლითი კურსის განსაზღვრისათვის, როდესაც ამ დანიშნულებით მისაღები საფასურის წინასწარი გადახდა ან მიღება მოხდა უცხოურ ვალუტაში, რამაც გამოიწვია არა-მონეტარული აქტივის ან არა-მონეტარული ვალდებულების შექმნა (მაგ.: არა-ანაზღაურებადი დეპოზიტი ან გადავადებული შემოსავალი).

ეს ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, როცა საწარმო თავდაპირველად აღიარებს არა-მონეტარულ აქტივს ან არა-მონეტარულ ვალდებულებას, რომელიც წამოიქმნება საფასურის წინასწარი გადახდით ან მიღებით. რამდენიმე წინსწრებით მიღებული/გადახდილი საფასურის შემთხვევაში, ეს ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ საწარმომ დაადგინოს ოპერაციის თარიღი თითოეული ასეთი შემთხვევისათვის.

ეს ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვრით ან შემდგომ დაწყებული წლებისათვის, წინასწარი დანერგვის უფლებით. საწარმოებს შეუძლიათ ამ ინტერპრეტაციის რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად დანერგვა. პროსპექტიული დანერგვისას კონკრეტული გარდამავალი დებულებები იქნება გასათვალისწინებელი.

ფასიკ 22-ის დანერგვას არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

**ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები**

ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ, მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი;
- შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება
- შესწორება ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღება არსებით ზეგავლენას იქონიებს მომავალი კონსოლიდირებულ პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ აღწერილი ფასს 16-ისა.

**ფასს 16 - იჯარა**

ფასს 16-ში მოცემულია მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს საიჯარო გარიგებებისა და იჯარის ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების დადგენას მეიჯარეებისა და მოიჯარეებისთვის. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის დამუშავების არსებულ ინსტრუქციებს, მათ შორის “ბასს 17 - იჯარა” და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16 იჯარისა და მომსახურების კონტრაქტებს ერთმანეთისგან განასხვავებს იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა იდენტიფიცირებულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო (არა-საბალანსო) იჯარისა და ფინანსური (საბალანსო) იჯარის განსხვავება მოიჯარის შემთხვევაში უქმდება და ჩაანაცვლებულია მოდელით, რომლის მიხედვით, მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება ყველა იჯარაში გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებისა.

გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი თავდაპირველად აისახება სრული ღირებულებით, შემდეგში კი ღირებულებისა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების

სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების გადაფასების ყოველი შემთხვევისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. შემდგომში საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების, აგრეთვე სხვა ფაქტორებს შორის, იჯარის მოდიფიკაციების ეფექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იცვლება ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან საოპერაციო იჯარის გადახდები, ბასს 17-ის მიხედვით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; ხოლო ფასს 16-ის მოდელის მიხედვით, საიჯარო გადახდები დაიყოფა ძირითად თანხად და პროცენტად, რომლებიც, შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება ფულად ნაკადებად ფინანსური და საოპერაციო საქმიანობიდან.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, მეიჯარის მხარის ბუღალტრული აღრიცხვა ფასს 16-ში არსებითად ბასს 17-დან არის გადმოტანილი და მის მიხედვით, მეიჯარე კვლავაც ვალდებულია, იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად განასხვავოს.

გარდა ამისა, ფასს 16 საკმაოდ ვრცელი განმარტებითი შენიშვნების მომზადებას მოითხოვს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ახალი სტანდარტის დანერგვას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუმცა, სანამ ამ გავლენის სანდო საბოლოო იქნება ხელმისაწვდომი, უფრო ვრცელი ინფორმაცია მისი მოსალოდნელი გავლენის შესახებ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობაზე ვერ განისაზღვრება.

**ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები**

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გამოშვების, წარდგენისა და განმარტების პრინციპები. ის ფასს 4-ს - “სადაზღვევო კონტრაქტებს” ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა “ზოგად მოდელს”, რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც “ცვლადი ანაზღაურების მიდგომად” განისაზღვრება. “ზოგადი მოდელი” მარტივდება “პრემიუმის განაწილების მიდგომის” გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

“ზოგად მოდელში” გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ არასარწმუნოების ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

სტანდარტის გამოყენება სავარაუდოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს პროცესებსა და სისტემაში და აუცილებელს გახდის ბიზნესის მრავალ ფუნქციას, მათ შორის, ფინანსებს, აქტუარულსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის მეტი კოორდინაციის არსებობას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. საწარმომ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მოთხოვნების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღად ითვლება რეალური გამოყენების თარიღი, თუ ის წლიური საანგარიშგებო პერიოდი, რომელშიც საწარმო პირველად გამოიყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი არის თავდაპირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დასაწყისი.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.  
**შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები**

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს. გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).



შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს სტანდარტების წლიური რედაქტირების 2015-2017 წლების ციკლი**

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ოთხ სტანდარტში.

*ბასს 12 - მოგების გადასახადი*

შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის მოქმედების შედეგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით უნდა აღიაროს, თუ თავდაპირველად სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომთანი ტრანზაქციების აღიარება. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი.

*ბასს 23 - სესხის აღების ხარჯები*

შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც საწარმო ზოგადად სესხულობს.

*ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები*

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ საწარმომ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა გამოიყენოს ეტაპობრივად მიღწეული ბიზნეს-კომბინაციის მოთხოვნები, მათ შორის, რეალური ღირებულებით ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საწარმოში მანამდე ფლობილი წილები. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებულ აუდიარებელ აქტივებს, ვალდებულებებსა და გუდვილს.

*ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა*

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ საწარმო მონაწილეობს, მაგრამ არ ფლობს ერთობლივ კონტროლს ისეთ ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც არის ბიზნესი და ამ საწარმომ მოიპოვა ერთობლივი კონტროლი ამგვარ ერთობლივ საქმიანობაზე, საწარმო არ არის ვალდებული, ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილი.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნაადრევი გამოყენება ნებადართულია.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება**

შესწორება განმარტავს, რომ წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებით მიღებული მოგება ან ზარალი) გამოიანგარიშება დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებითა და შეთავაზებული ანაზღაურებისა და ანაზღაურების პროგრამის აქტივების შედარებით პროგრამის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (ან შეკვეცისა თუ გადახდის შემთხვევაში), მაგრამ აქტივის ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული ანაზღაურების პროგრამა პროფიტურია). ბასს 19 მკაფიოდ ადგენს, რომ ზღვრული ოდენობის ეფექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის შესწორების (ან შეკვეცის თუ გადახდის) შედეგად, განისაზღვრება მეორე ეტაპზე და ჩვეულებრივად აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასებას. საწარმოებს ახლა ევალებათ მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასება მთელი დარჩენილი საანგარიშო პერიოდისათვის პროგრამის ცვლილების შემდეგ

გადაფასებით მიღებული ახალი დაშვებების გათვალისწინებით. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, შესწორება მკაფიოდ ამბობს, რომ პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება ბასს 19.99-ით გადაფასებული წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (და ასევე წმინდა დადგენილ ვალდებულებაზე (აქტივზე) შენატანებისა და ბენეფიტის გადახდების ეფექტის გათვალისწინებით).

შესწორებები გამოიყენება პროსპექტიულად და ვრცელდება მხოლოდ იმ შესწორებულ, შეკვეცილ ან გადახდილ პროგრამებზე, რომლებიც განხორციელდა ბასს 19-ის პირველი გამოყენების წლიური პერიოდის დაწყების შემდეგ.

ბასს 19-ის შესწორებები ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, თუმცა, საწარმოს შეხედულებისამებრ, მათი გამოყენება შეიძლება ნაადრევადაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

**ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორებები)**

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ ისეთი შვილობილი საწარმოს კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს ასოცირებულ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღირიცხება დამფუძნებელი საწარმოს მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა ასოცირებული მეკავშირე პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი საწარმოს მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა არადაკავშირებული ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს ზეგავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასიკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება**

ფასიკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს საწარმომ ბულალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია საწარმოს ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს საწარმოს მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
  - თანხმობის შემთხვევაში, საწარმომ ბულალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან სავარაუდო ბულალტრული დამუშავების შესაბამისად.
  - უარის შემთხვევაში, საწარმომ არასარწმუნოების ეფექტი უნდა აისახოს ბულალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. საწარმოებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ სტანდარტის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.



## 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2018	2017
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>		
კლიენტებზე გაცემული სესხები	72,694	53,743
ფული და ფულის ექვივალენტი	49	104
	<b>72,743</b>	<b>53,847</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>		
ნასესხები სახსრები	(19,052)	(13,745)
სავალო ფასიანი ქაღალდები	(1,168)	(9)
	<b>(20,220)</b>	<b>(13,754)</b>
	<b>52,523</b>	<b>40,093</b>

### წმინდა საპროცენტო შემოსავალი

უარის შემთხვევაში, ერთეულმა უნდა ასახოს შეუსაბამობის ეფექტი საგადასახადო პოზიციის განსაზღვრის დროს;

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მენეჯმენტი არ თვლის, რომ ფაისკ-23ს ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მატერიალური ზეგავლენა, რადგან კომპანია ამ ეტაპზე იყენებს მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოების მიდგომას, რომელიც შესაბამისობაშია ფაისკ 23-თან.

### ცვლილებები ფასს 9-ში - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით

მცირე ცვლილებებს შესაძლოა, მოყვეს გამოუსწორებელი შედეგები „გონივრული დამატებითი კომპენსაციის“ სახით. ცვლილებები უფლებას აძლევს ფინანსურ აქტივების არსებობას წინასწარი გადახდის უფლებით, რასაც შესაძლოა მოყვეს მფლობელისთვის კომპენსაციის მიღება ხელშეკრულების შეწყვეტის ადრეულ ეტაპზე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ ძირისა და ძირზე დარიცხული პროცენტის გადახდის პირობები, თუ აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს.

გარდა ამისა, IASB ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვას, რომელიც არის მოდიფიცირებული ან გაცვლილი ისე რომ არ იწვევს უარყოფით შედეგს და შედეგად მოცული დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულ პუნქტებში, საბჭო ადგენს, რომ აღნიშნული შემთხვევის აღრიცხვა არის იგივე, როგორც არის ფინანსური აქტივების მოდიფიკაციისას. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი საბალანსო ღირებულება შეიცვლება აღნიშნული გამოიწვევს დაუყოვნებელ მოგებას ან ზარალს მოგება-ზარალის უწყისში.

ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

მენეჯმენტი არ თვლის, რომ ცვლილებებს შესაძლოა მოყვეს კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში ნეგატიური ზეგავლენა რადგან მას არ გააჩნია წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით.

### ფასს-ის წლიური გაუმჯობესება 2014-2016 წლებში

ყოველწლიური გაუმჯობესებები გულისხმობს ფასს 1 და ბასს28-ში ცვლილებების შეტანას, რომლებიც არ არის სავალდებულო კომპანიისთვის. იგი ასევე მოიცავს ცვლილებებს ფასს 12-ში, რომლებიც აუცილებლად ეფექტურ იქნება კომპანიისთვის მიმდინარე წელს - იხილეთ დეტალები სექციაში - ცვლილებები „ფასს“-ში რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციებსა და სხვა მსგავს პირებს შეუძლიათ ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ჩაშენებული ინვესტიციები ასახონ მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, კომპანიას, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მაგრამ გააჩნია წილი ისეთ ასოცირებულ კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც თავად არის საინვესტიციო კომპანია, წილობრივი მეთოდის გამოყენებისას, შეუძლია, გამოიყენოს ამ ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიერ

თავის შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილების რეალური ღირებულების გასაზომად გამოყენებული ფორმა. ბასს 28-ის შესწორებები განმარტავს, რომ ეს გადაწყვეტილება კომპანიამ უნდა მიიღოს ცალ-ცალკე თითოეული ასოცირებული პირისა თუ ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას. შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტიულად და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ფასს 1 და ბასს28-ში შეტანილი ცვლილებები წლის ჭრილში რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვრამდე ან შემდეგ:

კომპანიის მენეჯმენტი არ თვლის, რომ სტანდარტში შეტანილი ცვლილებები მომავალში იქონიებს ნეგატიურ ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

### ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის მენეჯმენტი არ თვლის, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში იქონიებს ნეგატიურ ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6. საკომისიო შემოსავალი

	2018	2017
საკომისიო შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	2,127	1,449
საკომისიო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	325	270
<b>სულ საკომისიო შემოსავალი</b>	<b>2,452</b>	<b>1,719</b>

## 7. თანამშრომელთა ხარჯები

	2018	2017
ხელფასები და სხვა სარგებელი	17,588	13,840
კაპიტალში გაქვითული წილობრივი გადახდა	135	194
ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმასთან დაკავშირებული ხარჯები	147	123
<b>სულ თანამშრომელთა ხარჯები</b>	<b>17,870</b>	<b>14,157</b>



### ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა, წილობრივ გადახდები

2014 წლის 12 დეკემბერს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიზანია მოტივაციის გაზრდა და ჯგუფის ხელმძღვანელობის აღმასრულებელი გუნდის წახალისება კაპიტალის ზრდის სტრატეგიის განსახორციელებლად, ჯგუფის ინტერესების შემუშავება და დაცვა, აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფის გათვალისწინებით.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ანაზღაურება განისაზღვრებოდა შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

- ა) ჯგუფის მნიშვნელოვანი მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 60%;
- ბ) ინდივიდუალური მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 30%; და
- გ) დისკრეტული - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 10%.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის გასამრჯელო დამოკიდებული იყო ზემოთ მოცემული მიზნების შესრულებაზე. მთლიანი გასამრჯელო იყოფოდა ფულად გადახდად (გასამრჯელოს - 50%) და სააქციო კაპიტალზე დამყარებულ წილობრივ გადახდად (გასამრჯელოს - 50%).

ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმაში მოცემული ძირითადი პირობების შესრულება განისაზღვრებოდა შესაბამისი კოეფიციენტების მიღწევით, მაგალითად: სესხების რეზერვის, პორტფელის რისკის (>30), აქტივებზე უკუგების, კაპიტალზე უკუგებისა და სხვა კოეფიციენტების შესრულებით.

2018 წლის მანძილზე ჯგუფის ორგანიზაციულ სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების პასუხად, სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 20 ნოემბრის რეკომენდაციით, კორექტირებები შევიდა მანამდე დამტკიცებულ „ჯგუფის მნიშვნელოვანი მიზნების შენონვა და ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის განაწილება ხელმძღვანელობის წევრებზე“-ში:

- ა) ჯგუფის საერთო მიღწევები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 55%;
- ბ) ინდივიდუალური მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 30%;
- გ) უნარ-ჩვევების წარმოჩენა - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 5%; და
- დ) სამეთვალყურეო საბჭოს დისკრეტია - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 10%.

მენეჯმენტის შეფასებით, 2018 წლის შედეგებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მიერ გეგმა ვერ შესრულდა და 2018 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა არ აღიარა წამახალისებელი გეგმა არც თანხობრივად და არც აქციებზე გასაცემი. თუმცა, ხელმძღვანელობამ შეასრულა შედეგებზე მიბმული პრემიის მიზნები, რაც თანხობრივად გაიცემა, რისთვისაც ჯგუფმა აღიარა ხარჯი და კრედიტორული დავალიანება 147 ათასი ლარის ოდენობით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილობრივი გადახდების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა ნული ლარი და 68 ათასი ლარი და, შესაბამისად, გამოშვებულ იქნა ნული და 9,297 ჩვეულებრივი აქცია ჯგუფის მიზნების მიღწევისათვის. აქციების რეალური ღირებულება უახლოვდება ფასს, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ჯგუფის წილების გაყიდვა გაშლილი ხელის პრინციპით.

წილობრივი გადახდის ტრანზაქციის აღიარება ხდება, როგორც წილობრივი გადახდის რეზერვის ზრდა კაპიტალში.

მენეჯმენტის წამახალისებელი გეგმის შესრულება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მენეჯმენტის წამახალისებელი გეგმა წლიური	სტატუსი	ტრანზაქციის საფუძველი	სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების თარიღი	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა
2017	გასაცემი წილები	ჯგუფის ფართო მიზნების შესრულებისთვის	ივლისი 11, 2018	9,297
2018	გასაცემი წილები	ჯგუფის ფართო მიზნების შესრულებისთვის	N/A	-

## 8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
საოპერაციო იჯარა	3,776	3,239
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	1,269	962
საბანკო ხარჯები	763	673
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	556	455
საყოფაცხოვრებო და საოფისე მოწყობილობები	555	433
მივლინების ხარჯები	543	308
წევრობის საფასური	483	363
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	474	492
საწვავი	445	343
დაზღვევა	352	71
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	260	107
კადრების მომზადება და გადამზადება	246	166
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	237	161
უსაფრთხოება	174	149
ქველმოქმედება	73	119
სხვა	1,154	964
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>11,360</b>	<b>9,005</b>

## 9. დაბეგვრა

	2018	2017
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	2,292	2,427
	<b>2,292</b>	<b>2,427</b>
მოძრაობები გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების წარმოშობის ან / და დროებითი განსხვავებების გამო	(546)	(497)
<b>სულ მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>1,746</b>	<b>1,930</b>

მოქმედი საგადასახადო განაკვეთი, მიმდინარე და გადავადებული გადასახადი შეადგენს 15%-ს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის რეკონსილაცია 31 დეკემბრის ბოლოსათვის:

	2018	2017
მოგება მოგების გადასახადამდე	7,179	10,065
გადასახადი კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით	1,077	1,510
არაღიარებული გადავადებული გადასახადი	638	-
მუდმივი განსხვავებების საგადასახადო ეფექტი	31	420
<b>სულ საგადასახადო ხარჯი</b>	<b>1,746</b>	<b>1,930</b>



### გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებები და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული თანხები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გამოქვითვადი დროებითი განსხვავებები არ ექვემდებარება ჩამოწერას მიმდინარე საგადასახადო კანონ-მდებლობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დროებითი განსხვავებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იანვარი 1, 2018	მოგება- ზარალის აღიარება	დეკემბერი 31, 2018
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,706	500	2,206
ძირითადი საშუალებები	30	(67)	(37)
არამატერიალური აქტივები	(13)	31	18
სხვა აქტივები	-	(85)	(85)
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	-	146	146
ნასესხები სახსრები	365	24	389
სხვა ვალდებულებები	(134)	(3)	(137)
	<b>1,954</b>	<b>546</b>	<b>2,500</b>
	იანვარი 1, 2017	მოგება- ზარალის აღიარება	დეკემბერი 31, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,137	569	1,706
ძირითადი საშუალებები	17	13	30
არამატერიალური აქტივები	(22)	9	(13)
სხვა აქტივები	-	-	-
ნასესხები სახსრები	298	67	365
სხვა ვალდებულებები	27	(161)	(134)
	<b>1,457</b>	<b>497</b>	<b>1,954</b>

### აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება შემდეგს:

	აქტივები		ვალდებულებები		წმინდა	
	2018	2017	2018	2017	2018	2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,206	1,706	-	-	2,206	1,706
ძირითადი საშუალებები	-	30	(37)	-	(37)	30
არამატერიალური აქტივები	18	-	-	(13)	18	(13)
სხვა აქტივები	-	-	(85)	-	(85)	-
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	146	-	-	-	146	-
ნასესხები სახსრები	389	365	-	-	389	365
სხვა ვალდებულებები	-	-	(137)	(134)	(137)	(134)
<b>წმინდა საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)</b>	<b>2,759</b>	<b>2,101</b>	<b>(259)</b>	<b>(147)</b>	<b>2,500</b>	<b>1,954</b>

### 10. ფული და ფულის ექვივალენტები

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ნაღდი ფული	9,780	9,816
საბანკო ნაშთები	4,173	4,504
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>13,953</b>	<b>14,320</b>

### 11. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b>		
წარმოებული ფინანსური აქტივები		
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები	405	1,410
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები	37	175
<b>მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b>	<b>442</b>	<b>1,585</b>

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები</b>		
<b>წარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>		
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები	-	55
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები	1,659	536
<b>მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,659</b>	<b>591</b>

არცერთი საბანკო ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო საბანკო ნაშთებისთვის რეზერვი არ არის აღიარებული. საბანკო ნაშთები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებს საქართველოში და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბანკო ნაშთების უდიდესი ნაწილი შეფასებულია Fitch Ratings- ის შესაბამისად. B კატეგორია (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

- ისინი შედიან ძალაში ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით;
- აქვთ ერთნაირი რისკი;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე;

**უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები**

ფორვარდი არის საკონტრაქტო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები გარკვეული ოდენობით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში ჯგუფი იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ საკონტრაქტო თანხებს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული მოგება და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და ფინანსურ ინტრუმენტებზე მოგება-ზარალში.

	ეროვნული ვალუტა	
	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა</b>		
3 თვეზე ნაკლები	13,383	32,837
3-დან 12 თვემდე	98,767	42,253
	<b>112,150</b>	<b>75,090</b>

რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს სავალუტო კონტრაქტებს.

**ვალუტის გაცვლის კონტრაქტები**

ჯგუფი განიხილავს დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, იქიდან გამომდინარე, რომ ტრანზაქციები (დეპოზიტის განთავსება და სესხის აღება) გამოიწვევს დერივაციას. დასკვნა ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:

- გარიგებები დადებულია ერთი და იმავე მხარესთან
- არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურულიზაციისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;

**12. კლიენტებზე გაცემული სესხები**

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ძირი თანხა	267,639	199,467
დარიცხული პროცენტი	7,525	3,969
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(10,556)	(5,391)
<b>წმინდა გაცემული სესხები</b>	<b>264,608</b>	<b>198,045</b>

**სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები**

სექტორის ანალიზი:	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სოფლის მეურნეობა	79,203	60,970
მომსახურება	67,010	55,885
სამომხმარებლო	64,371	33,730
ვაჭრობა	42,112	34,562
სალომბარდე	13,016	10,085
წარმოება	9,452	8,204
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>275,164</b>	<b>203,436</b>

გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (10,556) (5,391)

**კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები** 264,608 198,045

კლიენტებზე გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები კლასიფიცირებულია ფაქტორების კომბინაციის მიხედვით (ძირითადად სესხის ამღების შემოსავლის წყარო და სესხის მიზანი). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნებისათვის მიღებული სესხები წარმოდგენილია შესაბამის კატეგორიებში (ვაჭრობა, მომსახურება და სოფლის მეურნეობა) ბიზნეს საქმიანობის ტიპების მიხედვით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სესხების ტიპების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	საბალანსო ღირებულება
<b>საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:</b>			
სოფლის მეურნეობა	79,203	(4,229)	74,974
მომსახურება	67,010	(2,294)	64,716
სამომხმარებლო	64,371	(1,748)	62,623
ვაჭრობა	42,112	(1,801)	40,311
სალომბარდე	13,016	(13)	13,003



წარმოება	9,452	(471)	8,981
<b>სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>275,164</b>	<b>(10,556)</b>	<b>264,608</b>

2018 წლის დეკემბერში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართულ ინიციატივით, „სესხების პატიების“ პროგრამის ფარგლებში, ჯგუფმა გაყიდა გაუფასურებული და ჩამოწერილი პორტფელის ნაწილი 3,500 ათასი ლარის ოდენობით (თითოეული მათგანის ინდივიდუალური პოზიცია 2,000 ლარს აღწევდა)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას სესხების ტიპების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	საბალანსო ღირებულება
<b>საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:</b>			
სოფლის მეურნეობა	60,970	(2,284)	58,686
მომსახურება	55,885	(1,232)	54,653
სამომხმარებლო	33,730	(679)	33,051
ვაჭრობა	34,562	(951)	33,611
სალომბარდე	10,085	(44)	10,041
წარმოება	8,204	(201)	8,003
<b>სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:</b>	<b>203,436</b>	<b>(5,391)</b>	<b>198,045</b>

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2018			სულ
	ეტაპი 1 12-თვიანი მსზ	ეტაპი 2 სრული მსზ - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული მსზ - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	2,082	1,826	1,483	5,391
ახალი გაცემული სესხების	5,295	-	-	5,295
გადატანა 12-თვიანი მსზ-ში	46	(46)	-	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სულ მსზ-ში	(5,383)	5,385	(2)	-
გადატანა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	-	(3,308)	3,308	-
დაფარული სესხები	(1,052)	(562)	(172)	(1,786)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(40)	(45)	(4,312)	(4,397)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	23	25	1,009	1,057
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	2,265	730	2,040	5,035
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	(12)	(14)	(13)	(39)
<b>ბალანსი წლის ბოლოს</b>	<b>3,224</b>	<b>3,991</b>	<b>3,341</b>	<b>10,556</b>

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

	2018			სულ
	ეტაპი 1 12-თვიანი მსზ	ეტაპი 2 სრული მსზ - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული მსზ - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	162,909	38,045	2,482	203,436
ახალი გაცემული სესხები	212,170	-	-	212,170
გადატანა 12-თვიანი მსზ-ში	3,502	(3,502)	-	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	(54,065)	54,082	(17)	-
გადატანა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	-	(7,456)	7,456	-
დაფარული სესხები	(113,789)	(22,199)	(1,155)	(137,143)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(40)	(45)	(4,312)	(4,397)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	23	25	1,009	1,057
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	31	9	1	41
<b>ბალანსი წლის ბოლოს</b>	<b>210,741</b>	<b>58,959</b>	<b>5,464</b>	<b>275,164</b>

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	2017			სულ
	ეტაპი 1 12-თვიანი მსზ	ეტაპი 2 სრული მსზ - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული მსზ - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	1,174	1,808	524	3,506
ახალი გაცემული სესხები	2,940	-	-	2,940
გადატანა 12-თვიანი მსზ-ში	53	(53)	-	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	(1,489)	1,494	(5)	-
ტრანსფერი საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	(963)	(932)	1,895	-
დაფარული სესხები	(636)	(661)	(57)	(1,354)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(64)	(68)	(2,593)	(2,725)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	55	13	839	907
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	1,017	226	883	2,126
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(5)	(1)	(3)	(9)
<b>ბალანსი წლის ბოლოს</b>	<b>2,082</b>	<b>1,826</b>	<b>1,483</b>	<b>5,391</b>

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

2017		
------	--	--

	ეტაპი 1 12-თვიანი მსზ	ეტაპი 2 სრული მსზ - არა საკრედიტო- რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული მსზ - საკრედიტო- რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	121,725	26,279	1,012	149,016
ახალი გაცემული სესხები	167,003	-	-	167,003
გადატანა 12-თვიან მსზ-ში	4,449	(4,148)	(301)	-
გადატანა არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	(34,560)	34,591	(31)	-
გადატანა საკრედიტო-რისკით გაუფასურებულ სრულ მსზ-ში	(3,148)	(2,244)	5,392	-
დაფარული სესხები	(91,409)	(16,096)	(1,826)	(109,331)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(64)	(68)	(2,593)	(2,725)
ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა	55	13	839	907
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(1,142)	(282)	(10)	(1,434)
<b>ბალანსი წლის ბოლოს</b>	<b>162,909</b>	<b>38,045</b>	<b>2,482</b>	<b>203,436</b>

### 13. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანები	ავეჯი	კომპი- უტერული აქტივობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯო- ბესება	ძირითადი საშუა- ლებები ექსპლუ- ატაციაში შესვ- ლამდე	სხვა	სულ
<b>თვითღირებულება</b>								
2018 წლის 1 იანვარი	105	650	848	2,072	4,491	-	2,924	11,090
შესყიდვა	-	329	112	663	848	1,852	672	4,476
რეალიზაცია	-	(38)	(1)	(11)	(168)	-	(2)	(220)
გადატანა	-	243	65	214	23	(545)	-	-
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>105</b>	<b>1,184</b>	<b>1,024</b>	<b>2,938</b>	<b>5,194</b>	<b>1,307</b>	<b>3,594</b>	<b>15,346</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>								
2018 წლის 1 იანვარი	(35)	(192)	(482)	(1,119)	(2,190)	-	(1,763)	(5,781)
ცვეთის დარიცხვა	(3)	(205)	(146)	(351)	(813)	-	(517)	(2,035)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	21	-	-	148	-	-	169
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(38)</b>	<b>(376)</b>	<b>(628)</b>	<b>(1,470)</b>	<b>(2,855)</b>	<b>-</b>	<b>(2,280)</b>	<b>(7,647)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>67</b>	<b>808</b>	<b>396</b>	<b>1,468</b>	<b>2,339</b>	<b>1,307</b>	<b>1,314</b>	<b>7,699</b>

	შენიშვნები	მანქანები	ავეჯი	კომპი- უტერული აქტივობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯო- ბესება	ძირითადი საშუალებები ექსპლუ- ატაციაში შესვლამდე	სხვა	სულ
<b>ღირებულება</b>								
2017 წლის 1 იანვარი	105	349	652	1,628	3,725	-	2,406	8,865
შესყიდვა	-	338	196	469	913	-	521	2,437
რეალიზაცია	-	(37)	-	(25)	(147)	-	(3)	(212)
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>105</b>	<b>650</b>	<b>848</b>	<b>2,072</b>	<b>4,491</b>	<b>-</b>	<b>2,924</b>	<b>11,090</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>								
2017 წლის 1 იანვარი	(32)	(98)	(361)	(892)	(1,577)	-	(1,343)	(4,303)
ცვეთის დარიცხვა	(3)	(101)	(121)	(247)	(728)	-	(422)	(1,622)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	7	-	20	115	-	2	144
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(35)</b>	<b>(192)</b>	<b>(482)</b>	<b>(1,119)</b>	<b>(2,190)</b>	<b>-</b>	<b>(1,763)</b>	<b>(5,781)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>70</b>	<b>458</b>	<b>366</b>	<b>953</b>	<b>2,301</b>	<b>-</b>	<b>1,161</b>	<b>5,309</b>

### 14. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
<b>ღირებულება</b>	
2017 წლის 1 იანვარი	1,938
შესყიდვა	432
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,370</b>
შესყიდვა	597
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,967</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
2017 წლის 1 იანვარი	(748)
ამორტიზაციის დარიცხვა	(297)
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(1,045)</b>
ამორტიზაციის დარიცხვა	(370)
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(1,415)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>1,325</b>
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>1,552</b>



## 15. სხვა აქტივები

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა მოთხოვნები	1,705	1,470
<b>სხვა ფინანსური აქტივები სულ</b>	<b>1,705</b>	<b>1,470</b>
დასაკუთრებული ქონება	547	643
ავანსები	2,041	1,502
<b>სხვა არაფინანსური აქტივები სულ</b>	<b>2,588</b>	<b>2,145</b>
<b>სხვა აქტივები სულ</b>	<b>4,293</b>	<b>3,615</b>

სხვა ძირითადი საშუალებები მეტწილად შედგება უსაფრთხოების სისტემებისა და გენერატორებისგან. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება შესაბამისად შეადგენდა 2,848 ათას ლარსა და 2,056 ათას ლარს.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია კაპიტალიზირებული სესხის ხარჯები შესყიდულ ან აშენებულ ქონებაზე.

## 16. ნასესხები სახსრები

ეს შენიშვნა წარადგენს ინფორმაციას სესხების შესახებ, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკების შესახებ, იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	226,563	163,346
სუბორდინირებული სესხი	4,354	4,354
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>230,917</b>	<b>167,700</b>

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ძირი თანხა	227,829	164,693
დარიცხული პროცენტი	3,088	3,007
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>230,917</b>	<b>167,700</b>

ჯგუფის ნასესხები სახსრების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციაა:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
ნასესხები სახსრები	157,871	83,736
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
ნასესხები სახსრები	73,046	83,964
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>230,917</b>	<b>167,700</b>

## სუბორდინირებული სესხი

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა არა უზრუნველყოფილ სუბორდინირებულ სესხს, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციიდან „KfW“-სგან, რომლის ვადაც იწურება 2019 წელს და შეადგენს 4,354 ათას ლარსა და 4,354 ათას ლარს შესაბამისად, 11% -იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით.

გაკორტების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხების დაფარვა მოხდება ჯგუფის სხვა ვალდებულებების სრული დაფარვის შემდეგ.

## ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები

ნასესხები სახსრების ვადები და პირობებია:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	მოქმედების ვადა	დეკემბერი 31, 2018 საბალანსო ღირებულება	დეკემბერი 31, 2017 საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	USD	5.7% - 9.58%	2018 - 2023	127,348	102,568
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	GEL	10% - 14.75%	2018 - 2024	98,763	59,409
არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	EUR	5%-7%	2018 - 2022	452	1,369
არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული დავალიანება	GEL	11%	2019	4,354	4,354
<b>საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები სულ</b>				<b>230,917</b>	<b>167,700</b>

## ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები

	იანვარი 1, 2018	სესხების მიღება წლის განმავლობაში 2018	სესხის დაფარვა წლის განმავლობაში 2018	დარიცხული პროცენტი წლის განმავლობაში 2018	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი 2018	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება წლის განმავლობაში 2018	დეკემბერი 31, 2018
ნასესხები სახსრები	167,700	130,757	(74,175)	19,052	(18,971)	6,554	230,917

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

## 17. სავალლო ფასიანი ქაღალდები

ეს შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას სავალლო ფასიანი ქაღალდების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკების შესახებ, იხილეთ შენიშვნა 25.

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ძირი თანხა	9,871	9,871
დარიცხული პროცენტი	74	9
<b>სულ სავალლო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>9,945</b>	<b>9,880</b>

სავალლო ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაცია:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
სავალლო ფასიანი ქაღალდები	-	9,871
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
სავალლო ფასიანი ქაღალდები	9,945	9
<b>სულ სავალლო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>9,945</b>	<b>9,880</b>

### კორპორატიული ობლიგაცია

სავალლო ფასიანი ქაღალდები მოიცავს კორპორატიულ ობლიგაციას. 2017 წლის 28 დეკემბერს ჯგუფმა გამოუშვა კორპორატიული ობლიგაცია 10 მილიონი ლარის ღირებულებით. აღნიშნული ობლიგაციების ვადა იწურება 2019 წელს. ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4.5%.

### ვადები და ვალის დაფარვა

ვალის დაფარვის პირობები:

ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვადის გასვლის წელი	დეკემბერი 31, 2018 საბალანსო ღირებულება	დეკემბერი 31, 2017 საბალანსო ღირებულება
სავალლო ფასიანი ქაღალდები	GEL	4.50%+სებ რეფინანსირების საპრ. განაკვ.	2019 9,945	9,880
<b>სულ სავალლო ფასიანი ქაღალდები</b>			<b>9,945</b>	<b>9,880</b>

## ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ცვლილებები

	იანვარი 1, 2018	სესხების მიღება წლის განმავლობაში 2018	სესხის დაფარვა წლის განმავლობაში 2018	დარიცხული პროცენტი წლის განმავლობაში 2018	წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი 2018	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება წლის განმავლობაში 2018	დეკემბერი 31, 2018
სავალლო ფასიანი ქაღალდები	9,880	-	-	1,168	(1,103)	-	9,945

სხვა მოთხოვნების მოკლევადიანი ხასიათის გამო, ჯგუფს არ აქვს აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს სწრაფი გადახდის აპარატების კომპანიებისგან მოთხოვნას, რომელიც დაფარულ იქნა ანგარიშგების თარიღის შემდეგ მოკლე ვადაში.

## 18. სხვა ვალდებულებები

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
სხვა ვალდებულებები	692	476
<b>სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>692</b>	<b>476</b>
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ *	579	847
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	83	11
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	81	35
<b>სხვა არაფინანსური ვალდებულებები</b>	<b>743</b>	<b>893</b>
<b>სხვა ვალდებულებები სულ</b>	<b>1,435</b>	<b>1,369</b>

### გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები

- 2018 წლის 5 მარტს ჯგუფმა ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს “პაშა ბანკ ჯორჯიასთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 3,000 ათასი ლარი, 2019 წლამდე ვადით.
- 2018 წლის 12 აპრილს ჯგუფმა ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს “თი-ბი-სი ბანკთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 5,000 ათასი ლარი, 2019 წლამდე ვადით.
- 2018 წლის 30 აპრილს ჯგუფმა ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს “პაშა ბანკ ჯორჯიასთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 1,000 ათასი ლარი, 2019 წლამდე ვადით.
- 2018 წლის 18 მაისს ჯგუფმა ხელი მოაწერა 2 საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას (თითოეული 5,000 ათასი ლარის ოდენობით) სს “თი-ბი-სი ბანკთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 10,000 ათასი ლარი, 2019 წლამდე ვადით.
- 2018 წლის 21 ივნისს ჯგუფმა ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს “თი-ბი-სი ბანკთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 2,400 ათასი ლარი, 2019 წლამდე ვადით.
- 2018 წლის 10 აგვისტოს ჯგუფმა ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს “თი-ბი-სი ბანკთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 5,000 ათასი ლარი, 2019 წლამდე ვადით.
- 2018 წლის 24 ოქტომბერს ჯგუფმა ხელი მოაწერა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას სს “საქართველოს ბანკთან“, რომლის მეშვეობითაც მიიღო 500 ათასი ევრო, 2019 წლამდე ვადით.



## ფინანსური კოვენანტები

ჯგუფი ვალდებულია შეასრულოს ფინანსური კოვენანტები ზემოთ ჩამოთვლილი სესხებისთვის. ეს კოვენანტები მოიცავს განსაზღვრულ კოეფიციენტებს, ასევე ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და რისკის დაფარვის კოეფიციენტებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ვერ შეასრულა სს „თი-ბი-სი ბანკის“ ფინანსური კოვენანტი 2018 წლის წმინდა მოგების მოცულობის შესახებ. 2019 წლის 3 მაისს ჯგუფმა მიიღო ოფიციალური წერილი სს „თი-ბი-სი ბანკისგან“, რომელითაც ის პატიობს ჯგუფს ამ დარღვევას. შედეგად, ბანკი არ მოითხოვს მის მიმართ არსებული საკრედიტო ვალდებულების არც უმალ, არც წინასწარ დაფარვას.

ბასს 1-ზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციას“, ხელმძღვანელობამ სს „თი-ბი-სი ბანკისგან“ ნასესხებასსრებს, 12,004 ათასი ლარის ოდენობით, მიანიჭა მიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია. აღნიშნული ვალდებულება შევიდა 1 თვემდე ვადიანობის მქონე კატეგორიაში ლიკვიდურობის რისკის მართვის განმარტებითი შენიშვნის მიზნებისათვის, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ვერ შეასრულა Finance in Motion GmbH-ის მართვის ქვეშე მყოფი ფონდების (The European Fund for Southeast Europe S.A., SICAV-SIF and Green for Growth Fund, Southeast Europe S.A., SICAV-SIF) მოთხოვნა კაპიტალი/აქტივებთან კოეფიციენტის შესახებ. ჯგუფმა მოსალოდნელი დარღვევის ფაქტის შესახებ აცნობა ფონდებს და მოიპოვება პატიების წერილები 2018 წლის დასრულებამდე. შედეგად, შესაბამისი საკრედიტო ვალდებულებები არ ხდება უმალ დასაფარი და არ შედის 1 თვემდე ვადიანობის მქონე კატეგორიაში ლიკვიდურობის რისკის მართვის განმარტებითი შენიშვნის მიზნებისათვის, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

აღნიშნული ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

## 19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

### სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მენილუები	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არა-გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები	წილი %	ხმის მიცემის უფლება	კაპიტალური ღირებულება
ფონდი კრისტალი	1,450,192	ჩვეულებრივი	47.37%	47.37%	1,450
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	ჩვეულებრივი	37.12%	37.12%	1,136
DWM ფონდები ს.ს.ა.-SICAV SIF	378,719	ჩვეულებრივი	12.37%	12.37%	379
ჯგუფის ხელმძღვანელობა	96,114	ჩვეულებრივი	3.14%	3.14%	96
	<b>3,061,182</b>		<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>3,061</b>

წილობრივი კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მენილუები	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არა-გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები	წილი %	ხმის მიცემის უფლება	კაპიტალური ღირებულება
ფონდი კრისტალი	1,450,192	ჩვეულებრივი	47.52%	47.52%	1,450
AGRIF COÖPERATIEF U.A.	1,136,157	ჩვეულებრივი	37.23%	37.23%	1,136
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	378,719	ჩვეულებრივი	12.41%	12.41%	379
ჯგუფის ხელმძღვანელობა	86,817	ჩვეულებრივი	2.84%	2.84%	87
	<b>3,051,885</b>		<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>3,052</b>

კორპორატიული ობლიგაციების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

## 20. საოპერაციო იჯარა

### იჯარა

ყველა საიჯარო ხელშეკრულებას გააჩნია შეწყვეტის უფლება შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ. გასაფრთხილებელი პერიოდები მერყეობს ერთიდან სამ თვემდე. არასავალდებულო მინიმალური საიჯარო გადასახადი გადაიხდება შემდეგნაირად:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>1 წელზე ნაკლები</b>	<b>443</b>	<b>399</b>

თანამშრომელთა კომპენსაციის დარიცხვა მოიცავს თანამშრომელთათვის გადასახდელ თანხას, რომელიც განისაზღვრება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიხედვით და რომელიც აღიარდა ხარჯად შესაბამისად, ვალდებულება გაიზარდა იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები უპირობოდ მიიღებენ ამ კომპენსაციას.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის დეტალები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი და სრულად არის გადახდილი.

ყველა ჩვეულებრივი აქციები თანაბრად კლასიფიცირდება ჯგუფის ნარჩენი აქტივების მიმართ.

2018 წლის 11 ივლისს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა 9,297 ჩვეულებრივი აქციის გაცემა ჯგუფის ხელმძღვანელობისადმი (ჯგუფის, ინდივიდუალური და დისკრეციული მიზნების შესრულებიდან გამომდინარე 2017 წლისათვის).

## 21. საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს თანხას, რაც მიღებულ იქნება აქციის სარეგისტრაციო ღირებულების გარდა. შესაბამისად, მისი შექმნა შესაძლებელია იგივე საშუალებით, როგორც სააქციო კაპიტალის: 1) აქციების გამოშვება, და 2) ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში.

საემისიო კაპიტალი შეადგენდა 12,718 ათას ლარსა და 12,551 ათას ლარს, შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრითა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის. საემისიო კაპიტალის ნაშთის მოძრაობა 2018 წლის მანძილზე სრულადაა დაკავშირებული 2017 წლის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში გამოშვებულ აქციებთან.

### წილობრივი გადახდის რეზერვი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს, წლის წინასწარი შედეგების გაანალიზებისა და ამ წლის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის შესრულების პროგრესის შემოწმების შემდეგ, ჯგუფი ქმნის წილობრივი გადახდის რეზერვს (2018: ნული; 2017: 68 ათასი ლარი. გთხოვთ დამატებით იხილოთ მე-7 შენიშვნა.

წილობრივი გადახდის რეზერვი შესაძლოა შეიცვალოს აქციონერთა კრების მიერ ჯგუფის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განხილვისა და დამოწმების შემდეგ. 2017 წლის ფინანსური შედეგების საფუძველზე თავდაპირველად დარიცხული 68 ათასი ლარი 2018 წლის მანძილზე გაიზარდა 108 ათასი ლარით.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მანძილზე 9,297 აქცია გამოიცა და დარეგისტრირდა 2017 წლის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, რის შედეგადაც შემცირდა წილობრივი გადახდის რეზერვი და გაიზარდა სააქციო კაპიტალი.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მანძილზე 167 ათასი ლარის საემისიო კაპიტალი შეიქმნა 2017 წლის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, რის შედეგადაც შემცირდა წილობრივი გადახდის რეზერვი და გაიზარდა საემისიო კაპიტალი.

### დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები და უფლებამოსილი არიან, ყოველწლიურად ჯგუფის აქციონერთა კრებაზე მიიღონ ერთ აქციაზე ერთი ხმის მიცემის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, როგორც ეს აღწერილია ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აქციონერთა მიერ მიღებული, 2018 წლის 11 ივლისითა და 2017 წლის 20 ივნისით დათარიღებული, გადაწყვეტილებით, გამოცხადდა და გადახდილი იქნა შესაბამისად, 870 ათასი ლარისა და 1,000 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდი.

## 22. დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები

### მაკონტროლებელი ურთიერთობები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მთავარია აქციონერი მაკონტროლებელი მხარე არის ფონდი კრისტალი 47.37%-ით (იხილეთ შენიშვნა 1).

### ტრანზაქციები სამეთვალყურეო და აღმასრულებელი საბჭოების წევრებთან

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პერსონალის გასამრჯელოში განეული სრული ანაზღაურება და მენეჯმენტის საკონსულტაციო გადასახადი შემდეგია:

	2018	2017
ხელფასები და პრემიები	1,236	729
წილობრივი გადახდის ოპერაცია	135	194
მოგების განაწილების გეგმა	147	123
საკონსულტაციო ხარჯები	13	16
	<b>1,531</b>	<b>1,062</b>

სხვა შრომის ანაზღაურებისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო საფასურის გადახდა, რომელიც შედის სხვა ვალდებულებებში, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
წილობრივი გადახდის ოპერაცია	-	194
მოგების განაწილების გეგმა	147	123
	<b>147</b>	<b>317</b>

### სხვა დაკავშირებული მხარეების გარიგებები

	2018	2017	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
<b>სხვა</b>				
სს „მობაილ ფაინენს სერვის - ჯორჯია“ *	109	141	-	53
	<b>109</b>	<b>141</b>	<b>-</b>	<b>53</b>

ჯგუფი ქირაობს რიგ შენობებს საოპერაციო იჯარით. იჯარა, როგორც წესი, თავდაპირველად გრძელდება სამიდან ხუთ წლამდე, გარიგების გაგრძელება ხორციელდება კონტრაქტის ხელახალი გაფორმების გზით. სალიზინგო გადასახადები, როგორც წესი, იზრდება ყოველ ორ ან სამ წელიწადში. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება შეთანხმებულ ქირაზე მეტის გადახდა, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ საფასო ინდექსზე.



## 23. პირობითი ვალდებულებები

### სამართალწარმოება

ჯგუფი ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ვალდებულების წარმოქმნას არ ექნება ნეგატიური ეფექტი სამომავლო ფინანსურ მდგომარეობას ან ოპერაციების შედეგებზე.

### საგადასახადო შეღავათები

საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის საგადასახადო კოდექსი იძლევა რამდენიმე ინტერპრეტაციის საშუალებას. ამასთან, არსებობს რისკი, რომ საგადასახადო ორგანოებმა საკუთარი მსჯელობა წარმოადგინონ ბიზნეს ოპერაციების შესახებ. თუკი საგადასახადო ორგანოები ექვემდებარება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ თავის საოპერაციო საქმიანობაზე გაკეთებულ რომელიმე მიდგომასა და მსჯელობას, ჯგუფს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადი, ჯარიმა და პროცენტი.

ქართული ტრანსფერ ფრაისინგის რეგულაცია შეიცვალა 2014 წლის 1 იანვარს, რამაც დამატებითი ანგარიშგებისა და დოკუმენტ-წარმოების ვალდებულება შექმნა. ახალი რეგულაცია უფლებას აძლევს საგადასახადო ორგანოს, რომ რიგი გადასახადები დაანესოს კონკრეტული ტიპის ოპერაციებზე, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება ოპერაციებით დაკავშირებულ მხარეებთან, თუკი მარეგულირებელი ჩათვლის, რომ ეს ოპერაციები არ განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით. საიმედოდ და გონივრულად ვერ შეიძლება გაიზომოს საგადასახადო ორგანოს მიერ ჯგუფის ტრანსფერ ფრაისინგ მიდგომების ექვემდებარების რისკი. ასეთივე ბუნდოვანება შესაძლოა შეეხოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვებისა და ოპერაციების საბაზრო პირობებით განხორციელების პრინციპებს. ასევე, იგივე გაურკვეველობა შესაძლოა შეიქმნას გაუფასურების რეზერვის შექმნისაგან წარმოშობილი დროებითი განსხვავებების მიმართ, როგორც დასაბეგრი მოგების შემცირების გზაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის სამართლიანად ახდენს ყველა საგადასახადო ვალდებულების დარიცხვას და, შესაბამისად, ამ მხრივ არავითარი რეზერვი არ შექმნილა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### საოპერაციო გარემო

საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ექვემდებარებიან რისკებს, რომლებიც არის განსხვავებული სხვა განვითარებული ბაზრებისგან; ბაზრები დგას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ლეგალური და სამართლებრივი რისკების წინაშე. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე, განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით, განსხვავებული ინტერპრეტაციებით. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს, მთავრობის მიერ, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში განწევრიანების სამოქმედო გეგმას. 2017 და 2018 წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაკვალა, თუმცა გაცილებით მეტია მოსალოდნელი საქართველოს მიერ ევროკავშირში განწევრიანების სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

\* სს “მობაილ ფაინენს სერვის - ჯორჯიას” ფლობს სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრი.

### ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

„ფასს“ რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც საფასურს, რომელიც მიიღება გაყიდული აქტივებიდან ან ვალდებულების გადაცემიდან ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეული ტრანზაქციის გზით საანგარიშო თარიღისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულებები იქნა განსაზღვრული ჯგუფის მიერ ხელმისაწვდომ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით, სადაც იგი არსებობს და შეესაბამება შეფასების მეთოდოლოგიას. მიუხედავად ამისა, საბოლოო დასკვნის გამოტანა აუცილებლობას წარმოადგენს, რათა მოხდეს საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაცია და განისაზღვროს რეალური ღირებულება. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრისა და ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლების წარმოჩენას, იმისათვის, რომ შეზღუდოს ფინანსურ ბაზარზე საქმიანობის მოცულობა. საბაზრო კვოტაციები შესაძლოა იყოს მოძველებული ან ასახავდეს გაყიდვებს შემცირებულ ფასებში და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებებს. მენეჯმენტი გამოიყენა ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ბაზარზე, იმისათვის, რომ დაედასტურებინა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.

### რეალური ღირებულების იერარქია

ჯგუფი ზომავს რეალურ ღირებულებას ქვემოთ მოყვანილი რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს გაზომვის დროს გამოყენებული ინფორმაციის მნიშვნელობას:

- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არის არა ხელმისაწვდომი, ეს კატეგორია მოიცავს ყველა იმ ინსტრუმენტს, სადაც შეფასების ტექნიკა მოიცავს ინფორმაციას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის მეშვეობით და არა ხელმისაწვდომი აქტივები ახდენენ მნიშვნელოვან ეფექტს ინსტრუმენტების შეფასებაზე. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც არის შეფასებული კვოტირებულ ფასებზე დაყრდნობით იმ მსგავსი ინსტრუმენტებისდაგვარად, სადაც მნიშვნელოვანია არა ხელმისაწვდომი კორექტირებები ან აუცილებელია დაშვებები, რათა მოხდეს ინსტრუმენტებს შორის განსხვავების წარმოჩენა.

**ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არ არის ასახული რეალური ღირებულებით (მაგრამ რეალური ღირებულების განმარტება წარმოადგენს აუცილებლობას).**

3 თვემდე ვადიანობის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის კეთდება დაშვება, რომ მათი საბალანსო ღირებულება უთანაბრდება მათ რეალურ ღირებულებას. იგივე დაშვება ვრცელდება ვადიან ანაბრებსა და უვადო მიმდინარე ანგარიშებზე.

**ფული და ფულის ექვივალენტები** - ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც გათანაბრებულია მათ მიმდინარე რეალურ ღირებულებასთან.

**სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები** –სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად არის წარმოდგენილი მოკლე ვადიანი დებიტორული დავალიანებების სახით, შესაბამისად საბალანსო ღირებულება შესაძლოა იქნეს ჩათვლილი რეალური ღირებულების გონივრულ შეფასებად.

**მომხმარებლებზე გაცემული სესხები** –ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულების გაანგარიშება ემყარება მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება მიღებული ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადით. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადასა და საკრედიტო რისკზე.

**ნასესხები სახსრები და სავალო ფასიანი ქაღალდები** - სუბორდინირებული სესხის და სავალო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება განისაზღვრება ზოგადად მიღებული ფასების მოდელის შესაბამისად დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ცვლადი განაკვეთით სესხების მიღება შესაძლოა ჩათვალოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთად.

გარდა იმ შემთხვევისა, რაც დეტალურადაა მოცემული ცხრილში, მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ტარიფები, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ უწყისში გათანაბრებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

	რეალური ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
		საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	დონე 1	13,953	13,953	14,320	14,320
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	დონე 3	264,608	271,584	198,045	201,893
სხვა ფინანსური აქტივები	დონე 3	1,706	1,706	1,470	1,470
ნასესხები სახსრები	დონე 3	230,917	231,292	167,700	166,448
სავალო ფასიანი ქაღალდები	დონე 3	9,945	9,945	9,880	9,880
სხვა ფინანსური ვალდებულებები	დონე 3	692	692	476	476

**ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება განმეორებით საფუძველზე**

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ არის ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრული (კერძოდ, შეფასების ტექნიკა (ები) და აქტივები).

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017	რეალური ღირებულების იერარქია	შეფასების ტექნიკა (ები) და ძირითადი კომპონენტი (ები)	მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კომპონენტები	არადაკვირვებადი კომპონენტების გავლენა რეალური ღირებულებაზე
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	442	1,585	დონე 2	სამომავლო ფულადი ნაკადები შეფასებულია ფორვარდულ გადაცვლით კურსზე დაყრდნობით (ხელშესახები ფორვარდული გადაცვლის კურსებიდან რეპორტირების პერიოდის ბოლოსთვის)		
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	1,659	591	დონე 2			

დონე 1: კვოტირებული საბაზრო ფასი (შეუცვლელი) აქტიურ ბაზარზე იდენტური ინსტრუმენტისთვის.

- დონე 2: ფასები, გარდა კვოტირებული ფასებისა, რომელიც მოცეულია დონე 1-ში და რომლებიც განიხილება ან როგორც პირდაპირი (მაგ. როგორც ფასები) ან როგორც ირიბი (მაგ. მიღებული ფასებისგან). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს რომლებიც შეფასებულია: კვოტირებული საბაზრო ფასებით აქტიურ ბაზარებზე მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; კვოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის ბაზარებზე, რომლებიც ჩათვლილია ნაკლებად აქტიურად; ან შეფასების სხვა ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვანი აქტივი, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი არის დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების მეშვეობით.

ჯგუფი იყენებს ფართოდ აღიარებულ შეფასების მოდელებს იმისათვის, რომ განსაზღვროს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, მაგალითად, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლის კონტრაქტები და სავალუტო სვოპები, რომლისთვისაც გამოიყენება მხოლოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები და საჭიროებს მცირე შეფასებებს და გადანაცვლებებს მენეჯმენტის მხრიდან.

## 24. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის შენარჩუნების მიმართულებით არის:

- შეუნარჩუნოს ჯგუფს უნარი გააგრძელოს აქციონერთათვის ფინანსური სახსრების მიღება; და
- აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით, მომსახურების ღირებულების დადგენის რისკის დონის შესაბამისად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის ოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი ახდენს კაპიტალის სტრუქტურის მენეჯმენტს და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური ცვლილებების და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ მოხდეს კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნება ან რეგულირება, ჯგუფს შეუძლია შეცვალოს დივიდენდების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი აქციონერებისთვის, ასევე კაპიტალის დაბრუნება აქციონერებისთვის, განახორციელოს ახალი აქტივების გაცემა ან გაყიდოს აქტივები, დავალიანების შემცირების მიზნით.

ჯგუფი შესაბამისობაშია მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებთან - ფულადი შენატანი კაპიტალში უნდა შეადგენდეს არანაკლები 500 ათასი ლარისა (2017: 250 ათასი ლარი).

2018 წლის 1 სექტემბერიდან ჯგუფს ასევე ვალდებულება აქვს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ფინანსური მოთხოვნები, როგორცაა: კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, ქონებრივი ინვესტიცია, ინვესტიცია, ინსაიდერების კრედიტი, დაგირავებული აქტივები. ამ კოეფიციენტებთან შესაბამისობაში ყოფნა სებ-ის მიერ ყოველთვიურად კონტროლდება.

სებ-ის რეგულაციების შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია დააკმაყოფილოს კაპიტალის შევსება შემდეგი განრიგით:

- 2019 წლის 1 ივლისიდან - სულ მცირე 18%

ქვედა ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის შესაბამისობა სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნასთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017 წლის 31 დეკემბერი: -).

	2018
სააქციო კაპიტალი	3,061
საემისიო კაპიტალი	12,718
გაუნაწილებელი მოგება	35,208
<b>საზედამხედველო კაპიტალი დაქვითვამდე</b>	<b>50,987</b>
მინუს არამატერიალური აქტივები	1,552
<b>საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>49,435</b>

	2018
მთლიანი აქტივები დაქვითვამდე	295,047
მინუს არამატერიალური აქტივები	1,552
<b>მთლიანი აქტივები დაქვითვის შემდეგ</b>	<b>293,495</b>

	2018 წლის 31 დეკემბერი
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	16.84%

2018 წლის 1 სექტემბერი - 2018 წლის 31 დეკემბერი: სულ მცირე 16%  
 • 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 30 ივნისი: 16%-18%

ჯგუფი ასევე აკონტროლებს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს ვალის შესაბამისად, ახდენს კალკულაციას კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად. იხილეთ მე-17 შენიშვნა კოვენანტებთან შესაბამისობის შესახებ.



## 25. რისკების მართვის პოლიტიკა

ბიზნესისთვის რისკების მენეჯმენტი არის ფუნდამენტური და წარმოადგენს ჯგუფის მუშაობის მთავარ ელემენტს. ჯგუფისთვის ძირითად რისკებს წარმოადგენს საბაზრო , საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

რისკის მენეჯმენტის პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს, დაადგინოს, გააანალიზოს და განახორციელოს იმ რისკების მართვა, რომელთა წინაშეც დგას ჯგუფი. შესაბამისად, განსაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და მისი კონტროლის მექანიზმები, განახორციელოს აღნიშნული რისკის დონის მუდმივი მონიტორინგი და აღნიშნული ლიმიტების დაცვა. რისკის მენეჯმენტის პოლიტიკა და პროცედურები უნდა იქნეს რეგულარულად გადახედილი, რათა განხორციელდეს ცვლილებების ასახვა ბაზრის მდგომარეობის შესაბამისად, შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურებების და ასევე საუკეთესო ფასის ქრილში.

სამეთვალყურეო საბჭო, თავის კომიტეტებთან ერთად, პასუხისმგებელია რისკის მართვის ფარგლების ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკებისა და აღნიშნული რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე, ისევე როგორც მათ დამტკიცებაზე, გადახედვასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი და ფინანსური დეპარტამენტი პასუხისმგებელია რისკების მიგრაციისთვის გასატარებელი ზომების მონიტორინგსა და შესრულებაზე და შემუშავებული რისკების პარამეტრების შესაბამისად ჯგუფის მუშაობაზე. რისკების დეპარტამენტის უფროსი პასუხისმგებელია რისკების სრულ მენეჯმენტზე და შესაბამისობის ფუნქციებზე, მიღებული პრინციპების განხორციელების და იდენტიფიკაციის მეთოდების, გასატარებელი ზომების, მენეჯმენტის და როგორც ფინანსური, ასევე არა ფინანსური რისკების რეპორტირების უზრუნველყოფაზე. ის ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ საბჭოსთან.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკი ერთად და ცალ-ცალკე, ასევე, ტრანზაქციური დონეები, იმართება და კონტროლდება საკრედიტო კომიტეტის და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის სისტემის მიერ. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ჯგუფი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადაგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

რისკის ფაქტორების იდენტიფიცირება, იქნება ეს გარე ფაქტორი, თუ შიდა, ხდება ორგანიზაციის მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება რისკების სრული სპექტრის იდენტიფიკაციას და მიმდინარე რისკების შემარბილებელი პროცედურების გარანტიის დონის განსაზღვრას. გარდა სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისა, რისკების დეპარტამენტი ახორციელებს როგორც ფინანსური, ასევე, არა ფინანსური რისკების მონიტორინგს, საოპერაციო მიმართულებებთან რეგულარული შეხვედრების გზით, ექსპერტთა დასკვნების მოსაპოვებლად.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის რომელიმე მხარე ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჯგუფს აქვს შემუშავებული კრედიტის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ჰყავს საკრედიტო კომიტეტი და სხვა ანალიტიკური სამსახურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სესხის განაცხადის ანალიზზე, საკრედიტო რისკების შეფასებასა და შემცირებაზე. საკრედიტო პოლიტიკა (საკრედიტო სახელმძღვანელოს სახით) შესწავლილია და დადასტურებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს:

- სესხის საკრედიტო განაცხადების განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებელთა საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- გირავნობის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნების ნუსხას;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მონიტორინგის პროცედურებს;

საკრედიტო კომიტეტი პასუხისმგებელია სასესხო განაცხადის როგორც დაკმაყოფილებაზე, ასევე უარყოფაზე. კრედიტები, რომლებიც განსახილველად ეგზავნება კომიტეტს დასამტკიცებლად, ემყარება საკრედიტო პოლიტიკის დადგენილ ლიმიტებს.

საკრედიტო კომიტეტისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და კორექტულობა არის საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ახორციელებს საკრედიტო განაცხადის თავდაპირველ ფორმირებას, განმცხადებლის ბიზნესის შემოწმების და საკრედიტო რისკების შეფასების გზით, რაც ხორციელდება განმცხადებლის საკრედიტო ქულების გადამოწმებით, სპეციალურად შემუშავებულ მოდელზე დაყრდნობით და განმცხადებლის პერსონალური მონაცემების ვერიფიკაციის პროცედურის გავლით. საკრედიტო კომიტეტის წევრები ადარებენ განმცხადებლის მონაცემებს მიღებული კრიტერიუმების გათვალისწინებით (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტულ უნარიანობა და ა.შ. ).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება ხდება განმცხადებლის ბიზნესის მონიტორინგის გზით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას, დროულად მოახდინოს ფინანსური ზარალის დადგომის საფრთხის იდენტიფიკაცია. მონიტორინგს აწარმოებენ კრედიტოფიცრები, რომლებიც ახორციელებენ შედეგების მიწოდებას მენეჯმენტისთვის. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისთვის, უნდა განხორციელდეს რისკების მონიტორინგი კომპენეჯმენტის ინფორმირების გზით, ყოველთვიურად. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკების მართვას და მათ დროულ შემცირებას.

რისკის წარმოშობა ასევე არის დარეგულირებული, გირაოსა და პირადი გარანტიების მიღების გზით.

გარდა მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზისა, საკრედიტო პორტფელი ფასდება რისკების დეპარტამენტის მიერ საკრედიტო მიზნებისა და ბაზრის რისკების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური შემოქმედება, ზოგადად აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში,

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავს დებიტორები ან დებიტორებთან დაკავშირებული ჯგუფები, რომელთა მიმართაც საკრედიტო რისკი აჭარბებდეს მაქსიმალური საკრედიტო რისკის დონის 10%-ს.

### საკრედიტო რისკების კატეგორიები

ჯგუფი ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობისა და მსესხებლის ტიპიდან გამომდინარე.

ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება სანყის ეტაპზე მსესხებელზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

სესხის გაცემა განისაზღვრება წინასწარ შემუშავებული საკრედიტო ქულაზე დაყრდნობით, რაც შემდგომ აისახება სესხისთვის მისანიჭებულ კატეგორიაზე.

გასაცემი სესხის კატეგორიები:

- A > 87 ქულა
- B 82-87 ქულა
- C 71-81 ქულა
- C1 არ არის გათვალისწინებული (აგრო ბარათების და სემონური სესხების შემთხვევაში, რადგან არ არის დამოკიდებული რეიტინგზე)

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

- C3 1-30 დღიანი ვადაგადაცილება
- D 31-60 დღიანი ვადაგადაცილება
- D1 61-90 დღიანი ვადაგადაცილება
- D2 91-120 დღიანი ვადაგადაცილება
- D3 121-180 დღიანი ვადაგადაცილება
- E > 181 დღიანი ვადაგადაცილება

რესტრუქტურირებული სესხების კატეგორიები:

- R1 მიმდინარე რესტრუქტურირება და რესტრუქტურირება 1-90 დღიანი ვადაგადაცილებით
- R2 რესტრუქტურირება >90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით

სალომბარდე პორტფელის კატეგორიები:

- P მთელი ლომბარდის პორტფელი მოცემულია აღნიშნულ კატეგორიაში

**დეფოლტის კატეგორიები:**

დეფოლტის კლასები წარმოდგენილია D2, D3, E, R2 კატეგორიებში, რომელთათვისაც სხვადასხვა რეზერვის განაკვეთები გამოიყენება ჯგუფის მიერ, ქვემოთ მოცემული წესის შესაბამისად: სესხების, რომლებიც მანამდე D2, D3 კატეგორიაში იყო და რესტრუქტურირდა, გადადის R2 კატეგორიაში.

**დაკვირვების ქვეშ არსებული სესხები:**

ეს კატეგორია წარმოდგენილია სესხებით, რომლებსაც მიენიჭათ D და D1 კატეგორია ბოლო დავალიანების გამო, მაგრამ არ არის იმ მომენტისთვის ვადაგადაცილებაში, R1 (იხილეთ ქვემოთ წესები) და სესხები, რომლებიც გადავიდა C2 კატეგორიაში რისკების დეპარტამენტის მიერ, ქვემოთ მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით (ამ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული ქულებზე).

### კატეგორიის ცვლილებები

სესხების მიგრაცია დაშვებულია A, B, C, C1 კატეგორიებს შორის, ცვლილება კი დამოკიდებულია რეიტინგის მოდიფიკაციაზე, რაც თავის მხრივ უალოესი ფინანსური ანალიზისას იქნა გამოთვლილი.

ნებისმიერი C3 კატეგორიის სესხი, რომელიც აღარ არის ვადაგადაცილებული, გადადის A, B, C და C1 კატეგორიებში.

თუ სესხები, რომლებიც იყო D და D1 კატეგორიაში, მაგრამ მიმდინარე მომენტისთვის არ არის ვადაგადაცილებაში, გადადის C2 კატეგორიაში. ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდება სესხის დაბრუნება შესაბამის კატეგორიაში.

იმ შემთხვევაში, თუ R1 კატეგორიის სესხის გადახდა ხდება დროულად, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში და თუ ყოველწლიური შენატანის მინიმუმ 50% გადახდილია, ხდება დამატებითი ფინანსური ანალიზის წარმოდგენა; რაც დამოკიდებულია რისკების კომიტეტის გადაწყვეტილებაზე და კლიენტის თანხმობაზე რეფინანსირების შესახებ, რაც მისცემს საშუალებას ჯგუფს გასცეს ახალი სესხი. ასეთი სახის სესხი მიეკუთვნება C2 კატეგორიას მისი დაფარვისთანავე. D2, D3, E და R2 სესხები მუდმივად რჩება მოცემულ კლასში.

**პარალელური სესხების შემთხვევაში:**

- თუ კლიენტს აქვს ერთი ვადაგადაცილებული სესხი, მომხმარებლის ყველა სესხი, იქნება გადასული აღნიშნულ კატეგორიაში, არსებული სესხებისგან ყველაზე დიდი მსზ- ის მაჩვენებლით.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს ერთი რესტრუქტურირებული სესხი, მისი ყველა დანარჩენი სესხი გადადის რესტრუქტურირებული სესხების კატეგორიაში, რესტრუქტურირებულ სესხს ენიჭება უპირატესობა ვადაგადაცილებულთან შედარებით. აქედან გამომდინარე, თუ მომხმარებელს აქვს 1 რესტრუქტურირებული სესხი და 1 - ვადაგადაცილებული, ორივე მათგანი გადავა რესტრუქტურირებული სესხების კატეგორიაში.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს პარალელური სესხები, და მათგან არც ერთი არ არის ვადაგადაცილებული, რესტრუქტურირებული ან არ არის შესული C1, C2 კატეგორიებში, ყველა მათგანს მიენიჭება კატეგორია, რომელიც მას მიენიჭა ბოლო სესხის გაცემის დროს. მაგალითად, თუ მომხმარებელს ქონდა 1 სესხი A კატეგორიაში, რომელიც მან მიიღო 2015 წელს და შემდეგი სესხი აიღო 2018 წელს, რომელსაც მიენიჭა B კატეგორია, ორივე სესხი გაერთიანდება B კატეგორიაში, რადგან ეს არის ბოლოს გაცემული სესხის კატეგორია.
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს აქვს პარალელური სესხები, რომელთაგან არც ერთზე არ ფიქსირდებოდა ვადაგადაცილება ან რესტრუქტურირება და იმავდროულად ერთ-ერთი მათგანი არის C1 კატეგორიაში, C1 კატეგორიის სესხსაც მიენიჭება ის კატეგორია, რომელიც მიენიჭა მომხმარებლის მიერ ბოლოს აღებულ სესხს (გარდა ამ სესხისა).
- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სარგებლობს პარალელური სესხებით, და მათგან არც ერთი არ არის ვადაგადაცილებული ან რესტრუქტურირებული და ერთ-ერთ მათგანს მიენიჭა C2 კატეგორია, მომხმარებლის ყველა სესხი გადავა C2 კატეგორიაში.

იმ შემთხვევაში, თუ რისკის დონე იზრდება A, B, C, C1 კატეგორიის სესხების შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ თუ აღნიშნული რეპორტინგის მომენტისთვის დეფოლტი 1,5 ჯერ აღემატება სტანდარტს, რომელიც ფიქსირდება სესხის გაცემის მომენტისთვის, სესხები იქნება გადატანილი C2 კატეგორიაში. დეფოლტის აღბათობა მოწმდება წელიწადში ერთხელ.

იმ შემთხვევაში, თუ A, B, C და C1 კატეგორიის სესხებში შეიმჩნევა რისკის ზრდა, აღნიშნული სესხები შესაძლოა იქნეს გადატანილი C2 კატეგორიაში შემდეგ ჯგუფების შესაბამისად:

- საკრედიტო ოფიცერი;
- ფილიალი;
- მდებარეობა (ქალაქი; რეგიონი);
- მომხმარებლის ქვე-სექტორი (პირუტყვი, სათბურები, შიდა ტრანსპორტირება და ა.შ.);
- ნებისმიერი სპეციფიკური სესხი;
- ნებისმიერი სპეციფიკური მომხმარებელი.

ჯგუფის რისკების დეპარტამენტის მიერ ხდება რეკომენდაციების განწვევა C2 კატეგორიაში სესხების გადატანის თაობაზე, რაც ემყარება შესაბამის ანალიზს. აღნიშნული ცვლილება უნდა იქნეს დადასტურებული აღმასრულებელი საბჭოს მიერ. რეკომენდაციის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი გარემოებები:

- მოსალოდნელი დაბალი შემოსავალი ან დაბალი ფასები გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე;
- მოსალოდნელი ფინანსური რყევები და არასტაბილურობა ზოგ საფინანსო სექტორში;
- მოსალოდნელი პოლიტიკური ან კრიმინალური დაძაბულობა კონკრეტულ რეგიონსა ან ქალაქში;
- მოსალოდნელი მაღალი რისკი კონკრეტულ ფილიალში, სადაც შიდა თაღლითური შემთხვევები იქნა გამოვლენილი.

ფილიალი არის დაბალი რისკის კატეგორიაში ან მაღალი რისკის მოსალოდნელ კატეგორიაში:

- კონკრეტული ფილიალი შესულია დაკვირვების კატეგორიაში რისკის ინდიკატორის გამო;
- გამოუცდელი ფილიალები, რომლებიც გაიხსნა ჯგუფისთვის უცნობ რეგიონებში;
- სესხის ოფიცერი, რომელიც შესულია დაკვირვების კატეგორიაში, რისკის ინდიკატორის გამო;
- მომხმარებელი, რომელიც იქნა შეტანილი დაკვირვების კატეგორიაში, რომლის ქმედებებიც არის საეჭვო, მოყავს საეჭვო კლიენტები, აღნიშნული ინვესტორები ეჭვს, რომ ის არის გარიგებაში სხვა კლიენტებთან, ეჭვი მყარდება შიდა აუდიტის მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- შიდა აუდიტი აწარმოებს დაკვირვებას კონკრეტული ფილიალის მაღალი რისკის შესაბამისად;
- სესხები, რომელთა დეფოლტის აღბათობა საანგარიშო თარიღის მდგომარეობით გაიზარდა 50%-ით თავდაპირველი აღიარების თარიღთან შედარებით;
- სხვა არგუმენტი, რომელიც ემყარება სათანადო ანალიზსა და დაშვებებს.

კატეგორიის ცვლილება, ასევე, ხდება სესხის რეფინანსირების დროს; ახალი სესხის გაცემისას რეიტინგის კალკულაცია ხდება განახლებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

A, B, C და C1 კატეგორიის სესხები, რომლებიც იქნა გადატანილი C2 კატეგორიაში, უბრუნდება თავის კატეგორიას იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ნახსენები რისკ ფაქტორები აღარ არსებობს.

D და D1 უბრუნდებიან თავის კატეგორიას ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობიდან გამომდინარე.

### დეფოლტის განმარტება

ჯგუფი აღიარებს დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ვადაგადაცილებული სესხები, რომლებიც რესტრუქტურირებულია >90 დღე
- კლიენტის გარდაცვალება;
- ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდისუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს;
- სალომბარდე დავალიანება >30 დღე

დეფოლტის დეფინიცია შესაბამისობაშია რეგულაციებთან 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან ფასს 9-ის გათვალისწინებით.

ის სესხები, რომლებზეც ჯგუფმა აღიარა დეფოლტი, ითვლება გაუფასურებულ სესხებად.



## საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა სანყის ეტაპზე დაფიქსირებული დეფოლტის რისკი ფინანსურ ინსტრუმენტზე, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც არის შესაბამისობაში და არის ხელმისაწვდომი დამატებითი მნიშვნელოვანი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე. აღნიშნული მოიცავს, როგორც რაოდენობრივ, ასევე, ხარისხობრივ ინფორმაციას და ანალიზს, რომელიც ეფუძნება ჯგუფის ისტორიულ გამოცდილებას და ექსპერტთა საკრედიტო შეფასებებს და ასევე სამომავლო პროგნოზს.

რაოდენობრივი მაჩვენებელი არის საკრედიტო რისკის პირველადი ინდიკატორი, რომელიც ემყარება ცვლილებებს დეფოლტის ალბათობის შედარების გზით;

- განახლებული კუმულატიური დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების თარიღისათვის.
- თავდაპირველი კუმულატიური დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების თარიღისათვის.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული.

ჯგუფი ახორციელებს იმ კრიტერიუმის ეფექტურობის მონიტორინგს, რომელიც გამოიყენება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიკაციისთვის რეგულარული შემოწმების გზით იმის დასადასტურებლად, რომ:

- კრიტერიუმი არის სწორად შემუშავებული მნიშვნელოვანი ზრდის ინდენტიფიკაციისთვის საკრედიტო რისკის განსაზღვრის მიმართულებით, მანამ სანამ დაფიქსირდება დეფოლტი;
- კრიტერიუმი არ განიხილავს იმ მომენტს, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ვადაგადაცილებაშია; და
- არ ფიქსირდება რეზერვში არასასურველი მერყეობა 12 თვიან და არსებობის მანძილზე არსებულ დეფოლტის ალბათობებს შორის.

## ეტაპებად დაყოფა

თავიანთი სრული ვადის მანძილზე სესხები მოძრაობს 3 ეტაპს შორის:

- ეტაპი 1 – A, B, C, C1, C3 - დაბალ-რისკიანი სესხები
- ეტაპი 2 – C2, R1, D, D1 - მნიშვნელოვანი საკრედიტო გაუარესება
- ეტაპი 3 – D2, D3, R2, E - დეფოლტის კატეგორიები

## პორტფელის სეგმენტაცია

პორტფელის სეგმენტაციის მიზნისათვის, პორტფელის ჯგუფების რისკების ჰომოგენურობიდან გამომდინარე, პორტფელი დაყოფილია ორ ჯგუფად: 3,000 ლარამდე და 3,000 ლარს ზემოთ თანხა. ამ ანალიზის მიზნისათვის საანგარიშო თარიღის მდგომარეობით მომხმარებლის ჯამური საკრედიტო ვალდებულება განიხილება. დეფოლტის ალბათობა კი ცალკე განისაზღვრება ზემოთ განხილული თითოეული ჯგუფისათვის.

მომხმარებლის ჯამური საკრედიტო ვალდებულება ასევე ჩაშლილია ორ - უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ ქვე-ჯგუფად, რადგან ისინი გასხვავებული მახასიათებლებისა და რისკის მატარებლები არიან.

## სამომავლო პროგნოზის გათვალისწინება

ჯგუფი ახდენს პროგნოზთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებას, როგორც იმის შეფასებისას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ისე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას.

ჯგუფი ახდენს საკრედიტო რისკების და საკრედიტო დანაკარგების მთავარი მაჩვენებლების იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, აფასებს მაკრო-ეკონომიკური ცვლადების გავლენას დეფოლტის დადგომის შემთხვევაში და მისი აღდგენის მაჩვენებელს, ასევე, ქვემოთ მოყვანილი მაკრო-ეკონომიკური ცვლილებების ანალიზს.

- საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა;
- ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც იქნა გამოყენებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019-2021 წლებისათვის საქართველოში:

	2019	2020	2021
<b>მშპ-ს ზრდა</b>			
საბაზისო სცენარი	5.0	5.0	5.0
ოპტიმისტური სცენარი	6.0	5.5	5.0
პესიმისტური სცენარი	2.0	2.5	3.5
<b>ინფლაციის მაჩვენებელი</b>			
საბაზისო სცენარი	2.9	3.0	3.0
ოპტიმისტური სცენარი	3.4	3.2	3.0
პესიმისტური სცენარი	4.5	4.0	3.0
<b>მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი</b>			
საბაზისო სცენარი	6.5	6.0	5.8
ოპტიმისტური სცენარი	6.75	6.5	6.5
პესიმისტური სცენარი	7.5	7.5	6.75
<b>ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი</b>			
საბაზისო სცენარი	279.5	279.5	279.5
ოპტიმისტური სცენარი	296.3	305.2	305.2
პესიმისტური სცენარი	259.9	246.9	251.9

მოსალოდნელი ურთიერთობების ძირითადი მაჩვენებლები, დეფოლტსა და ზარალის განაკვეთს შორის ფინანსური აქტივების სხვადასხვა პორტფელში გამოვლენილი იქნა ისტორიული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით ბოლო 3 წლის განმავლობაში. ანალიზზე დაყრდნობით, ჯგუფმა მოახდინა პორტფელის დეფოლტის ძირითადი ურთიერთობის იდენტიფიცირება მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან მიმართებაში.

ჯგუფმა წარმოადგინა სენსიტიურობის ანალიზი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიცვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ძირითად პორტფელში, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის გამოსაყენებელი მაჩვენებლები შეიცვლება 10%-ით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს სრულად მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული პორტფელისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმ შემთხვევაში, თუ მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად შესაბამება ნავარაუდებს (რაოდენობა, როგორც იყო წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის უწყისში), ისევე როგორც თითოეული მაჩვენებელი, რომელიც იქნა გამოყენებული და შეიცვალა პლიუს ან მინუს 10%-ით. ცვლილებები გამოიყენება იზოლირებულად მიზნების საილუსტრაციოდ და თითოეული ალბათობის შეწონილი სცენარისთვის, რომელიც, თავის მხრივ, გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასების შესამუშავებლად. რეალურად დაფიქსირდება სხვადასხვა ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და მისი ცვლილება განსხვავებულია სხვადასხვა სცენარის პირობებში.

	საშუალო PD	საშუალო LGD	მსზ
<b>მონეტარული პოლიტიკა საპროცენტო განაკვეთი</b>			
როგორც იყო მოსალოდნელი	31.50%	68.71%	(10,343)
+10%	31.85%	68.71%	(10,370)
-10%	31.13%	68.71%	(10,316)

ინფლაციის მაჩვენებელი;

- მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი;

### მსზ ის გაზომვა

მსზ გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

### დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

PD-ს კალკულაცია ხორციელდება სამი წლის საშუალო და შემდეგ 1 წლის მონაცემების დამატებით და საბოლოო PD მიიღება მიგრაციის მატრიცების ექსტრაპოლაციის გამოყენებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მსზ-ის ზრდას/(კლებას) 5.3%-ით, რაც შეადგენს 548/(548) ათას ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მსზ-ის ზრდას/(კლებას) 7%-ით, რაც შეადგენს 388/(388) ათას ლარს.

### (LGD)

LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. ჯგუფი აფასებს LGD-ს პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ.

LGD-ს კალკულაცია ხდება დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს დისკონტის განაკვეთს.

2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მსზ-ის ზრდას/(კლებას) 9.3%-ით, რაც შეადგენს 962/(962) ათას ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ქრილში იწვევს მსზ-ის ზრდას/(კლებას) 10%-ით, რაც შეადგენს 530/(530) ათას ლარს.

### (EAD)

EAD წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ჯგუფი ანგარიშობს EAD-ს მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. ფინანსური აქტივის EAD არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება.

### მომხმარებლის სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები მოიცავს ინფორმაციას კლიენტთა სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ სესხები	ეტაპი 1 12 თვიანი მსზ	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მსზ - არა საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მსზ - საკრედიტო-რისკით გაუფასურებული	სულ მსზ	წმინდა სესხები	მსზ %
<b>ანალიზი სექტორების მიხედვით:</b>							
<b>სასოფლო-სამეურნეო სესხები:</b>							
A	7,556	(81)	-	-	(81)	7,475	1%
B	17,981	(204)	-	-	(204)	17,777	1%
C	24,130	(288)	-	-	(288)	23,842	1%
C1	6,335	(80)	-	-	(80)	6,255	1%
C2	14,898	-	(435)	-	(435)	14,463	3%
